# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

3 აგვისტო **ოთხშაბათი** 2011

№ 180 (13478) ფასი 80 თეთრი


# შტურმი? იქნება! გავუძლებთ? უნდა!

2



ვითამაშოთ გრაციონალურად: დაცვა - მტკიცე, ჩხვლეტა - მწარე



12

## ვლადიმერ ბოისა: შეგვიძლია!

ჯგუფიდან გასვლა რეალურია


უეფას ევროპის ლიგა 2011-2012

III საკვალიფიკაციო ეტაპი

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

UEFA EUROPA LEAGUE

დინამო თბილისი — რეიკიავიკი ისლანდია

4 აგვისტო 2011

21:00

დაუბრუნდი დინამოს!

ბილეთის ფასი 3, 5 ლარი

PrivatBank HYUNDAI

www.fcdinamo.ge


სპორტსMANY სპორტსMONEY

14




## დროშა შაბათს აიწევა

## ქართული ფეხბურთის ახალი წელი 6 აგვისტოს დადგება

ფედერაციამ კალენდარს ბეჭედი დაჰკრა

4

ქართული ფეხბურთი

● ჩემპიონთა ლიგა. შტურმი-ზესტაფონის წინ

# ზესტაფონი იმედით და ორი პრობლემით




უტევს ნიკა გელაშვილი

"ზესტაფონი" ავსტრიაში გუშინ დილით, თბილისი-გრაცის ჩარტერული ავიარეისით გაემგზავრა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** "შტურმთან" საპასუხო შეხვედრისთვის 20 ფეხბურთელი შეარჩია, რომელთაგანაც ორი, ბუნებრივია, 18-კაციან განაცხადში ვერ მოხვდება.

მეკარეები: **როინ კვასხვაძე, ზურაბ მამალაძე;**

მცველები: **გიორგი ონიანი, ზაალ ელიავა, მამუკა კობახიძე, თეიმურაზ ღონღაძე, კახაბერ ალადაშვილი, მალხაზ გაგოშიძე, ალექსი ბენაშვილი;**

ნახევარმცველები: **მურთაზ დაუშვილი, თორნიკე გორგიაშვილი, ირაკლი ძარია, შოთა გრიგალაშვილი, შოთა ბაბუნაშვილი, თორნიკე აფციაური, მიხეილ სარდალიშვილი;**

თავდამსხმელები: **ნიკოლოზ გელაშვილი, ჯაბა დვალი, საბა ლომია, რატი წინამძღვრიშვილი.**

დისკვალიფიკაციის ვადა ამოეწურა და განაცხადს დაუბრუნდება თეიმურაზ ღონღაძე, **გიორგი ხიდეშელი** კი "დაჩიასთან" განმეორებით მატჩში სერიოზულად დაშავდა და საოპერაციოა.

შესაძლოა, "ზესტაფონის" დანაკლისი ამით არ ამოიწუროს. საქართველოს ჩემპიონთა სამედიცინო შტაბი იმედოვნებს, რომ დღეს თამაშს შეძლებენ **როინ კვასხვაძე** და **ნიკოლოზ გელაშვილი**, თუმცა, სამწუხაროდ, ეს ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის. კვასხვაძემ ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე ხელი იტკინა, გელაშვილს კი ფეხი აწუხებს. იმედია, "ზესტაფონი" ამ ორ მეტად მნიშვნელოვან მოთამაშეს არ მოისაკლისებს. კვასხვაძის შემთხვევაში დამაიმედებლად ის ამბავი ჩანს, რომ გეგუჩაძეს ავსტრიაში მესამე მეკარე არ წაუყვანია.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებიდან "ზესტაფონს" უბრუნდება მცველი **მალხაზ გაგოშიძე**, რომელიც ხიდეშელის არყოფნაში სათადარიგოებში იქნება.

გუშინ, საღამოს "ზესტაფონმა" "შტურმის" UPC Arena-ზე ივარჯიშა, რომელიც იდეალურ მდგომარეობაშია. იდეალურთან მიახლოებულია ამინდიც – გრაცში +26 გრადუსი იყო, რაც ფეხბურთისთვის შესანიშნავი ტემპერატურაა. ვარჯიშამდელ პრესკონფერენციაზე გეგუჩაძემ მეტოქე შეაქო, მაგრამ ისიც დასძინა, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი მის გუნდსაც აქვს. თავის მხრივ, მოწინააღმდეგის მიმართ კომპლიმენტები არც "შტურმის" თავკაცმა **ფრანკო ფოდამ** დაიშურა.

"ზესტაფონი" გრაცის გარეუბანში მდებარე პრესტიჟულ სასტუმრო "პარადისში" ბინადრობს.

დღევანდელი მატჩი თბილისის დროით 22:30-ზე დაიწყება და, რაც მთავარია, გადაწყდა, რომ მის პირდაპირ ტელერეპორტაჟს „საზოგადოებრივი მაუწყებელი" შემოგვთავაზებს.

● ევროპის ლიგა. რენი-მეტალურგის წინ



რუსთაველებს რენის კარში პენალტის გამტანი ლუკა რაზმაძე დააკლდებათ

# არც მურველაშვილი რაზმაძე

რუსთავის "მეტალურგი" ხვალ "რენთან" ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩს ატარებს. ქვემოქართლელები საფრანგეთისკენ დღეს გაემგზავრებიან – თბილისიდან ჯერ სტამბოლში, იქიდან პარიზში ჩაფრინდებიან, პარიზიდან რენისკენ კი მატარებლით იმგზავრებენ.

"რენთან" გამართულ თბილისურ შეხვედრაში **გიორგი მურველაშვილი** გააძევეს, **ლუკა რაზმაძემ** კი წლევანდელ ევროთასებზე მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და ისიც დისკვალიფიცირებულია. მათ ნაცვლად "მეტალურგის" 18-კაციან განაცხადში **გიორგი აბურჯანია** და **ილია პავლიაშვილი** მოხვდნენ.

საფრანგეთში "მეტალურგის" ეს ფეხბურთელები გაემგზავრებიან:

მეკარეები: **გრიგოლ ბედიაშვილი, ზურაბ ბათიაშვილი;**

მცველები: **ალექსანდრე კვახაძე, ლაშა ჯაფარიძე, სერგი ორბელაძე, მიხეილ მახვილაძე, დავით ლომაია;**

ნახევარმცველები: **ირაკლი მაისურაძე, რევაზ გეწაძე, გიორგი მიქაბერიძე, დენის დობროვოლსკი, გიორგი ქავთარაძე, ვალიკო ტყემალაძე, გიორგი აბურჯანია;**

თავდამსხმელები: **ირაკლი ქობალია, ირაკლი მოდებაძე, დიმიტრი ტატანაშვილი, ილია პავლიაშვილი.**

● მსოფლიოს საკლუბო რეიტინგი

# მეტალურგის ასიანი ნახტომი

თვის დასაწყისში ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS), ტრადიციულად, მსოფლიოს მორიგი საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა (არ უნდა აგვერიოს უეფას კოეფიციენტების რეიტინგში, რომელიც უფრო არსებითი და მნიშვნელოვანია).

IFFHS-ის რეიტინგში კვლავაც სამი ქართული კლუბია, რომელთაგანაც საუკეთესო პოზიცია თბილისის "დინამოს" უკავია, ოღონდ, ევროპის ლიგაზე წარმატებული ასპარეზობის მიუხედავად, დედაქალაქელთა მდგომარეობა გაუარესდა, "დინამო" 102-ედან 114-ე ადგილამდე დაქვეითდა.

სამაგიეროდ, სოლიდურად დაწინაურდა რუსთავის "მეტალურგი", რომელიც ერთბაშად 100 ადგილით აღზევდა, "ზესტაფონიც" ჩამოიტოვა და დღეს 195-ეა. იმერლები კი 168-ედან 221-ე საფეხურამდე დაეშვნენ.

ცნობისთვის, "ზესტაფონის" დღევანდელი მეტოქე "შტურმი" 270-ეა, ხოლო "დინამოს" ხვალინდელი მოწინააღმდეგე "რეიკიავიკი" – მე-200.

საუკეთესო ათეულში მცირედი ცვლილებებია. "სანტოსმა" და "ველეს სარსფილდმა" ერთმანეთს ადგილები გაუცვალეს, "შალკემ" კი კიევის "დინამო" ათეულიდან განდევნა.

ზეათეული ასე გამოიყურება: 1. ბარსელონა (ესპანეთი), 2. რეალი (ესპანეთი), 3. პორტუ (პორტუგალია), 4. მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი), 5. მანჩესტერ სიტი (ინგლისი), 6. ვილიარეალი (ესპანეთი), 7. ინტერი (იტალია), 8. სანტოსი (ბრაზილია), 9. ველეს სარსფილდი (არგენტინა), 10. შალკე (გერმანია).

● კოლხეთი




# რემონტი ფოთში და შემოდგომა ზუგდიდში

მოსამზადებელი შეკრების ბოლო საკონტროლო მატჩი ფოთის "კოლხეთმა" "ბათუმთან" ჩაატარა და 3:2 გაიმარჯვა.

შეხვედრა ურეკში გაიმართა, ფოთელთა ძირითადი შემადგენლობა კი ასეთი იყო: **ნადირაშვილი – ცხვიტარია, ინწკირველი, შავგულიძე, მეგრელიშვილი – ქებაძე, ლომაშვილი, ცხადაია, ლემონჯავა – ციცხვაია, მდივნიშვილი.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ბობლიაშვილი, კილასონია, თედიაშვილი, გვალია, ჯანაშია, გულუა, წიქარიშვილი, ბარამიძე, გოგონაია, გელაჭეიშვილი.**

პირველი ტაიმი "კოლხეთმა" **ლემონჯავას** გოლით მოიგო, მეორე ნახევარში **სოსო ფილიას** გუნდის უპირატესობა **ზამირ ჯანაშიამ** განამტკიცა, შემდეგ კი ბათუმელებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს, თუმცა შეცვლაზე შესულმა **გოგონაიამ** 81-ე წუთზე თერთმეტმეტრიანით გამარჯვების გოლი გაიტანა.

ეს მატჩი "კოლხეთის" შეკრების ბოლო დღეს გაიმართა, რის შემდეგაც სამწვრთნელო შტაბმა ფეხბურთელებს ორდღიანი დასვენების საშუალება მისცა. ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩენილ დღეებში ფოთელები საკონტროლო შეხვედრას აღარ ჩაატარებენ.

კლუბის ფინანსური პრობლემები მეტ-ნაკლებად მოგვარებულია, რაზეც გაძლიერებული შემადგენლობაც მეტყველებს. სამაგიეროდ, "კოლხეთს" უახლოესი პერიოდის განმავლობაში სტადიონი ექნება საძებარი. როგორც იცით, ფოთის "ფაზისზე" სარეკონსტრუქციო სამუშაოებია დაგეგმილი, რომელიც, წესით, სექტემბრის ბოლოს უნდა დასრულდეს, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, "კოლხეთმა" მშობლიურ ქალაქში თამაში ამაზე გაცილებით გვიანლა შეძლოს.

თავდაპირველი ინფორმაციით, ფოთელებს საქართველოს ჩემპიონატისა და თასის მატჩებში მეტოქეებისთვის ლანჩხუთში უნდა ემასპინძლათ, მაგრამ, როგორც გუშინ "კოლხეთის" მწვრთნელმა **დავით მახარაძემ** გვითხრა, გადაწყდა, რომ გუნდი საშინაო მატჩებს არა გურიაში, არამედ ზუგდიდში ჩაატარებს.

ზუგდიდურ არენაზე, მოგეხსენებათ, ადგილობრივი "ბაია" თამაშობს და, თუ უმაღლესი ლიგის კალენდარს გადავხედავთ, მისი და "კოლხეთის" საშინაო შეხვედრების დღეები ერთმანეთს ემთხვევა. თუმცა მეგრული კლუბები ერთმანეთთან საერთო ენას, ალბათ, უპრობლემოდ გამონახავენ და, როცა საჭირო იქნება, რომელიმეს თამაში ერთი დღით ადრე ან გვიან გაიმართება.

გარდა ამისა, "კოლხეთმა თხოვნით მიმართა" "ზესტაფონს", ფოთში 14 აგვისტოს დანიშნული მატჩი ზესტაფონში ჩატარდეს და, შესაბამისად, ამ გუნდების შემდეგი შეხვედრა უკვე ფოთში გაიმართოს. "ზესტაფონს" ფოთელთათვის ჯერ არ უპასუხია. პირველ ტურში კი, 7 აგვისტოს, ზღვისპირელები რუსთავში "მეტალურგს" ეთამაშებიან.

"ფაზისის" რეკონსტრუქცია კი ცალკე თემაა და ამის თაობაზე ცნობებს დროდადრო მოგაწვდით. პროექტი ნამდვილად კარგია, მაღალი ხარისხის ბუნებრივი საფრის დაგების გარდა, იგეგმება ტრიბუნებისა და გასახდელების განახლება და ღამის განათების დამონტაჟება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

დინამო ევროპის ლიგაზე. საპასუხო მატჩის წინ

# სერიოზული სამზადისი





დინამოს ნიკა კვეკვესკირი (ზედა ფოტოზე) და ჩისკო დააკლდებიან

როგორც იტყვიან, ფეხბურთში ყველაფერი ხდება, მაგრამ თბილისის „დინამოს“ ერთგულ ქომაგს და, საერთოდ, ნებისმიერ ქართველ გულშემატკივარს ვერც წარმოუდგენია მოვლენების ისეთი განვითარება, რომ ჩვენმა ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ გადალახოს. ჰო, მართლაც წარმოუდგენლად გვეჩვენება ის, რომ თბილისის „დინამომ“ სტუმრად მოპოვებული სამბურთიანი უპირატესობა გაანიავოს. სხვათა შორის, წინა კვირას ჩატარებული ევროპის ლიგისა და ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპების პირველ მატჩებში სამად-სამი შემთხვევა დაფიქსირდა, როცა გუნდმა სტუმრად სამბურთიანი სხვაობით გაიმარჯვა: საბერძნეთის „ვოლოსმა“ ლუქსემბურგის „დიფერდანჟს“ 3:0 მოუგო, ფრანგულმა „რენმა“ რუსთავის „მეტალურგს“ 5:2 აჯობა, „დინამომ“ კი „რეიკიავიკი“ დაამარცხა შთამბეჭდავი ანგარიშით - 4:1!

მართლაც შორეული ისლანდიიდან და მართლაც ხანგრძლივი და მომქანცველი მგზავრობის მერე „დინამო“ სამშობლოში შაბათს, გამთენიისას დაბრუნდა; ამის მიუხედავად, „დინამოს“ ესპანელმა თავკაცმა **ალექს გარსიამ** გუნდი... იმ დღესვე ავარჯიშა! კვირას „დინამომ“ დაისვენა, ორშაბათიდან კი გუნდი ორჯერად ვარჯიშზე გადავიდა და, მიუხედავად პირველ შეხვედრაში მოპოვებული სოლიდური ჰანდიკაპისა, ხუთშაბათის მატჩისთვის სერიოზულად ემზადება. სამწუხაროდ, ისე, როგორც წლევანდელი ევროტურნირების, ფაქტობრივად, ყველა მატჩის წინ, გარსიას კვლავაც უამრავი საკადრო პრობლემა ექნება გადასაჭრელი: დისკვალიფიკაციის გამო „რეიკიავიკთან“ საპასუხო მატჩს **ჩისკო, გიორგი რეხვიაშვილი** და **ნიკა კვეკვესკირი** გამოტოვებენ, **ლევან ხმალაძე** და **შოთა კაშია** კი ისევ ტრავმირებულები არიან და ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ამ სეზონში ჯერ არც ერთი ოფიციალური მატჩი არ ჩაუტარებიათ. „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი წინასამატჩო პრესკონფერენციას დღეს, 19 საათსა და 15 წუთზე ჩაატარებს, 15 წუთში კი ჩვენი გუნდის ვარჯიში დაიწყება. 20 საათსა და 30 წუთზე ჟურნალისტების წინაშე „რეიკიავიკის“ მთავარი მწვრთნელი **რუნარ კრისტინსონი** წარდგება, 21 საათიდან კი ისლანდიელთა ვარჯიშისთვის თვალის მიდევნება იქნება შესაძლებელი.

„დინამოს“ მსგავსად, „რეიკიავიკსაც“ ხანგრძლივი და მომქანცველი მგზავრობა ელოდა: თბილისში წუხელ, გვიან ღამით უნდა ჩამოფრენილიყო რეიკიავიკი-ამსტერდამი-სტამბოლის ავიარეისით. ისლანდიელებმა ბინად სასტუმრო „რედისონი“ აირჩიეს.

## გნებავთ დინამოს მაისურა?

ვიდრე გუნდი „რეიკიავიკთან“ განმეორებითი მატჩისთვის ემზადება, კლუბის სხვა სიახლეებზეც გვინდა ვთქვათ. „დინამომ“ სახე არა მხოლოდ საფეხბურთო თვალსაზრისით იცვალა — კლუბის სტრუქტურაშიც არაერთი საინტერესო ცვლილება მოხდა. ყოველ შემთხვევაში, ამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში რამდენიმე საყრადღებო აქციის მომსწრენიც გავხდით და სწორედ ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრეთ „დინამოს“ პიარისა და მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელს **ლევან ღვინიანიძეს**. სხვათა შორის, მალე ეს სამსახური ცალკე დეპარტამენტად იფუნქციონირებს კლუბში. ახლა კი სიტყვა ლევან ღვინიანიძეს:

„რეიკიავიკთან“ მატჩამდე ცოტა დროა დარჩენილი და გვინდა, ფეხბურთის ქომაგებს ვამცნოთ, რომ ამ თამაშის ბილეთების შეძენა პრესის გავრცელების ჯიხურებშიც შეეძლებათ. მსგავსი აქცია „ლანელისთან“ მატჩის წინაც გვქონდა — მაშინ დედაქალაქის 25 ჯიხურში იყიდებოდა ბილეთები, ახლა კიდევ 25 დაემატა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ბილეთის ფასი არ შეცვლილა და ისევ 3 და 5 ლარი ეღირება.

...გულშემატკივრების მოსაზიდად კვლავაც სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს: შეგახსენებთ, რომ მოლდოვურ „მილსამისთან“ საშინაო შეხვედრისას აბიტურიენტებს „დინამოს“ მატჩის ბილეთები უფასოდ დაურიგდათ; სექტემბრიდან, როცა სასწავლო წელი დაიწყება, ბავშვებისთვის არაერთი სიურპრიზი გვაქვს ჩაფიქრებული და ამათგან ერთ-ერთს გაგანდობთ: ალმოსავლეთ ტრიბუნაზე გამოიყოფა ცალკე ადგილი, სადაც მხოლოდ ბავშვები განთავსდებიან. მომავალი თაობა „დინამოს“ მატჩებზე უფასოდ ივლის და სადაც ისხდებიან, იმ სექტორს „მომავლის ტრიბუნა“ ერქმევა. სამწუხაროდ, როგორც გუნდშია თაობებს შორის წყვეტა, ისევე ხდება გულშემატკივრებს შორისაც. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ უმცროსთა მსგავსად, უფროსი თაობის ქომაგებიც არ დავივიწყოთ და პენსიონერებსაც უფასოდ შეეძლებათ „დინამოს“ მატჩებზე დასწრება. „კათარზისთან“ ისედაც ვთანამშრომლობთ და მომავალში ყველა პენსიონერს დავასაჩუქრებთ „დინამოს“ მატჩებზე დასასწრები ბილეთებით - მსურველს მხოლოდ საპენსიო წიგნაკის წარმოდგენა დასჭირდება

...„ლანელისთან“ საშინაო მატჩის წინ ჩვენი გუნდის ესპანელი ფეხბურთელები **ჩისკო, კოტო** და **იაგუე** მეტრო „რუსთაველთან“ ამ შეხვედრისთვის საგანგებოდ დამზადებულ ფლაერებს არიგებდნენ, სადაც მათი ავტოგრაფებიც იყო. ამაჟამად მსგავსი აქცია არ ხერხდება.

მთავარი სიახლე მაინც სპეციალიზებულ სასპორტო მაღაზიებში „დინამოს“ მაისურების გამოჩენაა: თუ ქართველ ქომაგს 150 ლარი არ ენანება „რეალის“ ან სხვა უცხოური კლუბის მაისურის შესაძენად, რატომ არ უნდა შეიძინოს „დინამოს“ მაისურა, რომელიც 85 ლარი ეღირება? ამ ეტაპზე ჯერჯერობით მხოლოდ ორ მაღაზიაში იყიდება „დინამოს“ მაისურები - რუსთაველის პირველ და ვაჟა-ფშაველას რვა ნომრებში. ამას გარდა, ქომაგს სიახლეს სთავაზობს ინტერნეტმაღაზია vovovo.ge — პირველი 5 მყიდველი, ვინც ყველაზე ადრე შეიძენს „დინამოს“ მაისურებს, 26-პროცენტიანი ფასდაკლებითაც ისარგებლებს და „რეიკიავიკთან“ მატჩის ბილეთსაც მიიღებს. სექტემბერში კი, არ არის გამორიცხული, „დინამოს“ საკუთარი საკლუბო მაღაზიაც ჰქონდეს“.

**გია ტუხაშვილი**

ბაია

# ფრე ხობელებთან

ზუგდიდელებმა ახალი სეზონისთვის მზადება ხობის “კოლხეთთან” სპარინგით დაასრულეს. “ბაიამ” საკუთარ მოედანზე პირველლიგელთან 1:1 ითამაშა. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, გამთანაბრებელი გოლი კი **ნიკა აფაქიძის** ანგარიშზეა.

“ბაია”: **ჯინჭარაძე, რიგვავა, აფაქიძე, ნ. შონია, ქვარცხავა, შ. ლომია, სიხარულია, ეხვაია, გუგუჩია, წურწუმია, კუკავა.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ვეკუა, ენდელაძე, ახვლედიანი, გერგედავა, სვირავა.**

“ბაიას” ბოლო ახალწვეული მეკარე **კახა ჯინჭარაძეა**, რომელიც წინა დღეებში ბოლნისის “სიონში” ისინჯებოდა. ზუგდიდელთა აწ უკვე ყოფილი კიპერი **გიორგი სომხიშვილი** კი კარიერის გაგრძელებას აზერბაიჯანში აპირებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



კახა ჯინჭარაძე

ტრანსფერი

# ზესტაფონი დაცვას აძლიერებს

**გიორგი ხიდეშელის** მძიმედ დაშავების შემდეგ ნათელი გახდა, რომ “ზესტაფონს” ახალი ცენტრალური მცველი სჭირდებოდა და საქართველოს ჩემპიონებმა ეს პრობლემა ოპერატიულად მოაგვარეს – ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ “ზესტაფონის” ღირსებას 30 წლის **ედიკ საჯაია** დაიცავს.

საჯაიას, რომელიც ერთ დროს საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი იყო, “ზესტაფონში” 2007-დან 2009 წლამდეც უთამაშია, მას შემდეგ კი რუსეთის რანგით მეორე ლიგაში ასპარეზობდა ჯერ მახაჩყალის “ანჟის”, მერე ნიჟნი ნოვგოროდის “ვოლგას”, ბოლოს კი “ხიმკის” შემადგენლობაში.

“ზესტაფონში” თამაშისას საჯაია მუდმივად ძირითადი შემადგენლობის წევრი იყო და ფეროელთა დაცვის ცენტრში ალბათ, ახლაც მოიკიდებს ფეხს.

საჯაიას “ზესტაფონის” საევროთასო განაცხადში შეყვანას წინ ვერაფერი აღუდგება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ედიკ საჯაია ზესტაფონში ბრუნდება

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. კალენდარი

# ახალი სეზონი, ახალი მოლოდინი

ამ კვირის ბოლოს, 6 აგვისტოს, მცხეთის „არმაზის" განახლებულ-გაკოხტავებულ სტადიონზე „ვიტ ჯორჯიასა" და „გორის „დილას" მატჩით საქართველოს XXIII ჩემპიონატი დაიწყება! კვირის ბოლომდე არაერთხელ შემოგთავაზებთ ახალი საფეხბურთო სეზონის „სასტარტო ამბებს", ჩემპიონატის მონაწილე გუნდებსაც წარმოგიდგენთ და შეძლებისდაგვარად, განაცხადებსაც გაგაცნობთ. მანამდე კი საქართველოს 2011-12 წლების XXIII ჩემპიონატის კალენდარს გთავაზობთ... მცირეოდენი განმარტებებით. ასე მაგალითად, ფეხბურთის ქომაგებმა რომ იცოდნენ, „ვიტ ჯორჯია" საშინაო მატჩებს მცხეთაში ჩაატარებს, „გაგრა" თბილისში, „მერანის" სტადიონზე ითამაშებს; რაც შეეხება ცხინვალის „სპარტაკს", გუნდმა საშინაო შეხვედრები თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე უნდა გამართოს; თუმცა, ვიდრე ვაკეში მდებარე სტადიონზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, „სპარტაკი" მეტოქეებს ეროვნულ სტადიონზე უმასპინძლებს. დაახლოებით ანალოგიური სიტუაციაა „კოლხეთის" შემთხვევაშიც - ფოთის „ფაზისის" სტადიონზე მოედნის საფარი იცვლება და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფოთელები საშინაო მატჩებს ზუგდიდში ჩაატარებენ. აქვე, იმასაც გაცნობებთ, რომ ჩემპიონატის რეგლამენტის მიხედვით 15 აგვისტომდე თამაშები 17 საათსა და 30 წუთზე დაიწყება, 16-დან 31 აგვისტომდე - 17 საათზე; სექტემბერში - 16 საათზე, ოქტომბერში-15 საათზე, ნოემბერ-დეკემბერსა და თებერვალში - 14 საათზე, მარტში - 15 საათზე, აპრილში - 16 საათზე, მაისში - 17 საათზე. ამას გარდა, მართლაც სასიამოვნო სიახლეა ის ფაქტი, რომ ფაქტობრივად, ყოველი ტურის ერთი მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟი საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ეთერით გადაიცემა. სავარაუდოდ, ეს მატჩები 18 საათზე დაიწყება, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მეტოქეთა შეთანხმებით დრო შეიცვალოს. ასე მაგალითად, I ტურში „ტორპედოსა" და „ზესტაფონის" მატჩი 21 საათზე დაიწყება.

**გია ტუხაშვილი**

**2011 წელი**
**I წრე**
**I ტური**
**6 აგვისტო, შაბათი**
ვიტ ჯორჯია-დილა
**7 აგვისტო, კვირა**
მეტალურგი-კოლხეთი
გაგრა-მერანი
სპარტაკი-დინამო
ტორპედო-ზესტაფონი *Live*
ბაია-სიონი

**II ტური**
**14 აგვისტო, კვირა**
სიონი-გაგრა
დილა-ტორპედო
დინამო-ვიტ ჯორჯია *Live*
მერანი-სპარტაკი
კოლხეთი-ზესტაფონი
მეტალურგი-ბაია

**საქართველოს თასი**
**17 აგვისტო, ოთხშაბათი**
1/16 ფინალური მატჩები
*პირველი მატჩები*

**III ტური**
**21 აგვისტო, კვირა**
გაგრა-მეტალურგი
სპარტაკი-სიონი
ვიტ ჯორჯია-მერანი
ტორპედო-დინამო *Live*
ზესტაფონი-დილა
ბაია-კოლხეთი

**III ტური**
**27 აგვისტო, შაბათი**
სიონი-ვიტ ჯორჯია
მეტალურგი-სპარტაკი
ბაია-გაგრა
კოლხეთი-დილა
მერანი-ტორპედო
**28 აგვისტო, კვირა**
დინამო-ზესტაფონი *Live*

**V ტური**
**10 სექტემბერი, შაბათი**
გაგრა-კოლხეთი
დილა-დინამო
ტორპედო-სიონი
ვიტ ჯორჯია-მეტალურგი
ზესტაფონი-მერანი
**11 სექტემბერი, კვირა**
სპარტაკი-ბაია *Live*

**საქართველოს თასი**
**13–14 სექტემბერი, სამშ./ოთხშ**
1/16 ფინალური მატჩები
*საპასუხო მატჩები*

**VI ტური**
**17 სექტემბერი, შაბათი**
მეტალურგი-ტორპედო *Live*
**18 სექტემბერი, კვირა**
ბაია-ვიტ ჯორჯია
გაგრა-სპარტაკი
კოლხეთი-დინამო




სიონი-ზესტაფონი
მერანი-დილა

**VII ტური**
**25 სექტემბერი, კვირა**
ვიტ ჯორჯია-გაგრა
ტორპედო-ბაია
სპარტაკი-კოლხეთი
ზესტაფონი-მეტალურგი *Live*
დილა-სიონი
დინამო-მერანი

**საქართველოს თასი**
**28 სექტემბერი, ოთხშაბათი**
1/8 ფინალური მატჩები
*პირველი მატჩები*

**VIII ტური**
**2 ოქტომბერი, კვირა**
კოლხეთი-მერანი
გაგრა-ტორპედო
მეტალურგი-დილა
სპარტაკი-ვიტ ჯორჯია *Live*
სიონი-დინამო
ბაია-ზესტაფონი

**IX ტური**
**15 ოქტომბერი, შაბათი**
ვიტ ჯორჯია-კოლხეთი
ზესტაფონი-გაგრა
მერანი-სიონი
დილა-ბაია
**16 ოქტომბერი, კვირა**
დინამო-მეტალურგი *Live*
ტორპედო-სპარტაკი

**X ტური**
**22 ოქტომბერი, შაბათი**
კოლხეთი-სიონი
მეტალურგი-მერანი
ბაია-დინამო
გაგრა-დილა
სპარტაკი-ზესტაფონი *Live*
ვიტ ჯორჯია-ტორპედო

**XI ტური**
**26 ოქტომბერი, ოთხშაბათი**
ტორპედო-კოლხეთი
ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია
დილა-სპარტაკი
დინამო-გაგრა
მერანი-ბაია
სიონი-მეტალურგი

**II წრე**
**XII ტური**
**30 ოქტომბერი, კვირა**
კოლხეთი-მეტალურგი
სიონი-ბაია
მერანი-გაგრა
დინამო-სპარტაკი
დილა-ვიტ ჯორჯია
ზესტაფონი-ტორპედო *Live*

**საქართველოს თასი**
**2 ნოემბერი, ოთხშაბათი**
1/8 ფინალური მატჩები
*საპასუხო მატჩები*

**XIII ტური**
**6 ნოემბერი, კვირა**
გაგრა-სიონი
ბაია-მეტალურგი
სპარტაკი-მერანი *Live*
ტორპედო-დილა
ვიტ ჯორჯია-დინამო
ზესტაფონი-კოლხეთი

**XIV ტური**
**20 ნოემბერი, კვირა**
კოლხეთი-ბაია
მეტალურგი-გაგრა
სიონი-სპარტაკი
მერანი-ვიტ ჯორჯია
დინამო-ტორპედო *Live*
დილა-ზესტაფონი

**საქართველოს თასი**
**24 ნოემბერი, ხუთშაბათი**
1/4 ფინალური მატჩები
*პირველი მატჩები*

**XV ტური**
**27 ნოემბერი, კვირა**
დილა-კოლხეთი
ზესტაფონი-დინამო *Live*
ტორპედო-მერანი
ვიტ ჯორჯია-სიონი
სპარტაკი-მეტალურგი
გაგრა-ბაია

**XVI ტური**
**4 დეკემბერი, კვირა**
კოლხეთი-გაგრა
ბაია-სპარტაკი
მეტალურგი-ვიტ ჯორჯია
სიონი-ტორპედო
მერანი-ზესტაფონი
დინამო-დილა *Live*

**საქართველოს თასი**
**7 დეკემბერი, ოთხშაბათი**
1/4 ფინალური მატჩები
*საპასუხო მატჩები*

**XVII ტური**
**11 დეკემბერი, კვირა**
დინამო-კოლხეთი *Live*
დილა-მერანი
ზესტაფონი-სიონი
ტორპედო-მეტალურგი
ვიტ ჯორჯია-ბაია
სპარტაკი-გაგრა

**XVIII ტური**
**18 დეკემბერი, კვირა**
კოლხეთი-სპარტაკი
გაგრა-ვიტ ჯორჯია
ბაია-ტორპედო
მეტალურგი-ზესტაფონი *Live*
სიონი-დილა
მერანი-დინამო

**2012 წელი**
**XIX ტური**
**14 თებერვალი, სამშაბათი**
ტორპედო-გაგრა
ვიტ ჯორჯია-სპარტაკი
**15 თებერვალი, ოთხშაბათი**
დილა-მეტალურგი
ზესტაფონი-ბაია
მერანი-კოლხეთი
დინამო-სიონი

**XX ტური**
**18 თებერვალი, შაბათი**
გაგრა-ზესტაფონი
**19 თებერვალი, კვირა**
ბაია-დილა
მეტალურგი-დინამო
სიონი-მერანი
სპარტაკი-ტორპედო
კოლხეთი-ვიტ ჯორჯია

**XXI ტური**
**26 თებერვალი, კვირა**
სიონი-კოლხეთი
მერანი-მეტალურგი
დინამო-ბაია
დილა-გაგრა
ზესტაფონი-სპარტაკი
ტორპედო-ვიტ ჯორჯია

**XXII ტური**
**4 მარტი, კვირა**
კოლხეთი-ტორპედო
ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი
სპარტაკი-დილა
გაგრა-დინამო
ბაია-მერანი
მეტალურგი-სიონი

ქალთა ფეხბურთი



# თაკო ქველიძე ობერლიგაში გაირჯება

**საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ნაკრების წევრი, ცენტრალური მცველი თაკო ქველიძე გერმანული „კარლსრუეს" ქალთა გუნდში ჩაირიცხა.**

*„გერმანიაში შესაშური სავარჯიშო და სათამაშო პირობები. ვარჯიშისას ყურადღება გამახვილებულია სისწრაფესა და ტექნიკაზე. თანაგუნდელები კარგად შემხვდნენ. მწვრთნელი ჩემგან სწრაფად აზროვნებას და დაცვაში საიმედო თამაშს მოითხოვს"* - ამბობს თაკო.

## ობერლიგა

გერმანულ ქალთა ფეხბურთში ექვსი საფეხბურთო ლიგაა. ბუნდესლიგა, მეორე ბუნდესლიგა, მესამე ბუნდესლიგა, რეგიონალლიგა, ობერლიგა და უმცროსთა ლიგა. ობერლიგაში 13 გუნდია, მათ შორის ფრანკფურტის „აინტრახტი", „კარლსრუე", „შტუტგარტი"... ჩვენებურის „კარლსრუემ" 1945 წლიდან მოყოლებული, მხოლოდ სამჯერ გაიმარჯვა. პირველად 1955-56 წლების სეზონში, შემდეგ 1957-58 და 1959-60 წლებში.

## კონტრაქტი

თაკო ქველიძე: *„კარლსრუესთან" ერთწლიანი კონტრაქტი უკვე გაფორმებულია. მათ ჩემი საცხოვრებლითა და ხელფასით უზრუნველყოფა ევალებათ. გუნდში ჩემს პოზიციაზე სამნი ვართ და შევეცდები, მათ სათანადო კონკურენცია გავუწიო. სულ მალე გერმანიის საელჩოსგან ვიზას მივიღებ, ჩასვლიდან სამ დღეში კი ვარჯიშსაც დავიწყებ".*

## საქართველოს ნაკრები

საქართველოს ქალთა ორი ასაკობრივი ნაკარები ჰყავს – 17-წლამდელთა და ეროვნული. უახლოეს მომავალში 17-წლამდელები ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად აზერბაიჯანში გაემგზავრებიან. სამწუხაროდ, მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ეროვნული ნაკრებისთვის დაგეგმილი არაფერია.

## მსოფლიოს ჩემპიონატი

თაკო ქველიძე: *„მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიამ და ბრაზილიამ მარცხი იწვნიეს, ბევრი ისეთი გუნდი მონაწილეობდა, რომელთაც სიამოვნებით ვგულშემატკივრობდი. დასანანია, რომ ფინალურ ეტაპზე გასვლა ვერ შევძელით. ჩვენი ოცნებაა, მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი წარმატებით დავძლიოთ".*

## მომავლის პერსპექტივა

*„ვოცნებობ, მიუნხენის „ბაიერნის" ან ლონდონის „არსენალის" ქალთა გუნდში ვითამაშო. ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა ზამთრის სატრანსფერო სეზონში ზედა ლიგაში გადასვლა შევძლო. ობერლიგაში თამაში არ გამიჭირდება, რადგან „კარლსრუე" შეკრული გუნდია და გოგონების მხარდაჭერით გერმანულ ფეხბურთს ადვილად შევეთვისები".*

**სალომე ხარატიშვილი**

● არსენალი



სამირ ნასრი

# თავიდან დაიწყო



ნიკლას ბენდტნერი

„მანჩესტერ სიტი" „არსენალს" ფრანგი **სამირ ნასრის** სანაცვლოდ 22 მილიონ ფუნტს სთავაზობს — ვაჭრობა, რომელიც ყველას დამთავრებული ეგონა, თავიდან დაიწყო. ისტლენდელებთან დაახლოებული წყაროები ამბობენ, რომ ეს ბოლო იერიში იქნება. „სიტის" დირექტორებმა 24 წლის შემტევი ნახევარმცველის შესაძენად „შტურმი" მოაწყვეს. პრინციპი ასეთი გახლდათ: ან ახლავე მოდიხარ, ან თავს განებებთ!

„სანი" წერს, რომ „არსენალის" ბანაკში მღელვარებაა. როგორც **არსენ ვენგერისთვის,** ასევე კლუბის სხვა ხელმძღვანელებისთვის ნათელი გახდა, რომ ნასრი დაკარგულია. ისინი „ეკლებზე მჯდომ" ვარსკვლავს „ემირეით სტედიუმზე" ვეღარ აბამენ. პროცესი სავარაუდოდ დაჩქარდება, რათა ნასრიმ შაბათს, „ქომუნითი შილდის" შეხვედრაში თამაში მოასწროს. შეგახსენებთ, „ქომუნითი შილდი" ინგლისის სუპერთასია, რომლისთვისაც წლეულს მანჩესტერული გუნდები, ჩემპიონი „იუნაიტედი" და ფეხბურთის ასოციაციის თასის მფლობელი „სიტი" ხვდებიან ერთმანეთს.

ცნობისთვის: ნასრი „სიტიში" კვირაში 125 ათას ფუნტს მიიღებს. ეს მხოლოდ 10 ათასით მეტია იმ ხელფასზე, რომელსაც მას კონტრაქტის გაგრძელების შემთხვევაში „არსენალი" შესთავაზებდა ან „მანჩესტერ იუნაიტედი" დაუნიშნავდა, „ოლდ ტრეფორდზე" რომ გადასულიყო.

■ ■ ■

არსენალელთა შესახებ კიდევ აი, რისი თქმა შეგვიძლია: დანიელ თავდამსხმელს, 23 წლის **ნიკლას ბენდტნერს** პრემიერლიგაში დარჩენის შანსი მიეცა. ფორვარდს გასულ კვირაში ლისაბონის „სპორტინგი" ეპატიჟებოდა და ფეხბურთელის სანაცვლოდ ჩრდილოლონდონელებს 9 მილიონ ფუნტს ანუ 10,23 მილიონ ევროს სთავაზობდა, მაგრამ საქმეში „სტოკ სიტი" და მისი მწვრთნელი **ტონი პულისი** ჩაერივნენ. რამდენადაც „დეილი მეილისთვის" გახდა ცნობილი, გაიგო რა სტოკელთა დაინტერესების ამბავი, ბენდტნერმა პორტუგალიაში გადასვლის საქმე შეანელა და თავის აგენტებს პულისის წინადადებაში კარგად გარკვევა სთხოვა. დანიელს პრემიერლიგაში ურჩევნია დარჩენა. ცნობისათვის: ბენდტნერს „არსენალი" კვირაში 52 ათას ფუნტს უხდის. ფეხბურთელი მზად არის „სტოკში" გადასვლის ეშხით ამ ხელფასზე უარი თქვას და ნაკლებ გასამრჯელოს დაჯაბულდეს.

მეორე ფეხბურთელი, რომლის შეძენასაც პულისი ვარაუდობს, „ტოტენჰემ ჰოთსპურის" 30 წლის ფორვარდი **პიტერ კრაუჩია,** მაგრამ ის უკვე ასაკოვანია და იგივე ღირს.

● მანჩესტერ სიტი

# ახმაურდა იაია

„მანჩესტერ სიტის" 28 წლის ნახევარმცველი **იაია ტურე** „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცს, ლეგენდარულ სერ **ალექს ფერგიუსონს** აფრთხილებს, რომ მისი გუნდი მომავალ სეზონში სერიოზულად შეუტევს პრემიერლიგის ტიტულს. შეიძლება ითქვას, „იუნაიტედის" „ხმაურიან მეზობლებად" მონათლული ისტლენდელები კიდევ უფრო ახმაურდებიან.

ტურე ამბობს, რომ მომავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ დამთავრდება „ქომუნითი შილდის" შეხვედრა, რომელშიც ერთმანეთს სწორედ მანჩესტერული გუნდები დაუპირისპირდებიან. „ბარსელონას" ყოფილმა ფეხბურთელმა კარგად იცის, როგორი გემო აქვს „მანჩესტერ იუნაიტედის" დამარცხებას — გასულ სეზონში, „უემბლიზე", ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში, მომავალ ჩემპიონს სწორედ მან გაუტანა გოლი. ტურემ თქვა:

*„უემბლიზე უკვე ორი გოლი მაქვს გატანილი. ფანტასტიკური შეგრძნებაა. ძალიან მინდა მესამეც გავიტანო, თუმცა, რასაკვირველია, მთავარი სულაც არ არის ის, რამდენ გოლს გავიტან მე. მთავარია ჩვენმა გუნდმა საკუთარ ფანებს და მთელს მსოფლიოს გამოუცხადოს: ფრთხილად, „მანჩესტერ სიტი" მოდის! ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, „იუნაიტედს" უნდა ვაგრძნობინოთ, რომ სერიოზულ კონკურენციას ვაპირებთ. პრემიერლიგის მომავალი სეზონი ძალიან დაძაბული იქნება. „მანჩესტერ სიტი" კიდევ უფრო გაძლიერდება და ვფიქრობ, დიდ შედეგებსაც მიაღწევს. ამ ეტაპზე კი მთავარია, სეზონის დასაწყისშივე მკაფიოდ და რიხიანად გამოვაცხადოთ ჩვენ შესახებ".*

ტურე ძალიან კმაყოფილია, რომ ისტლენდელებმა მადრიდის „ატლეტიკოსგან" 23 წლის **სერხიო აგუერო** იყიდეს. მოგეხსენებათ, აგუეროს დებიუტიც „ქომუნითი შილდზე" უნდა შედგეს.

*„ძალიან კარგია, რომ კლუბი ძლიერ ფეხბურთელებს ყიდულობს, ძველი მოთამაშეები კი საუკეთესო ფორმას იბრუნებენ — თქვა ტურემ — აგუერო დავიმატეთ, ედინ ჯეკო კი შესანიშნავად ათამაშდა. აგუერო დიდებული ფეხბურთელია. ის ძალიან სწრაფი და ჭკვიანია. გარდა ამისა, შეგვიძლია შემადგენლობას გადავხედოთ და დავინახავთ, რომ ყველა პოზიციაზე ძლიერი ფეხბურთელები გვყავს. „სიტი" შესანიშნავად დაბალანსებული გუნდია".*

კოტ დ'ივუარელ ფეხბურთელს შარშანდელი ნათქვამი შეახსენეს. შარშან მან თქვა, რომ „მანჩესტერ სიტი" ისეთივე ძლიერი გახდება, როგორიც „ბარსელონაა". ტურემ უკან არ დაიხია:

*„მე ვთქვი, რომ ერთ მშვენიერ დღეს „სიტის" შეუძლია ისეთივე ძლიერი გუნდი გახდეს, როგორიც „ბარსელონაა". სხვათა შორის, ეს მანამდე ვთქვი, სანამ „ბარსა" ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვებდა და ესპანეთის ჩემპიონიც გახდებოდა, მაგრამ ჩემი ნათქვამი უკან არ მიმაქვს. რასაკვირველია, ევროპის საუკეთესო გუნდობამდე ჯერ კიდევ გზა გვაქვს გასავლელი, მაგრამ მიზანი არჩეულია".*



● ნიუკასლი

# მაჩხუბარა ბარტონის ამბავი

28 წლის **ჯოი ბარტონი** „ნიუკასლ იუნაიტედმა" გააგდო. ამ ამბავმა ძალიან გაახარა, უპირველეს ყოვლისა „ტოტენჰემ ჰოთსპური", ხოლო მის გარდა „ასტონ ვილა" „ბლექბერნი", „ფულჰემი" და „სტოკ სიტი". განსაკუთრებით „სფურზმა" გაიხარაო იმიტომ ვთქვით, რომ ჩრდილოლონდონელთა მწვრთნელ **ჰარი რედნაპს** ნახევარმცველი სჭირდებოდა, „ვესტ ჰემისგან" **სკოტ პარკერის** ყიდვას აპირებდა, მაგრამ გეგმა ჩაეშალა და „ნიუკასლმა" სულზე მიუსწრო.

რატომ გააგდეს ბარტონი? იმიტომ, რომ ის „ტვიტერში" ლანძღავდა „ნიუკასლს", კერძოდ კი მის მეპატრონე **მაიკ ეშლისა** და მაწვრთნელ **ალან პერდიუს**. ერთი სიტყვით, ბუნებით კონფლიქტურმა ბარტონმა „კაჭკაჭების" ბანაკში უფროსობას აწყენინა. ინგლისური პრესა ხუმრობს, რომ ეს ფეხბურთის ისტორიაში პირველი ვირტუალური გაგდება იყო — დაწერა თუ არა ნიუკასლელებზე ძვირი, მეორე დღესვე გამოვიდნენ პერდიუ და დირექტორი **დერეკ ლემბიასი** და გამოაცხადეს, რომ კლუბი ფეხბურთელთან კონტრაქტს, რომლის მიხედვითაც მას ერთი წელიწადი ჰქონდა დარჩენილი, აუქმებს.

ბარტონმა ჯერ კიდევ კვირას დაწერა, რომ „ნიუკასლში" რაღაც არეულობაა. ამას წინ უძღოდა ამხანაგური მატჩი „ჩემპიონშიპის" მე-7 გუნდ „ლიდსთან", რომელიც „კაჭკაჭებმა" 3:2 წააგეს. შემდეგ ნახევარმცველმა დრო დათქვა, ამა და ამ საათზე შესაძლოა მნიშვნელოვანი განცხადება გავაკეთოო — ალბათ კარის გაჯახუნებას აპირებდა — მაგრამ ვინ აცადა: „ნიუკასლ იუნაიტედმა" მის მიერ გამოცხადებულ „დედლაინამდე" 23 წუთით ადრე ორაზზაციანი განცხადება გააკეთა, სადაც ეწერა, რომ ბარტონი გასაყიდთა სიაშია და შეუძლია სადაც უნდა იქ წავიდეს. მოკლედ, ოღონდ ეს კაცი თავიდან მოგვშორდეს და კაპიკი არ გვინდაო.



ამის შემდეგ ჯოი ბარტონის 140 ათას ტვიტერ-მეგობარს დაახლოებით ერთსაათიანი ცდა დასჭირდა, რასაც ფეხბურთელის სამი განცხადება მოჰყვა. პირველი ასეთი გახლდათ: *„სადღაც, „ნიუკასლ იუნაიტედის" მაღალ ეშელონებში გადაწყვიტეს, რომ მე პერსონა ნონ გრატა ვარ".*

ამას ცოტა ხანში მეორე განცხადება მოჰყვა: *„მე თავისუფალ ტრანსფერზე დამაყენეს, მაგრამ „ნიუკასლის" შავ-თეთრი მაისურით თამაში გაცილებით მეტს ნიშნავს".*

დაბოლოს: *„ალბათ, „ნიუკასლის" დირექტორატში ოდესმე მიხვდებიან, რომ ამ კლუბის სახელით თამაში ძალიან საამაყოა. დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის".*

ამ სამ განცხადებას ბარტონის აგენტის, **უილი მაკკეის** საჯარო გამოსვლა მოჰყვა. აგენტმა თქვა, რომ მისი კლიენტი მზად არის ხელფასის შემცირებას დასჯერდეს, ოღონდაც კლუბმა „თვითმკვლელი" გადაწყვეტილება მისი გუნდიდან გაგდების შესახებ, უკან წაიღოს. კერძოდ, მაკკეიმ ბრძანა:

*„გაოგნებული ვიყავი, რადგან „ნიუკასლ იუნაიტედი" ჯოი ბარტონს ახალ კონტრაქტს არ სთავაზობდა. ვფიქრობ, კლუბმა გარკვეულწილად თვითმკვლელი გადაწყვეტილება მიიღო. განა შეიძლება სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი ასე მოიშორო თავიდან? ბარტონი გუნდში ცენტრალური ფიგურა იყო და ენდი ქეროლი 35 მილიონ ფუნტად რომ გაყიდეს, სწორედ მისი დამსახურებაა, რადგან ქეროლს გოლები მეტწილად ჩემი კლიენტის პასებით გაჰქონდა. აქვე მინდა გავიხსენო, რომ დერეკ ლემბიასი და მაიკ ეშლი ჯოის მძიმე დღეებში მხარში ედგნენ, ასე რომ, მათზე ცუდად ლაპარაკს ნამდვილად არ ვაპირებ, მაგრამ ვფიქრობ, კლუბი მაინც შეცდა. ჯოი მზად იყო ხელფასის შემცირებასაც კი დათანხმებოდა, ოღონდაც „ნიუკასლს" მისთვის ახალი კონტრაქტი შეეთავაზებინა".*

როგორც აგენტმა მაკკეიმ დასძინა, ბარტონს ახალი კლუბის შოვნის პრობლემა რომ არ ექნებოდა, ეს ყველას იმთავითვე კარგად უნდა სცოდნოდა. მისი აზრით, ჯოი ის ფეხბურთელია, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის დონის ფეხბურთის თამაში შეუძლია.

დაბადებით ლივერპულელი ფეხბურთელი „ნიუკასლ იუნაიტედში" 5,8 მილიონ ფუნტად ოთხი წლის წინ „მანჩესტერ სიტიდან" გადავიდა. მისი გასამრჯელო კვირაში 80 ათასი ფუნტი იყო.

ზემოთ „ლიდს იუნაიტედთან" წაგებული ამხანაგური თამაში ვახსენეთ. ბარტონს ამ შეხვედრაში, წესით, კაპიტნის სამკლავური უნდა გაეკეთებინა, მაგრამ იუარა — ესპანელ თანაგუნდელ **ხოსე ენრიკეს** დაუჭირა მხარი. მოგეხსენებათ, ენრიკე ერთი კვირის წინ „ნიუკასლმა" დააჯარიმა, რადგან ფეხბურთელმა იმავ „ტვიტერში" დაწერა, რომ კლუბი სატრანსფერო ბაზარზე არ აქტიურობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ამბიცია აკლია. ენრიკეს „ნიუკასლიდან" წასვლა უნდოდა. სხვათა შორის, „ლიდსთან" შეხვედრაში მას, თითქოს, უნდა ეთამაშა, მაგრამ არ უთამაშია.

ბარტონმა ენრიკეს მხარდასაჭერად ასე დაწერა: *„ნეტავ ჩვენ, ფეხბურთელებს შეგვეძლოს ბოლომდე ვუამბოთ ფანებს რა ხდება გუნდში, რატომ გვაჯარიმებენ ამხელა თანხებით. ხოსეს ნათქვამმა, როგორც ნახეთ, დიდი რეზონანსი გამოიწვია, არადა, ეს მხოლოდ აისბერგის მწვერვალი იყო. იცით, ბოლოს რა მოხდება? თავიანთი საყვარელი გუნდის ჭაობიდან ამოთრევა ისევ ფანებს მოუწევთ. „ნიუკასლ იუნაიტედი" ხომ ოდესღაც დიდი კლუბი იყო".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

იტალიური ტრანსფერები

# დიდი მიდი-მოდი კალჩოში

**იტალიური გუნდები სატრანსფერო ციებ-ცხელებაში არიან ჩაბმულნი და ამის შესახებ პრაქტიკულად ყველა ნომერში გვიწევს საუბარი. მაგალითად, დღევანდელი დღის მთავარი სათქმელი ის გახლავთ, რომ "რომას" მესვეურებმა როგორც იქნა დაასრულეს მაარტენ სტეკელენბურგის ტრანსფერზე მუშაობა და უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰოლანდიის ნომერი პირველი მეკარე "ჯალოროსის" კარს დაიცავს. "გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, 28 წლის კიპერის სანაცვლოდ რომაელებმა 6.325 მილიონი ევრო გადაიხადეს და მასთან ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმეს. კიდევ ერთ მილიონ ევროს "აიაქსი" იმ შემთხვევაში მიიღებს, თუკი რომაელები მასრტენს გაასხვისებენ – ნახევარი მილიონი კი ამსტერდამელებს "რომას" ჩემპიონთა ლიგაში გასვლის შემთხვევაში ერგებათ. აქვე ვთქვათ, რომ ჰოლანდიელი მეკარე წელიწადში 2.7 მილიონ ევროს მიიღებს.**

**ქვემოთ, უკვე შემდგარ ტრანსფერებს გაეცნობით...**

### ატალანტა

**წავიდნენ:** დელვეკიო (კატანია), დალა ბონა (ნაპოლი), ამორუზო (თავისუფალი აგენტი), ტალამონტი (როსარიო, არგენტინა), პეკეგრინო, ფერი (ორივე თავისუფალი აგენტი), ჩერავოლო (რეჯინა), რუოპოლო (პადოვა), ბაშა (ტორინო), დეფენდი (ბარი).

**მივიდნენ:** ფურტუნისი (ასტერასი, საბერძნეთი), დეფენდი (გროსეტო), კოლომბი (იუვე სტაბია), კაზერტა (ჩეზენა), შელოტო (კატანია), გაბიადინი (ჩიტადელა), არდემანი (პადოვა), ლუკინი (სამპდორია), მაქსი მორალესი (ველესი, არგენტინა), ა. მაზიელო (ბარი).

### ბოლონია

**წავიდნენ:** ლუპატელი (ჯენოა), ესპოზიტო (ჯენოა), სილიგარდი (ინტერი), მეჯორინი (ჯენოა), ვივიანო (ინტერი), ბრიტოსი (ნაპოლი), ეკდალი (იუვენტუსი), მორასი, მუტარელი, ბუშე (ყველა თავისუფალი აგენტი).

**მივიდნენ:** სტოიანოვიჩი (ლუშტენაუ, ავსტრია), პაონესა (ჩეზენა), ბერნაჩი (ტორინო), მიტროვიჩი (ვიქტორია, ჩეხეთი), კოდა (კრემონეზე), რიკლერი (კიევო), ჟილე (ბარი), ვანტჯატო, კრესპო (ორივე პადოვა), ანტონსონი (კოპემჰაგენი, დანია), პულცეტი (კიევო), ვიტალე (ნაპოლი), აკვაფრესკა (ჯენოა), ალიარდი (პადოვა), ტაიდერი (გრენობლი, საფრანგრეთი), დიამანტი (ბრეშა).

### კალიარი

**წავიდნენ:** მისიროლი (რეჯინა), აკვაფრესკა (ჯენოა), პელიცოლი (თავისუფალი აგენტი), ლანერი (ალბინოლეფე), მარკეტი (ლაციო), ლაძარი (ფიორენტინა).

**მივიდნენ:** სივაკოვი (ვისლა, პოლონეთი), ელ კაბირი (მელბიუ, შვედეთი), სივაკოვი (ვისლა, პოლონეთი), ელ ქაბირი (მელბიო, შვედეთი), მანკოზუ (სირაკუზა), იბარბო (ნასიონალი, კოლუმბია), ავრამოვი (ფიორენტინა).

### კატანია

**წავიდა:** შელოტო (ატალანტა), პეშე (ასკოლი), კარბონი (ლანუსი, არგენტინა), ტერლიცი, პლაზმატი (ორივე თავისუფალი აგენტი), ბერგესიო სენტ ეტიენი, საფრანგეთი), მორიმოტო (ნოვარა), სილვესტრი (პალერმო).

**მივიდნენ:** დელვეკიო (ატალანტა), მორეტი (ასკოლი), ტერაჩიანო (მილაცო), ბარიენტოსი (ესტუდიანტესი, არგენტინა), კეკო (ატლეტიკო, ესპანეთი), პალიალუნგა (როსარიო, არგენტინა).

### ჩეზენა

**წავიდნენ:** კაზერტა (ატალანტა), პელეგრინო (ატალანტა), პაონესა (ბოლონია), სამარკო (სამპდორია), დელაფიორე (პალერმო), ბუდანი (პალერმო), სანტონი (ინტერი), ფელიპე (ფიორენტინა), ფატიჩი (ჯენოა), აპია (თავისუფალი აგენტი), ხიმენესი (ალ აჰლი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები), გორობცოვი (ტორინო).

**მივიდნენ:** კალდიროლა (ინტერი), ტატინი (პავია), კიავარინი (დინამო ზ. ხორვატია), დე ფეუდისი (ტორინო), რანელა (გრასჰოპერსი, შვეიცარია), მუტუ (ფიორენტინა), როსი (ბარი), კომოტო (ფიორენტინა), ედერი (ბრეშა), კანდრევა (უდინეზე), გუანა (კიევო).

### კიევო

**წავიდნენ:** ბოლიაჩინო (ნაპოლი), კონსტანტი (ჯენოა), რიკლერი (ბოლონია), მარკოლინი (პადოვა), მანტოვანი (პალერმო), პულცეტი (ბოლონია), გრანოჩე (ნოვარა), ფერნანდესი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), გუანა (ჩეზენა).

**მივიდნენ:** რიკლერი (პიაჩენცა), ფარიასი (ფოჯა), ხანინი (კროტონე), იუნკო (ტორინო), ინგლეზე (ლუმეცანე), ბერტინი (პრო პატრია), ფატიჩი (ჯენოა), აჩერბი (ჯენოა), ფონდი (ფოლინო), ჰეტემაი (ბრეშა), ბასოლი (ფოლინო), მემუშაი (პორტოგრუარო), დეტორი (ტრიესტინა).

### ფიორენტინა

**წავიდნენ:** დონადელი (ნაპოლი), მუტუ, კომოტო (ორივე ჩეზენა), დაგოსტინო (უდინეზე), ავრამოვი (კალიარი), სანტანა (ნაპოლი), სუკულინი, დი ტაკიო (ორივე იუვე სტაბია), ფრეი (ჯენოა).

**მივიდნენ:** ფელიპე (ჩეზენა), როციო (კავანეზე), რომიცი (რეჯინა), მარიტატო (რეჯინა), პაპა ვაიგო (გროსეტო), ლეპილიე (უეპენი, ბელგია), ნასტასიჩი (პარტიზანი, სერბეთი), რომულო (კრუზეირო, ბრაზილია), ლაძარი (კალიარი), მუნარი (პალერმო).

### ჯენოა

**წავიდნენ:** რაფინია (ბაიერნი, გერმანია), პალოსკი (მილანი), ფატიჩი, აჩერბი (ორივე კიევო), ბოაკიე (სასუოლო), ფლორო ფლორესი (უდინეზე), კრიშიტო (ზენიტი, რუსეთი), ელ შაარავი (მილანი), დესტრო (სიენა), კონკო (ლაციო), ესპოზიტო (ლეჩე), სკარპი (კარიერა დაასრულა), მეჯორინი (ნოვარა), აკვაფესკა (ბოლონია), ვინეტო (კროტონე), ედუარდო (ბენფიკა, პორტუგალია), ჩიკო (მალიორკა, ესპანეთი), მილანეტო (პადოვა).

**მივიდნენ:** ლუპატელი (ბოლონია), ესპოზიტო (ბოლონია), ფატიჩი (ჩეზენა), ზიმა (სლავია, ჩეხეთი), ვინეტო (კროტონე), პარფაი (კროტინე), რუდოლფი (ბარი), ლაზარევიჩი (ტორინო), ჰალენიუსი (ლუგანო, შვეიცარია), ბენ ჯემია (ფროზინონე), აჩერბი (რეჯინა), პრატო (უნივერსიდადი, ჩილე), ბირსა (ოსერი, საფრანგეთი), სეიმური (უნივერსიდადი, ჩილე), კრაინიჩი (მარიბორი, სლოვენია), რიბასი (დიჟონი, საფრანგეთი), გრანკვისტი (გრონინგენი, ჰოლანდია), პაპასტატოპულოსი (მილანი), ბერეტი (მილანი), მერკელი (მილანი), ბოლცონი (სიენა), ფრეი (ფიორენტინა), ხარჯა (ინტერი), ხორკერა (კოლო კოლო, ჩილე), ესკობარი (დეპორტივო, კოლუმბია), კონსტანტი (კიევო), აკვაფრესკა (კალიარი), მეჯორინი (ბოლონია).

### ინტერი

**წავიდნენ:** კალდიროლა (ჩეზენა), ობინა (ლოკომოტივი, რუსეთი), მატერაცი, სუასო (ორივე თავისუფალი აგენტი).

**მივიდნენ:** სილიგარდი (ბოლონია), სანტონი (ჩეზენა), მუნტარი (სანდერლენდი, ინგლისი), ბელეკი (კროტონე), კასტანიოსი (ფეიენოორდი, ჰოლანდია), ვივიანო (ბოლონია), ალვარესი (ველესი, არგენტინა), ჯონათანი (სანტოსი, ბრაზილია).

### იუვენტუსი

**წავიდა:** რინაუდო (ნაპოლი), სალიჰამიჯიჩი (ვოლფსბურგი, გერმანია), ალმირონი (სიენა), ტრაორე (არსენალი, ინგლისი), აკვილანი (ლივერპული, ინგლისი), ფელიპე მელო (გალათასარაი, თურქეთი), სისოკო (პსჟ, საფრანგეთი).

**მივიდნენ:** პირლო (მილანი), პაციენცა (ნაპოლი), ციგლერი (სამპდორია), ტიაგო (ატლეტიკო, ესპანეთი), პასკუატო (მოდენა), ლანცაფამე (ბრეშა), ამაური (პარმა), მარონე (სიენა), ეკდალი (ბოლონია), ალმირონი (ბარი), ლიხტშტაინერი (ლაციო), ვიდალი (ბაიერი, გერმანია), ვუჩინიჩი (რომა).

### ლაციო

**წავიდა:** მეგნი (თავისუფალი აგენტი), ბერნი (ბრაგა, პორტუგალია), მუსლერა (გალათასარაი, თურქეთი), მენდიჩინო (გუბიო), მანფრედინი (სამბონიფაჩეზე).

**მივიდნენ:** კლოზე (ბაიერნი, გერმანია), ლულიჩი (იანგ ბოიზი, შვეიცარია), მაკივა (ლარისა, საბერძნეთი), კავანდა (ტორინო), მენდოჩინო (ასკოლი), კონკო (ჯენოა), მარკეტი (კალიარი), ცანა (გალათასარაი, თურქეთი), კარისო (სარაგოსა, ესპანეთი), სტანკიავიჩუსი (სამპდორია), სისე (პანათინაიკოსი, საბერძნეთი).

### ლეჩე

**წავიდა:** კოპოლა (პარმა), რისპოლი (სამპდორია), როზატი (ნაპოლი), მუნარი (პალერმო), სინი, ბერტოლაჩი (ორივე რომა), ვივესი (ტორინო), ჯულიატო, ფაბიანო, ჩევანტონი (ყველა თავისუფალი აგენტი).

**მივიდა:** დიამუტენი (პესკარა), კაჩია (პიაჩენცა), ესპოზიტო (ჯენოა), შტრასერი (მილანი), კაროციერი (პალერმო), ჟულიო სერჟიო (რომა), კუადრადო (უდინეზე), ობოდო (ტორინო).

### მილანი

**წავიდნენ:** მერკელი (ჯენოა), პაპასტატოპულოსი (ჯენოა), ბერეტა (ჯენოა), პირლო (იუვენტუსი), ვილა (ესპანიოლი, ესპანეთი), იანკულოვსკი (კარიერა დაასრულა), ალბერტაცი (ხეტაფე, ესპანეთი), ლეგროტალიე (თავისუფალი აგენტი), ონიევუ (სპორტინგი, პორტუგალია), ვერდი (ტორინო), შტრასერი (ლეჩე).

**მივიდნენ:** პალოსკი (ჯენოა), ძიგონი (ფროზინონე), დონარუმა (პიაჩენცა), ონიევუ (ტვენტე, ჰოლანდია), მექსე (რომა), ტაივო (მარსელი, საფრანგეთი), დინიცი (ეუპენი, ბელგია), კოპოლა (სიენა), ელ შაარავი (ჯენოა), კომი (ტორინო).

### ნაპოლი

**წავიდნენ:** პაციენცა (იუვენტუსი), ლუკარელი (პარმა), სანტაკროჩე, ბლაზი (ორივე პარმა), კრიბარი, იეცო, ჯანელო (ყველა თავისუფალი აგენტი), იებდა (ბენფიკა, პორტუგალია), ვიტალე (ბოლონია), დუმიტრუ (ემპოლი), სოსა (მეტალისტი, უკრაინა).

**მივიდნენ:** დალა ბონა (ატალანტა), დონადელი (ფიორენტინა), რინაუდო (იუვენტუსი), ინსინიე (ფოჯა), ფერნანდესი (ესტუდიანტესი, არგენტინა), ბოლიაჩინო (კიევო), როზატი (ლეჩე), მანინი (სამპდორია), ჯემაილი (პარმა), ბრიტოსი (ბოლონია), კოლომბო (ტრიესატინა), სანტანა (ფიორენტინა), ინლერი (უდინეზე).

### ნოვარა

**წავიდა:** გონსალესი (პალერმო), ბერტანი (სამპდორია), გალერი (კარიერა დაასრულა).

**მივიდნენ:** პაჩი (პარმა), გარსია (პალერმო), მორიმოტო (კატანია), მეჯორინი (ჯენოა), მაცარანი (უდინეზე), გალასი (პარმა), გრანოჩე (კიევო), მასაჩეზი (რიმინი).

### პალერმო

**წავიდნენ:** პაოლუჩი (სიენა), ლივერანი (თავისუფალი აგენტი), კაროციერი (ლეჩე), დარმიანი (ტორინო), მუნარი (ფიორენტინა), კასამი (ფულჰემი, ინგლისი), სირიგუ (პსჟ, საფრანგეთი), გოიანი (რეინჯერსი, შოტლანდია), კურტიჩი (ვარეზე).

**მივიდნენ:** დელაფიორე (ჩეზენა), ბუდანი (ჩეზენა), გონსალესი (ნოვარა), დი კიარა (რეჯინა), ველარდი (მოდენა), რუბინიო (ტორინო), რაჯი (ბარი), ჟოაო პედრო (ვიტორია, პორტუგალია), ზახავი (ჰაპოელი, ისრაელი), ლაბრინი (უაჩიპატო, ჩილე), მილანოვიჩი (ლოკომოტივი, რუსეთი), სიმონი (ხალადაში, უნგრეთი), პიზანო (ვარეზე), ბერტოლო (სარაგოსა, ესპანეთი), სეტო (ტულუზა, საფრანგეთი), დი მატეო (ვიჩენცა), მუნარი (ლეჩე), ლანცაფამე (ბრეშა), მანტოვანი (კიევო), სილვესტრი (კატანია).

### პარმა

**წავიდა:** ამაური (პარმა), ჯემაილი (ნაპოლი), ანჯელო (სიენა), კასტელინი (სამპდორია), პაჩი, გალასი (ორივე ნოვარა), ბოჟინოვი (სპორტინგი, პორტუგალია), პიზანო (ვიჩენცა), კანდრევა (უდინეზე).

**მივიდნენ:** კოპოლა (ლეჩე), ლუკარელი (ნაპოლი), პერეირა (არისი, საბერძნეთი), მანდორლინი (პიაჩენცა), კასტელინი (რომა), პელე (ალკმაარი, ჰოლანდია), სანსონე (ბაიერნი, გერმანია), ბორინი (ჩელსი, ინგლისი), სანტაკროჩე (ნაპოლი), ბიაბიანი (სამპდორია), ბრანდაუ (სიენა), ვალდესი (სპორტინგი, პორტუგალია), სკიავი (ვიჩენცა), კოლომბა (სპალ).

### რომა

**წავიდნენ:** კასტელინი (პარმა), მექსე (მილანი), ლორია (თავისუფალი აგენტი), რიისე (ფულჰემი, ინგლისი), პეტინარი (კროტონე), დონი (ლივერპული, ინგლისი), გუბერტი (ტორინო), გ. ბურდისო (როსარიო, არგენტინა), ვუჩინიჩი (იუვენტუსი), ჟულიო სერჟიო (ლეჩე), მენეზი (პსჟ, საფრანგეთი).

**მივიდნენ:** ოკაკა (ბარი), დალესანდრო (ლივორნო), სისინიო (ვილიარეალი, ესპანეთი), ბარუსო (ლივორნო), კრეშენცი (კროტონე), ბერტოლაჩი, სინი (ორივე ლეჩე), ნეგო (ნანტი, საფრანგეთი), ლამელა (რივერ პლეიტი, საფრანგეთი), ხოსე ანხელი (სპორტინგი, ესპანეთი), ჰაინცე (მარსელი, საფრანგეთი), ბოიანი (ბარსელონა, ესპანეთი), სტეკელენბურგი (აიაქსი, ჰოლანდია).

### სიენა

**წავიდნენ:** ბოლცონი (ჯენოა), მარონე (იუვენტუსი), კოპოლა (მილანი), კაპუტო (ბარი), კაჩატორე (სამპდორია), ბრანდაუ (პარმა), ჟენევიე (ლივორნო), კულიბალი (ტოტენჰემი).

**მივიდნენ:** პაოლუჩი (პალერმო), რადოი (სანტარკანჯელო), კოდრია (ბარი), დანტი (რეჯინა), პარავიჩინი (ლივორნო), ციოლისი (რასინგი, ესპანეთი), ალმირონი (იუვენტუსი), ანჯელო (პარმა), ბელმონტე (ბარი), დესტრო (ჯენოა), დაგოსტინო, ბრკიჩი, ანჯელა (ყველა უდინეზე).

### უდინეზე

**წავიდნენ:** ბელიკი (აეკ, საბერძნეთი), ლო (ვიჩენცა), კორადი (თავისუფალი აგენტი), მაცარანი (ნოვარა), დაგოსტინო, ანჯელა, ბრკიჩი (ყველა სიენა), ჰაიმე (გრანადა, ესპანეთი), ინლერი (ნაპოლი), კანდრევა (ჩეზენა), სანჩესი (ბარსელონა, ესპანეთი), კუადრადო (ლეჩე).

**მივიდნენ:** ხაიმე (ბარი), რომო (დე მერიდა, ვენესუელა), ობოდო (ტორინო), ნიომი (გრანადა, ესპანეთი), მურიელი (გრანადა, ესპანეთი), მენსა (გრანადა, ესპანეთი), გეიხო (გრანადა, ესპანეთი), დანი ბენიტესი (გრანადა, ესპანეთი), მოროზინი (ვიჩენცა), მაცარანი (მოდენა), მარინო (ასკოლი), ლაურიტო (ემპოლი), ფორესტიერი (ემპოლი), ალემაო (ვარეზე), დანილო (პალმეირასი, ბრაზილია), ფაბიანი (ემპოლი), ბრკიჩი (ვოივოდინა, სერბეთი), დაგოსტინო (ფიორენტინა), ფლორო ფლორესი (ჯენოა), ბარეტო (ბარი), პირისი (ნასიონალი, ურუგვაი), სისოკო (ტრუა, საფრანგეთი), დუბაი (იანგ ბოიზი, შვეიცარია), ნიუტონი (გრემიო, ბრაზილია).



მარტენ სტეკელენბურგი რომაელია

**ლაშა ნიკლაური**

---

ამბები



## ხეფრენი სპორტინგში მიდის

**ხოსეპ გვარდიოლა** ადასტურებს, "ბარსელონამ" შეთანხმებას მიაღწია და **ხეფრენ სუარესი** ლისაბონის "სპორტინგში" გაუშვა. 23 წლის ესპანელი 3 წელია, "ბლაუგრანას" ძირითად გუნდში ირიცხება, თუმცა სასტარტო შემადგენლობაში დამკვიდრება ვერაფრით მოახერხა. მისი პოზიციიდან გამომდინარე, **ალექსის სანჩესის** მოსვლის შემდეგ ეს პრაქტიკულად უკვე წარმოუდგენელი ხდება, რასაც გვარდიოლა ანგარიშს უწევს. *"იმ წლების განმავლობაში, რაც ხეფრენი ჩვენთან ერთად იყო, ის გუნდს არაერთხელ გამოსდგომია. თუმცა გვესმის, რომ ის უკვე 23 წლისაა და სათამაშო პრაქტიკა სჭირდება. გადაწყვეტილება მისი ტრანსფერთან დაკავშირებით სწორედ ხეფრენის ინტერესებიდან გამომდინარე მივიღეთ,"* – ამბობს გვარდიოლა.

"ა ბოლა" ამტკიცებს, რომ კატალონიელები ახალგაზრდა ფეხბურთელში 5 მილიონ ევროს მიიღებენ, ამას გარდა "ბარსას" ფეხბურთელის უკან გამოსყიდვის უფლებაც რჩებათ.

## პარიზელთა სამიზნე

ბრიტანული "მირორი" ამტკიცებს, რომ "პარი სენ-ჟერმენი" მზადაა, "მანჩესტერ იუნაიტედს" **დიმიტარ ბერბატოვში** 18 მილიონი გირვანქა, ანუ 20,6 მილიონი ევრო გადაუხადოს. ამ ტრანსფერზე ლაპარაკი ივნისის დასაწყისშიც იყო, მაგრამ მას შემდეგ ხმები მიწყნარდა. **ხავიერ პასტორეს** სავარაუდო ტრანსფერის შემდეგ (ეს საკითხი არც ერთ მხარეს ბოლომდე არ დაუდასტურებია), რომელიც პარიზელებს 43 მილიონ ევრომდე უჯდებათ, 30 წლის ბულგარელში 20 მილიონის გადახდა არავის გაუკვირდება. ჟურნალისტთა ეჭვს, რომ დიმიტარი კარიერას "ოლდ ტრეფორდზე" გააგრძელებს აძლიერებს, რომ "მანიუმ" ამ კვირაში 3 ფეხბურთელს (**ვალენსიას, პარკსა და ერნანდესს**) გაუფორმა ახალი კონტრაქტები, ბერბატოვისთვის კი არავის არაფერი შეუთავაზებია. მას კონტრაქტი "ალისფერ ეშმაკებთან" 2012 წლის ივნისის ბოლოს ეწურება.

## მზე მხოლოდ საქართველოში არ აჭერს

იაპონიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, "მაცუმოტო იამაგას" 34 წლის მცველი **ნაოკო მაცუდა** ორშაბათის ვარჯიშის შემდეგ გუნდის ექიმებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს. ვეტერანმა ვარჯიშის დაწყებიდან 35 წუთში მოულოდნელად გონება დაკარგა, გაუჩერდა პულსი და აღარ სუნთქავდა. პირველადი დახმარების შემდეგ მან თავი ცოტა უკეთ იგრძნო, თუმცა ძლიერ თავის ტკივილს, თაბრუსხვევას და გულისრევის შეგრძნებას უჩიოდა. ეჭვობენ, რომ ფეხბურთელმა მზის დაკვრა მიიღო.

**ლევან ბიბილაშვილი**

დანიშვნა




იურგენ კლინსმანი

# YES, I CAN!

## კლინსმანის შესრულებადი მისია: ამერიკა ბრაზილია 2014-ზე!

გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" ყოფილი დამრიგებელი, ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელი **იურგენ კლინსმანი** აშშ-ის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ოფიციალურად ორშაბათს წარადგინეს. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა აშშ-ის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი 2014 წლამდე გააფორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი უპირველესი მიზანი გუნდის მუნდიალზე გაყვანა, მერე კი ბრაზილიაში მაქსიმალურ წარმატებაზე ფიქრი იქნება.

*„ბევრს შესაძლოა გაუკვირდეს, რატომ გავაფორმეთ იურგენთან მხოლოდ სამწლიანი კონტრაქტი. საქმე იმაშია, რომ გვინდა ყველაფერს შევხედოთ, ავწონ-დავწონოთ, ვნახოთ, როგორი შედეგი ექნება ჩვენს გუნდს და მერე გადავწყვიტოთ, გვსურს თუ არა კლინსმანთან უფრო ხანგრძლივი თანამშრომლობა. ეს იდეა თვითონ იურგენმა წამოაყენა და ვფიქრობ, რომ სწორად მოვიქეცით,"* - აღნიშნა კლინსის წარდგენის შემდეგ აშშ-ის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **სუნილ გულატიმ**. მანამდე ამერიკულ პრესაში ვრცელდებოდა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ ამერიკელები კლინსმანისთვის 7-წლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებდნენ.

მიუხედავად ამისა, გულატი დარწმუნებულია, რომ კლინსმანი ამერიკის ნაკრებთან ერთად სერიოზულ წარმატებას მიაღწევს: *„ეჭვი ოდნავადაც არ მეპარება იმაში, რომ იურგენის დანიშვნით სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. მჯერა, რომ მასთან ერთად ახალი ერა იწყება,"* - ამბობს პრეზიდენტი.

*„13 წელია, ამერიკაში ვცხოვრობ და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ აქაურ ფეხბურთს კარგად ვიცნობ. აშშ-ის ეროვნული ნაკრების ჩაბარება ჩემთვის დიდი გამოწვევაა და სიმართლე გითხრათ, ზუსტად ისე ვღელავ, როგორც მაშინ, გამოუცდელი სპეციალისტი გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად რომ დამნიშნეს. ვამაყობ იმით, რომ ამერიკული ფეხბურთის მომავლის ნაწილი ვარ,"* - ეს კი თავად კლინსის სიტყვებია.

იურგენი ამერიკაში რევოლუციას არ გეგმავს. მართალია, თავისი იდეების განხორციელება აშშ-შიც სურს, მაგრამ ამბობს, ჯერ კარგად უნდა გავაანალიზო, რამდენად საჭიროა აშშ-ის ნაკრებში იმ სიახლეების დანერგვა, რაც თავის დროზე ბუნდესგუნდში დავნერგეო. იმავდროულად, კლინსიმ ამერიკის ნაკრების გულშემატკივრებს განუმარტა, ეიფორიაში ნუ ჩავარდებითო - *„ვიცი, რომ აქ ყველა მსოფლიოს ჩემპიონობაზე ოცნებობს, მაგრამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. 2014 წელს მუნდიალის მოგება არარეალურია. მანამდე აშშ-ის ნაკრები ფიფას რეიტინგის საუკეთესო ათეულში თუ დაიმკვიდრებს ადგილს, ესეც უდიდესი მიღწევა იქნება,"* - აცხადებს იურგენი.

კლინსის ამერიკული ფეხბურთის გაუმჯობესება განსაკუთრებით ბავშვთა ფეხბურთში სურს. მისი მიზანი პირველ რიგში აშშ-ის ჩემპიონატის დონის ამაღლებაცაა. 47 წლის სპეციალისტის თქმით, თუ ამ ორ მიზანს მიაღწევს, ნაკრებიც ავტომატურად გაძლიერდება.

აშშ-ის ნაკრები მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ასპარეზობას გაისად, 2012 წლის ივნისში დაიწყებს. ასე რომ, კლინსმანს თითქმის ერთი წელი აქვს იმისათვის, რომ შეძლებისდაგვარად ძლიერი გუნდი ჩამოაყალიბოს. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი მეტოქის ვინაობაა ცნობილი - იამაიკა. თუმცა უკვე მომავალ კვირაში კლინსის ახალ თანამდებობაზე პირველი გამოცდა ელის - აშშ ფილადელფიაში მექსიკას ამხანაგურად ეთამაშება - იურგენი გამოძახებულ ფეხბურთელთა სიას დღეს გამოაქვეყნებს. კლინსის ასისტენტები ჯერ არ აუყვანია და ამას უახლოეს მომავალში აპირებს. მანამდე კი, მექსიკასთან ტესტმატჩში, მისი თქმით, იურგენს დროებითი ასისტენტები დაეხმარებიან.

იურგენ კლინსმანი, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 108 მატჩში 47 გოლი აქვს გატანილი, ამერიკული ფეხბურთის ისტორიაში ეროვნული ნაკრების რიგით 35-ე მთავარი მწვრთნელია. აშშ-ის ფეხბურთის ფედერაცია კი ზუსტად ორ წელიწადში 100 წლის ხდება. მართალია, ამერიკელები მსოფლიოს ჩემპიონატზე ბოლო დროს რეგულარულად ხვდებიან, მაგრამ სერიოზული წარმატებისთვის არასდროს მიუღწევიათ - თუ არ ჩავთვლით 1930 წელს დაკავებულ მესამე ადგილს. 2010 წლის მუნდიალზე ამერიკელები მერვედფინალში გავიდნენ.

ამბები

## დანაშაული და სასჯელი

### პოლონელებმა პიშჩეკი 6 თვით მოკვეთეს!

ამას წინათ ვნერდით, რომ დორტმუნდის „ბორუსიას" და პოლონეთის ნაკრების მარჯვენა მცველ **ლუკაშ პიშჩეკს** ძველი დანაშაული ამოუჩხრიკეს - 26 წლის მარჯვენაფლანგელმა 2006 წელს თავის მაშინდელ თანაკლუბელებთან ერთად (იმ დროს „ლუბინის" ღირსებას იცავდა) ჩემპიონატის კალენდარული მატჩის მანიპულირებაში მიიღო მონაწილეობა. პიშჩეკმა დანაშაული აღიარა, რისთვისაც მას უკვე მიუსაჯეს ერთწლიანი პირობითი და 250 000 ევროც გადაახდევინეს. ახლა კი ლუკაში პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამაც დასაჯა: ეროვნულ ნაკრებში მას ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

*„გავიგე, რომ ასე სასტიკად მსჯიან და ისიც ვიცი, რომ 14 დღეში გასაჩივრება შემიძლია, მაგრამ არა მგონია, რომ ასე მოვიქცე. როცა ამ სასჯელის შესახებ ცნობას წერილობით მივიღებ, ჩემს ადვოკატს დაველაპარაკები და მერე გადავწყვეტ, როგორ მოვიქცე,"* - აცხადებს პიშჩეკი.

## გლადბახმა მანჩესტერის ტალანტი ინათხოვრა

გერმანიის ჩემპიონატის დაწყებამდე სამი დღით ადრე, მიონხენგლადბახის „ბორუსია" სატრანსფერო ბაზარზე კიდევ ერთხელ გააქტიურდა. გერმანიის ხუთგზის ჩემპიონმა, რომელიც გასულ სეზონში მეორე ბუნდესლიგაში გავარდნას ძლივს გადაურჩა, „მანჩესტერ იუნაიტედიდან" ახალგაზრდა ნორვეგიელი შემტევი ნახევარმცველი **ჯოშუა კინგი** გადაიბირა. მიონხენგლადბახელებმა 19 წლის კინგი ერთწლიანი არენდით აიყვანეს, ოფიციალურად კი დღეს წარადგენენ. წესით, „ბორუსიას" კინგი ჯერ კიდევ ზამთარში უნდა ენათხოვრა, მაგრამ მაშინ ნიჭიერი ნახევარმცველი მძიმედ დაშავდა და საოპერაციო გახდა, რის გამოც ტრანსფერი აქამდე გადაიდო. კინგი მიონხენგლადბახში გუშინ ჩავიდა და სამედიცინო შემოწმება გაიარა.

## პისარო სტარტს გამოტოვებს

„ვერდერის" მთავარი თავდამსხმელი **კლაუდიო პისარო** ბუნდესლიგის პირველ ტურში (შაბათს, „კაიზერსლაუტერნთან") ბრემენულ კლუბს ვერ დაეხმარება. მართალია, პერუელი გოლეადორი ვარჯიშს დღეს-ხვალ განაახლებს, მაგრამ შაბათს მისი მოედანზე გასვლა სარისკოა. შეგახსენებთ, რომ პისარომ ტრავმა კოპა ამერიკაზე მიიღო. სამაგიეროდ, კარგადაა „ვერდერის" დაცვის ბურჯის, **პერ მერტეზაკერის** საქმე, რომელსაც „მუსიკოსების" მთავარი მწვრთნელი **თომას შააფი** „კაიზერსლაუტერნთან", სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში გაამწესებს.



კლაუდიო პისარო

ბაიერნი



მარიო გომესმა და ბასტიან შვაინშტაიგერმა პენალტებით იხეირეს

## შვაინშტაიგერის მადლობა გომესს

### 3:0 ბრაუნშვაიგთან, მაგრამ ჰაინკესი მაინც უკმაყოფილოა

**ბრაუნშვაიგი–ბაიერნი 0:3**

**ბაიერნი (4-2-3-1)**: ნოიერი - რაფინია, ბოატენგი (91. ვან ბუიტენი), ბადშტუბერი, ლამი - ლუის გუსტავო, შვაინშტაიგერი - თ. მიულერი, კროოსი (88. პრანიჩი), ალაბა (81. ტიმოშჩუკი) - გომესი.

**გოლები**: 0:1 გომესი (9-პენ), 0:2 შვაინშტაიგერი (39-პენ), 0:3 თ. მიულერი (83)

მიუნხენის „ბაიერნმა" ორშაბათს, გერმანიის თასის პირველ რაუნდში ბრაუნშვაიგის „აინტრახტის" ბარიერი მარტივად გადალახა, მეორე ბუნდესლიგის ლიდერი 3:0 დაამარცხა და მეორე ეტაპზე გადავიდა. მიუხედავად მსუყე ანგარიშით მოგებისა (თანაც, ლიდერების, **ფრანკ რიბერისა** და **არიენ რობენის** გარეშე), უნდა ითქვას, რომ რეკორდმაისტერს შესანიშნავად არ უთამაშია, თუმცა მთავარი შედეგია, შედეგი კი კარგი დაიდო.

მიუნხენელებმა ფავორიტის სტატუსი ასი პროცენტით გაამართლეს. თვითონ განსაჯეთ: **იუპ ჰაინკესის** შეგირდები თამაშს პირველიდან ბოლო წუთამდე აკონტროლებდნენ და პასების სიზუსტის 94-პროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდათ. ბრაუნშვაიგელებს მიუნხენური გრანდის კართან რეალური საგოლე მომენტი არ შეუქმნიათ და რეკორდმაისტერის ახალი მეკარე **მანუელ ნოიერის** მთელი მატჩის განმავლობაში ფაქტობრივად უსაქმოდ იყო.

*„კარგად ვითამაშეთ, დამაჯერებლად მოვიგეთ, მაგრამ საბოლოო ჯამში კმაყოფილი მაინც არ ვარ, რადგან ვიცი, რომ ამ გუნდს მეტი შეუძლია,"* - განაცხადა „დონ იუპმა" მატჩის შემდეგ.

„ბაიერნი" მთავარმა გოლეადორმა, **მარიო გომესმა** (გასულ სეზონში 28 გოლით ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა) უკვე მე-9 წუთზე, პენალტით დააწინაურა. ოცი წუთის შემდეგ, „ბრაუნშვაიგის" მეორე თერთმეტმეტრიანიც დაინიშნა, მაგრამ ის გომესს აღარ დაურტყამს. პენალტი **ბასტიან შვაინშტაიგერმა** შეასრულა, საფინალო სასტვენის შემდეგ კი ჟურნალისტებს უთხრა: *„მარიომ დაბადების დღისთვის საჩუქარი გამიკეთა და პენალტი მე დამარტყმევინა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი,"* - თქვა 27 წლის შვაინიმ.

მიუნხენელთა მხრიდან მატჩის მთავარი გმირი **თომას მიულერი** გახლდათ, რომელმაც არა მარტო ის ორი თერთმეტმეტრიანი მოიპოვა, არამედ მესამე გოლი თვითონვე შეაგდო. თომასმა ბრაუნშვაიგელთა საჯარიმოში შეაღწია, კარისკენ არტისტულად შეტრიალდა და „ბრაუნშვაიგის" მეკარეს შანსი არ დაუტოვა.

რეკორდმაისტერის სამედიცინო შტაბის უკანასკნელი ინფორმაციით, შაბათამდე რიბერი და რობენი გამოჯანმრთელებას მოასწრებენ. რობენმა უკვე ვარჯიშიც კი დაიწყო, ფრანგი კი „ზებენერშტრასეზე" სრულად დღეს-ხვალ დაიტვირთება. შეგახსენებთ, რომ შაბათს „ბაიერნი" ბუნდესლიგის ახალი სეზონის პირველ ტურში მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ხვდება.

შალკე

## ჰუნტელაარი: 10-ზე მეტს გავიტან!

გერმანიის თასის პირველი რაუნდის მატჩის შემდეგ, რომელშიც „შალკემ" „ტენინგენი" 11:1 გაანადგურა, გელზენკირხენული კლუბის თავდამსხმელი **კლაას-იან ჰუნტელაარი** უბედნიერესი ადამიანი იყო. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან 27 წლის ჰოლანდიელმა ფორვარდმა ხსენებულ შეხვედრაში 4 გოლი გაიტანა.



კლაას-იან ჰუნტელაარი ახალი სეზონის დაწყებას მოუთმენლად ელოდება

*„სიმართლე გითხრათ, აღარც კი მახსოვს, პოკერი ბოლოს როდის შევასრულე. ცხადია, ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ ვაღიარებ, რომ უფრო მეტის გატანა მინდოდა. გერმანიის თასზე ერთ შეხვედრაში გატანილი გოლებით რეკორდი კარსტენ იანკერს ეკუთვნის, რომელმაც 2004 წელს „კაიზერსლაუტერნის" ფორმით ერთ შეხვედრაში ექვსი გოლი შეაგდო. მისი რეკორდის დამხობა მინდოდა,"* - აცხადებს ჰუნტელაარი „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

მართალია, იანკერის რეკორდი ვერ დაამხო, მაგრამ ჰოლანდიელს ახლა უკვე ახალი მიზანი აქვს: *„10 გოლზე მეტის გატანა მინდა და ვფიქრობ, ეს რეალურია,"* - ამბობს ჰუნტელაარი, რომელმაც გასულ სეზონში ბუნდესლიგაში მხოლოდ 8 გოლი შეაგდო. 10-ზე მეტი გოლის გატანა ჰოლანდიელისთვის მართლაც რეალურია. მთავარია, არ დაშავდეს, სხვა მხრივ კი ყველაფერი კარგადაა - „შალკეს" მთავარი მწვრთნელი **რალფ რანგნიკი** ჰუნტელაარს ენდობა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ესპანეთის სუპერთასი

# მზადება პირველი ელ კლასიკოსთვის



ჩაბი ალონსო ახალ სეზონს იმედიანად უყურებს

"ბარსას" კოტდივუარელმა ნახევარმცველმა **სეიდუ კეიტამ** "მარკას" ჟურნალისტებთან საუბრისას ხაზი გაუსვა იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს სეზონის მაჟორულ ნოტზე დაწყებას. შეგახსენებთ, რომ 14 და 17 აგვისტოს "ბარსელონა" და "რეალი" ესპანეთის სუპერთასისთვის ორმატჩიან დუელს გამართავენ. "რა თქმა უნდა, ეს არ არის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი, მაგრამ სუპერთასი ძალიან მნიშვნელოვანი ტიტულია როგორც ფეხბურთელების, ისე გულშემატკივრებისთვისაც. ამასთან, შეუძლებელია დავივიწყოთ, რომ სეზონის გამარჯვებით დაწყებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს," – განაცხადა კეიტამ.

"რეალის" ფეხბურთელები მომავალ დაპირისპირებებზე ჯერჯერობით უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე მეტოქეები. იმავე "მარკას" **იკერ კასილიასმა** განუცხადა, რომ სუპერთასისთვის საბრძოლველად მისი თანაგუნდელები ძალიან სერიოზულად არიან განწყობილნი: "ჩვენ არ ვართ კომერციული ორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ მატერიალურ სარგებელზე ფიქრობს. მერე რა, რომ ჩინეთში ვართ? აქაც ძალიან სერიოულად შეიძლება მომზადება მომავალი დაპირისპირებებისთვის. ამჟამად ჩვენი უპირველესი ამოცანა სწორედ სუპერთასისთვის მომზადებაა. რა თქმა უნდა ეს ყველაფერი აკვიატებულ იდეას ემსგავსება, მაგრამ ამ შეხვედრებში რაც შეიძლება კარგად გამოსვლას ვგეგმავთ. სწორედ ამიტომ არის, რომ ვარჯიშისას ძალებს არ ვზოგავთ".

მომავალ სუპერკლასიკოებზე ლაპარაკობს "რეალის" საყრდენი **ჩაბი ალონსოც**. მან გამოთქვა იმედი, რომ გუნდი შეძლებს და ყველა იმ ამოცანას გადაჭრის, რაც კი ახალ საფეხბურთო სეზონში მის წინაშე დგას. ბასკი შუახაზელი კმაყოფილია თანაგუნდელებთან შეთამაშების ხარისხით. "უკვე მეორე წელი იწყება, რაც ჩვენ ჟოზე მოურინიოს ხელმძღვანელობით ვთამაშობთ. ასე რომ, ერთმანეთს უკეთ ვიცნობთ, ვიდრე შარშან. ამჟამად კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად ვვარჯიშობთ და კონცენტრაციას სუპერთასის მატჩებზე ვცდილობთ. როცა "რეალში" თამაშობ, უნდა იცოდე, რომ ბრძოლა ყოველი ტიტულისთვის აუცილებელია," – განუცხადა ფეხბურთელმა "მარკას".

ცოტა განსხვავებულ თემებზე მსჯელობს **სერხიო რამოსი**. მან ინტერვიუ ფიფას ოფიციალურ საიტს მისცა, სადაც ჩემპიონთა ლიგის მომავალი გათამაშების ფავორიტებზე მსჯელობს. სერხიოს თქმით, ის ორ უმთავრეს კონკურენტს ხედავს, "ბარსელონასა" და "ინტერს". რამოსი ფიქრობს, რომ "რეალი" შარშანდელთან შედარებით ბევრად უფრო ძლიერია, რადგან გუნდს ახალი, კვალიფიციური ფეხბურთელები ჰყავს, ლაპარაკია **ფაბიო კოენტრაუზე, რაფაელ ვარანზე, ჰამით ალთინთოფზე, ნური შაჰინსა** და **მარია კალიეხონზე**. "რეალში" ახალი გუნდის ფორმირება მიდის. ამიტომ ერთმანეთთან შეჩვევა გვმართებს. ლიგის მოგების ფავორიტებზე ლაპარაკი ძალიან ნაადრევია, მაგრამ "ინტერი" და "ბარსელონა" მათ შორის ულაპარაკოდ იქნებიან," – ფიქრობს ფეხბურთელი.

ესპანური ტრანსფერები

# სარაგოსა ტრანსფერებზე მუშაობს

**გაბრიელ ფერნანდეს არენასის** შემდეგ "ატლეტიკო" მზადაა, "სარაგოსას" მეორე წამყვანი ფეხბურთელიც წაართვას. თუმცა ამაზე ცოტა ქვემოთ... მართალია, გაბის საკითხი ჯერ ბოლომდე მოგვარებული არ არის, მაგრამ ყველა ხვდება, რომ წერტილის დასმა მხოლოდ დროის ამბავია. ეს ბუნებრივია, რადგან "როხიბლანკო" თავისუფალ აგენტ ფეხბურთელს უკეთეს პირობებს სთავაზობს, ვიდრე "სარაგოსას" შეეძლო შეთავაზება, არაგონელთა ფინანსური პრობლემების შესახებ ჩვენს მკითხველს მოეხსენება. მადრიდელები 28 წლის ფეხბურთელთან თანამშრომლობას პირველ ეტაპზე 4 წლით გეგმავენ. ყველა ელოდება, რომ კონტრაქტის ხელის მოწერა დღე-დღეზე მოხდება. "მინდა, "სარაგოსაში" მადლობა გადავუხადო აბსოლუტურად ყველას. ამ კლუბში ოთხი მშვენიერი წელიწადი გავატარე და ყოველთვის მქონდა განცდა, რომ ჩემს ოჯახში ვიყავი. ამ კლუბთან უამრავი დაუვიწყარი მოგონება მაკავშირებს. შეუძლებელია ოდესმე დამავიწყდეს აქაური გულშემატკივრების სითბო," – აცხადებს გაბი.

"მარკას" ინფორმაციით, "ატლეტიკო" "სარაგოსადან" მეორე ფეხბურთელის გადაბირებასაც გეგმავს. ლაპარაკია 27 წლის განაპირა ნახევარმცველ **ანხელ ლაფიტაზე**. ანხელმა კარიერა არაგონულ კლუბში დაიწყო. 2007/09 წლებში ის "დეპორტივოში" ასპარეზობდა, საიდანაც ისევ "სარაგოსას" დაუბრუნდა. ფეხბურთელის მოქმედ კონტრაქტს ვადა 2012 წელს გასდის, რაც "ატლეტიკოს" საქმეს უადვილებს. მადრიდელები 9 მილიონად შეფასებული ნახევარმცველის ბევრად უფრო იაფად შეძენას ვარაუდობენ.

"ა ბოლას" ცნობით, "სარაგოსამ" გუშინ დილას "ბენფიკადან" **რობერტო ხიმენეს გაგო** შეიძინა. ტრანსფერის ღირებულებაზე მასმედია დუმს. ლისაბონურმა კლუბმა 25 წლის ესპანელ მეკარეში შარშან "ატლეტიკოს" 8,6 მილიონი ევრო გადაუხადა, მაგრამ მას იმდენად უფერული სეზონი გამოუვიდა, რომ "არწივები" იძულებულნი გახდნენ გაეყიდათ. "ბენფიკამ" მთავარი მწვრთნელის **ჟოზე ჟესუსის** თხოვნით, ახალი სეზონისთვის ორი მეკარე უკვე გადაიბირა – "ბრაგადან" **არტურო** და "ჯენოადან" ვეტერანი **ედუარდო**. შესაბამისად, რობერტოს ადგილი ამ კლუბში უბრალოდ აღარ დარჩა. რობერტო "ბენფიკაში" გადასვლამდე "სარაგოსაში" 2010 წლის იანვრიდან მაისამდეც უკვე ირიცხებოდა. მეკარე "ატლეტიკომ" არაგონელებს იჯარის წესით დაუთმო.



როგორც იქნა, რობერტო ხიმენეს გაგომ ატლეტიკო-სარაგოსა-ბენფიკას სამკუთხედში საკუთარი კუთხე პოვა - ახალ სეზონში სარაგოსაში ითამაშებს

ფრანგული ამბები


ტულუზის დამრიგებელ ალან კაზანოვას ბევრი საფიქრალი მიეცა

# რას გადაწყვეტს ტრეზეგე?

"ტოქსპორტის" ინფორმაციით, მას მერე, რაც 33 წლის **დავიდ ტრეზეგემ** "ნიცას" კონტრაქტზე უარი უთხრა, მას სხვა ფრანგული კლუბების შეთავაზებები უკვე აღარ გააჩნია. მიზეზი მარტივია: მას განუცხადებია, მართალია, სამშობლოში დაბრუნების წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ მირჩევნია, კარიერას იტალიაში ან ინგლისში თუ განვაგრძობ. ამ განცხადების გავრცელების შემდეგ მისით ინგლისური "სუონსი სიტი" დაინტერესდა. მეტიც, წყაროს მტკიცებით, ინგლისელებმა ფეხბურთელს ტელეფონით უკვე შესთავაზეს ხელსაყრელი კონტრაქტი და მზად არიან მას პირადადაც შეხვდნენ. შეგახსენებთ, რომ ტრეზეგე თავისუფალი აგენტია ("ერკულესის" სეგუნდაში გავარდნის შემდეგ ვარსკვლავმა ეს ნაბიჯი მალევე გადადგა) და "სუონსის" არც ერთ კლუბთან საქმის დაჭერა არ მოუწევს. იმავე წყაროს ცნობით, დავიდს შეთავაზება გროზნოს "ტერეკიდანაც" აქვს, თუმცა ვეტერანი მას სერიოზულად არც განიხილავს.

ამ დღეებში ლიგა 1-ში ერთი საინტერესო ტრანსფერი განხორციელდა. 30 წლის ცენტრალურმა მცველმა **ჟან-პასკალ მინიომ**, ვისაც მთელი კარიერა "ოსერში" ჰქონდა გატარებული, კონტრაქტი "სენტ ეტიენთან" გააფორმა. "მწვანეებს" ტრანსფერი 1,5 მილიონი ევრო დაუჯდათ, - გვამცნობს "ეკიპი".

საფრანგეთის ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღეღა დარჩა და "ტულუზი" სწორედ ახლა შეეჯახა სერიოზულ პროლემებს. გუნდში ტრავმათა სერია დაიწყო. აღნიშნულ ინფორმაციას ლიგა 1-ის საიტი გვაწვდის. ნორვეგიელმა თავდამსხმელმა **დანიელ ბრაატენმა** საზარდული დაიზიანა და, როგორც მინიმუმ, ორი კვირა ვერ ივარჯიშებს. მუხლის შედარებით მსუბუქი ტრავმა მიიღო ნახევარმცველმა **ეტიენ დიდომ**, გუნდს ისიც 2 კვირით დააკლდება. დაშავდნენ ნახევარმცველი **ეტიენ კაპუ** და ახალწვეული თავდამსხმელი **ემანუელ რივიერიც**. ამ უკანასკნელების დიაგნოზი ჯერ ზუსტად ცნობილი არ არის. შესაბამისად, რამდენ ხანში დაუბრუნდებიან ისინი გუნდს, ამის თქმა შეუძლებელია. ეს ოთხეული "აიაჩოსთან" (1-ლი ტური) გასვლით და "დიჟონთან" საშინაო მატჩებს გამოტოვებს.

აიაქსი


მაარტენ სტეკელენბურგი აიაქსში შეიძლება იასპერ სილესენმა შეცვალოს

# დანაკარგს შევსება უნდა

"აიაქსმა" **მაარტენ სტეკელენბურგი** "რომაში" გაყიდა. ჯერჯერობით გუნდის პირველ მეკარედ 25 წლის **კენეტ ვერმეერი** მიიჩნევა, ფეხბურთელი, რომელიც სტეკეს ყოველთვის ღირსეულად ცვლიდა, როცა მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებით რამე პრობლემა ჰქონდა. ასე იყო შარშანდელი სეზონის მეორე ნახევარშიც, როცა ჰოლანდიის ნაკრების ძირითადმა მეკარემ ტრავმა მიიღო და ლამის მთელი მეორე ნახევარი ლაზარეთში გაატარა. მიუხედავად იმისა, რომ **ფრანკ დე ბურმა** ვერმეერის შესაძლებლობები კარგად იცის, "დე ტელეგააფის" ინფორმაციით, მან "ნაიმეგენიდან" "ნარინჯისფერთა" ნაკრების კიდევ ერთი წევრის, 22 წლის **იასპერ სილესენის** გადაბირება მოინდომა. ოფიციალურ შეთავაზებას ჰოლანდიის ჩემპიონი ერედივიზეს კლუბს უახლოეს დღეებში გაუგზავნის.

"აიაქსის" 27 წლის თავდამსხმელის **მუნირ ელ ჰამდაუისა** და გუნდის სხვა წევრებს შორის არსებულ პრობლემებზე რამდენიმე დღის წინ ვწერდით. სწორედ მაროკოელის რთული ხასიათის გამო გახდა იძულებული დე ბური, ის მეორე გუნდში მიევლინა. თავდამსხმელის გადაბირების სურვილი გამოთქვა "უდინეზემ". ფრიულელები "ბარსელონაში" გადასული **ალექსის სანჩესის** შემცვლელს ეძებენ. ამ მიზნით "უდინეზეს" პრეზიდენტი **ჯამპაოლო პოცო** ფეხბურთელის აგენტ **სიგი ლენსს** შეხვდა. იტალიური პრესა წერს, რომ მაროკოელმა წელიწადში 1,5-მილიონიანი ხელფასი მოითხოვა, რისი გადახდაც სერია A-ს კლუბს უბრალოდ არ შეუძლია. ელ ჰამდაუის შეძენის სურვილი რამდენიმე დღის წინ "ეინდჰოვენმაც" დაადასტურა. თუმცა ჰოლანდიური პრესის ცნობით, ამას იქით საქმე ჯერ არ წასულა. "აიაქსს" ოფიციალური წინადადება ჯერ არ მიუღია. ელ ჰამდაუის შეძენის მსურველთა შორის ასახელებენ ასევე "ფულჰემს", მოსკოვის "სპარტაკსა" და ყაზანის "რუბინსაც".

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ინტერვიუ სერხიო აგუეროსთან

# მე ახალი მარადონა არ ვარ

**როდესაც** შენი ტრანსფერი პრემიერლიგაში ზაფხულის ყველაზე თვალშისაცემი ამბავია, ბუნებრივია პასუხისმგებლობა გეკისრება და ღელავ, მაგრამ სერხიო აგუეროსთვის ეს ღელვა არაფერია იმასთან შედარებით, რაც 2007 წელს, 19 წლისამ გადაიტანა, როდესაც, არც მეტი არც ნაკლები, დიეგო მარადონას სახლში ვალსს ცეკვავდა - იმ წელიწადს მან არგენტინელთა კერპის საყვარელი ქალიშვილი ჯანინა შეირთო ცოლად. რაც შეეხება „სიტის“, გამოადგება თუ არა ხმაურით მისული თავდამსხმელი, მალე გამოჩნდება. გთავაზობთ, აგუეროსთან, უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული ინტერვიუს თარგმანს.

**- რატომ გადაწყვიტეთ, რომ ინგლისში გადასვლის დრო იყო?**

- ინგლისური ფეხბურთის ყურება ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. მაშინაც კი, როდესაც სულ პატარა ბიჭი „ინდეპენდიენტეში“ ადგილის დამკვიდრებას ვცდილობდი, ვფიქრობდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს პრემიერლიგაში ამოვყოფდი თავს. ძალიან მომწონს ტემპი, რომლითაც ინგლისის ჩემპიონატში თამაშობენ. ვფიქრობ, აქაურ სტილს კარგად მოვერგები.

**- ბავშვობაში მართლა „ლივერპულს“ გულშემატკივრობდით?**

- გულშემატკივრობა გადაჭარბებული ნათქვამია, თუმცა „ლივერპულის“ თამაში მომწონდა და 2005 წელს, როდესაც ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მილანს“ 3:0 შემოუტრიალა, ამ გუნდის ყველა გოლს მივესალმებოდი.

**- თქვენთან დაკავშირებით ყველას თქვენი სიმამრი, დიეგო მარადონა ახსენდება. გვითხარით რამე მის შესახებ.**

- ძალიან ვამაყობ, მარადონას ოჯახის წევრი რომ ვარ. ამას განა მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ ის მსოფლიოს ყველა დროის უდიდესი ფეხბურთელი და არგენტინის გმირია, არამედ იმიტომ, რომ ის შესანიშნავი ადამიანია.

**- გულშემატკივართა უმეტესობა მარადონას სწორად, როგორც ადამიანს არ იცნობს. რა გააკეთა მან თქვენთვის მას მერე, რაც მისი სიძე გახდით?**

- როდესაც რაიმე რჩევა მჭირდება, მხარში მიდგას და მინდა გითხრათ, რომ სიტუაციის ანალიზში ყოველთვის პატიოსანი და პირუთვნელია. ის ყველაფერს მარტივად და ალალად აღიქვამს. მეც მასავით უბრალო ოჯახიდან ვარ და დიეგო სულ ხაზს უსვამს, რომ ადამიანს ფესვები არ უნდა დაავიწყდეს.

**- თქვენ ძალიან ახალგაზრდა დაქორწინდით. უკვე ვაჟი გყავთ. დაოჯახებამ თქვენს კარიერაზე დადებითად იმოქმედა?**

- ფეხბურთელები, რომელთაც მოედანს მიღმა დალაგებული ცხოვრება აქვთ, წარმატებას აღწევენ და მეც მათ კატეგორიას მივეკუთვნები. ჯანინა ჩემი ცხოვრების საყრდენია. ის საფეხბურთო გარემოში გაიზარდა და ამ სამყაროში ცხოვრების შესახებ ყველაფერი იცის. ეს ძალიან მეხმარება.

**- ხალხი მარადონას გადარებთ. როგორ გრძნობთ ასეთ დროს თავს?**

- მეღიმება, რადგან ამ ბიჭებს წარმოდგენა არ აქვთ, რას ლაპარაკობენ. დიეგო განსაკუთრებული იყო, ყველა დროის საუკეთესო. მას ვერავინ გაუტოლდება. როდესაც ბურთს მიიღებდა, ის ჯადოქრად იქცეოდა. ნამდვილი ლიდერი იყო, თანაგუნდელებს შთააგონებდა. ვერავინ მოახერხებდა არგენტინის ნაკრებსა და „ნაპოლიში“ იმას, რაც დიეგომ წლების წინ გააკეთა.

**- როდესაც მარადონას გადარებენ, ალბათ, თამაშის სტილს გულისხმობენ.**

- რასაკვირველია, მიდგომა მეც მისნაირი მაქვს: ვუტევ, ვრისკავ და მოედნის ბოლო მესამედზე მდგომარეობას ვამწვავებ. მეც, ისევე როგორც დიეგოს, დრიბლინგი მიყვარს, ვცდილობ მოწინააღმდეგეზე სხარტად ვითამაშო. დიეგოს მსგავსად მეც ემოციის სრულ მარაგს ვხარჯავ და ვგიჟდები, ისე მწყურია გამარჯვება. თუმცა, ყველა არგენტინელი ფეხბურთელი ბრძოლისუნარიანია. გარდა ამისა, როგორც უკვე გითხარით, დიეგო გენიოსი იყო, მე კი შეგირდი ვარ.

**- 2010 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე მარადონას ხელმძღვანელობით ითამაშეთ. უცნაური გრძნობა იყო?**

- შინ ჩვენ ოჯახი ვართ, მაგრამ იქ ის არგენტინის ნაკრების მწვრთნელი იყო, მე კი ფეხბურთელი. მან მე ნაკრებში გამომიძახა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე მარადონასთვის კი არ ვთამაშობდი, არამედ არგენტინისთვის. ამ ორი დამოკიდებულების დაცალკევება ძალიან ადვილია.

**- მართლა გქონდათ „იუვენტუსში“ გადასვლის ვარიანტი?**

- აგენტმა მითხრა, რომ „იუვენტუსთან“ რაღაც მოლაპარაკებები იყო, თუმცა მე არ ჩავრეულვარ. ყველაფერი მას მივანდე. მე ფეხბურთზე ფიქრი მიყვარს, ბევრს კი ფულსა და ტრანსფერებზე ფიქრი ურჩევნია.

**- „მანჩესტერ სიტისთან“ ერთად რას აპირებთ?**

- რასაკვირველია, ჯილდოების მოგებას. მე არც მსოფლიოს ჩემპიონი ვარ, არც ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული. რაც დრო გადის, ვგრძნობ, რომ დროა, კედლებზე მედლები ჩამოვკიდო. ვფიქრობ, ჩემი კარიერის შემდეგი წლები უფრო მნიშვნელოვანი იქნება.

**ილია ბაბუნაშვილი**



რუსეთი. პრემიერლიგა. XVIII ტური

# ნუკრი რევიშვილის ბენეფისი გრძელდება!



**ტომი–ტერეკი 0:1**

**გოლი:** 0:1 სილიდაროვი (51)

**რუბინი–ანჟი 0:3**

**გოლები:** 0:1 გაჯიევი (51), 0:2 პრუდნიკოვი (66), 0:3 ბუსუფა (90+2, პენალტით).

**დინამო–ვოლგა 2:0**

**გოლები:** 1:0 სემშოვი (59), 2:0 სამედოვი (90+5)

**გაძევება:** გრიგალავა (ვოლგა)

**კრასნოდარი–ცსკა 1:1**

**გოლები:** 0:1 ჰონდა (7), 1:1 მიხეევი (60)

*32-ე წუთზე მოვსისიანმა (კრასნოდარი) ვერ გამოიყენა პენალტი*

**გაძევება:** მარტინოვიჩი (კრასნოდარი), ნაბაბკინი (ცსკა)

**ზენიტი–(ნალჩიკი) 1:0**

**გოლი:** 1:0 ფაიზულინი (23)

**როსტოვი–ლოკომოტივი 0:3**

**გოლები:** 0:1 ლოსკოვი (8), 0:2 სიჩოვი (56, პენალტით), 0:3 ტარასოვი (81)

**გაძევება:** ხაგუში (როსტოვი)

**სპარტაკი (მოსკოვი)–ყუბანი 1:1**

**გოლები:** 0:1 ტრაორე (37, პენალტით), 1:1 ველიტონი (52)

**კრილია სოვეტოვი–ამკარი 1:1**

**გოლები:** 1:0 კორომანი (10), 1:1 მიხალიოვი (82)

**ერთთვიანი** პაუზის მერე განახლებულ რუსეთის ჩემპიონატში ორი ტური ჩატარდა და ყველაზე თვალშისაცემი სტუმართა დომინირება იყო. თავად განსაჯეთ: ამ ორ ტურში მხოლოდ ოთხი შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით; თანაც, ამ ოთხივე მატჩში უპირობო ფავორიტები (ცსკა, „ზენიტი“, „დინამო“, „ლოკომოტივი“) აუტსაიდერებს ხვდებოდნენ...

ჩემპიონატის მეორე და გადამწყვეტი ეტაპის დამთავრებამდე ჯერ საკმაოდ დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ, ფაქტობრივად, გარკვეულია იმ რვა გუნდის ვინაობა, გაზაფხულზე (ანუ, მესამე ცდაზე) მედლებისათვის რომ იბრძოლებს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შვიდი გუნდის ვინაობაა ცნობილი, აი, მერვე საგზურისათვის კი პრეტენზიას ერთი ქალაქის გუნდები აცხადებენ - „ყუბანი“ და „კრასნოდარი“. არ არის გამორიცხული, ამათ დავაში კიდევ ერთი სამხრეთული გუნდი „ტერეკიც“ ჩაერიოს, თუმცა გროზნოელები, ცოტა არ იყოს, არასტაბილურად ასპარეზობენ და ამას გარდა, შემადგენლობითაც ჩამოუვარდებიან ორივე კრასნოდარულ კლუბს.

... სულ ცოტა ხნის წინ ცსკა-ს პოზიციები ისეთი მყარი იყო, რომ **ლეონიდ სლუცკის** გუნდი ლამის წინასწარ გამოაცხადეს ჩემპიონად; თუმცა, „კრასნოდართან“ სტუმრად ნათამაშები ფრის შემდეგ არმიელებს „ზენიტი“ მიუახლოვდა და ამ ორი ლიდერის გარდა საჩემპიონო დავაში მოსკოვის „დინამოც“ უნდა ჩაერიოს — **სერგეი სილკინის** გუნდმა ზედიზედ მეხუთე გამარჯვებით სერიოზული განაცხადი გააკეთა. თუმცა, ჯობს ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ და, როგორც ყოველთვის, ძირითადი ყურადღება იმ მატჩებს დავუთმოთ, სადაც ქართველები იღებდნენ მონაწილეობას. ჩვენებურებზე საუბარი კი, რაღა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრებისა და მახაჩყალის „ანჟის“ 24 წლის მეკარით **ნუკრი რევიშვილით** უნდა დავიწყოთ. ზედიზედ მეორე ტურია რევიშვილი შთამბეჭდავად ასპარეზობს, თანაც იმასაც ხომ მნიშვნელობა აქვს, რა დონის გუნდებთან გამოავლინა მაღალი კლასი ქართველმა მეკარემ — „ზენიტთან“ და „რუბინთან“ შეხვედრებში, უდავოდ, გამორჩეული რომ გახლდათ. ჰო, ჯერ წინა ტურის მატჩი გავიხსენოთ: „ზენიტის“ ვარსკვლავებმა, **დანკო ლაზოვიჩმა, დანიმ** და **ალექსანდრ კერჟაკოვმა** ვერაფერი მოუხერხეს ჩინებულად მოასპარეზე ქართველ მეკარეს; ქვეყნის მოქმედ ჩემპიონთან რევიშვილმა, ალბათ, კარიერის ერთ-ერთი გამორჩეული შეხვედრა ჩაატარა და სამართლიანადაც დაიმსახურა რუსი ჟურნალისტებისაგან შექება და უმაღლესი შეფასებაც. რევიშვილი უშეცდომო იყო „რუბინთან“ მატჩშიც: ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ ქართველმა მეკარემ უაღრესად დამაჯერებლად და საიმედოდ იასპარეზა და მისი დიდი დამსახურებაც იყო, „ანჟიმ“ ძლიერ მეტოქეს სტუმრად დიდი ანგარიშით რომ აჯობა. რევიშვილის ასეთი შთამბეჭდავი თამაში ფეხბურთის ქართველ ქომაგს, რაღა თქმა, უნდა ძალიან ახარებს; თუმცა საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს **თემურ ქეცბაიასაც** გვარიანი თავსატეხი გაუჩნდა: რევიშვილის მსგავსად ხომ ასევე ჩინებულად თამაშობს თბილისის „დინამოს“ მეკარე **გიორგი ლორია...**

...ისევ რუსულ პრემიერლიგას დავუბრუნდეთ და ისიც ვთქვათ, რომ ბოლო ტურში რევიშვილის გარდა მხოლოდ ერთი-ორი ჩვენებურის თამაში თუ მიიქცევდა ყურადღებას. ბოლო მატჩების მსგავსად, კვლავაც ძირითადში ვიხილეთ „ტერეკის“ 28 წლის ნახევარმცველი **ლევან გვაზავა**, თავისი გუნდის შეტევებს უნარიანად რომ წარმართავდა. ისე, „ტერეკმა“ ერთობ კურიოზული გოლის წყალობით გაიმარჯვა - ბურთი 28 წლის **შამილ სილიდაროვმა** გაიტანა. საერთოდაც, ამ ტურში არაერთი კურიოზული გოლი ვიხილეთ: „ანჟის“ ნახევარმცველმა 23 წლის **მახაჩ გაჯიევმაც** ასე გახსნა ანგარიში და „ლოკომოტივის“ უბერებელმა კაპიტანმა, 27 წლის **დიმიტრი ლოსკოვმაც**. სხვათა შორის, „ლოკომოტივს“ აშკარად დაეტყო ახალი მწვრთნელის „ხელი“: პორტუგალიელი **ჟოზე კოუსეიროს** მოსვლის შემდეგ „რკინიგზელებმა“ ზედიზედ ორი მატჩი მოიგეს დიდი ანგარიშით (4:0, 3:0). თანაც, მომავალი ტურიდან „ლოკომოტივს“ სამი ცნობილი ახალწვეულიც დაემატება: **ფელიპე კაისედო** (ეკვადორი), **მანუელ და კოშტა** (პორტუგალია) და **ვიქტორ ობინა** (ნიგერია). მოგეხსენებათ, რომ რუსეთში სატრანსფერო „ფანჯარა“ პირველ აგვისტოს გაიხსნა და მოახლოებულ შაბათ-კვირას ზემოთ ჩამოთვლილი სამეულის გარდა სხვა ცნობილი ფეხბურთელების დებიუტსაც ვიხილავთ: იტალიელი **დომენიკო კრიშიტო** „ზენიტში“ იასპარეზებს, უნგრელი **ბალაშ ჯუჯაკი** — „ანჟიში“, ჰოლანდიელი **დემი დე ზეუვი** — „სპარტაკში“ და ასე შემდეგ. ასევე მომავალ ტურში ველოდებით **ოთარ მარცვალაძის** გამოჩენასაც, თუმცა ვიდრე პირველი ეტაპის ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელს დაიხმარდა, „კრასნოდარმა“ შეძლო და ცსკა-ს ქულები დააკარგვინა! სერბი სპეციალისტის, **სლავოლიუბ მუსლინის** გუნდი არაფერში ჩამოუვარდებოდა ფავორიტ მეტოქეს და პირველ ტაიმში სომხეთის ნაკრების ფორვარდს, **იური მოვსისიანს** პენალტი რომ გამოეყენებინა, შესაძლოა თამაში მოეგო კიდეც. თუმცა, „კრასნოდარი“ არც ერთი ქულით იქნებოდა უკმაყოფილო და ბარე იმასაც დავძენთ, რომ გუნდს კაპიტნის სამკლავურით კვლავაც 28 წლის **ალექსანდრე ამისულაშვილი** გაუძღვა. აი, „ვოლგას“ ასპარეზობა კი აშკარად უკეთესის სურვილს ტოვებს: **ომარ თეთრაძის** ნაცვლად დანიშნული **დიმიტრი ჩერიშევის** ხელმძღვანელობით გუნდმა უკვე 6 მატჩი ჩაატარა და აქედან მხოლოდ ერთხელ მოიგო, ხუთი კი წააგო. კიდევ კარგი, სხვა აუტსაიდერებიც ქულებს კარგავენ, თორემ „ვოლგა“ ცხრილის ფსკერზე აღმოჩნდებოდა. ბევრისთვის მოულოდნელად, „დინამოსთან“ მატჩში „ვოლგას“ ძირითადში მხოლოდ ერთი ქართველი, 21 წლის **გია გრიგალავა** თამაშობდა. სამწუხაროდ, ქართველი მცველისათვის ეს შეხვედრა უაღრესად წარუმატებლად დამთავრდა: პირველ ტაიმში, მასპინძელთა ნახევარმცველ **ალექსანდრ სამედოვთან** ორთაბრძოლისას ყვითელი ბარათი ხომ მიიღო, რამდენიმე წამში (!) იმავე სამედოვს კვლავაც წესების დარღვევით ეთამაშა და კვლავაც გაფრთხილება დაიმსახურა! აი ასე - დაახლოებით 30-წამიან (!) მონაკვეთში მიღებული ორი გაფრთხილების გამო გრიგალავას მოედანი ნაადრევად დაატოვებინეს და მატჩის შემდეგ, წაგებაც... ქართველ ფეხბურთელს დაბრალდა - „დინამომ“ ორივე გოლი შესვენების შემდეგ, რიცხობრივ უპირატესობაში მყოფმა გაიტანა. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ 22 წლის **მათე ვაწაძე** მოედანზე მატჩის მიწურულს გამოჩნდა, 26 წლის **გოჩა ხოჯავა** კი სათადარიგო გახლდათ...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 18 | 12 | 5 | 1 | 36-12 | 41 |
| 2. ზენიტი | 18 | 10 | 6 | 2 | 28-12 | 36 |
| 3. დინამო | 18 | 10 | 5 | 3 | 29-18 | 35 |
| 4. რუბინი | 18 | 8 | 6 | 4 | 24-16 | 30 |
| 5. ანჟი | 18 | 8 | 6 | 4 | 20-14 | 30 |
| 6. ლოკომოტივი | 18 | 8 | 4 | 6 | 31-22 | 28 |
| 6. სპარტაკი | 18 | 8 | 4 | 6 | 20-20 | 28 |
| 7. ყუბანი | 18 | 7 | 4 | 7 | 19-18 | 25 |
| 8. კრასნოდარი | 18 | 5 | 8 | 5 | 21-24 | 23 |
| 9. ტერეკი | 18 | 6 | 4 | 8 | 14-18 | 22 |
| 10. ამკარი | 18 | 5 | 5 | 8 | 13-24 | 20 |
| 11. ტომი | 18 | 4 | 7 | 7 | 18-28 | 19 |
| 12. ვოლგა | 18 | 5 | 1 | 12 | 17-23 | 16 |
| 13. ნალჩიკი | 18 | 2 | 7 | 9 | 15-25 | 13 |
| 14. როსტოვი | 18 | 3 | 4 | 11 | 19-33 | 13 |
| 15. კრილია | 18 | 2 | 6 | 10 | 10-27 | 12 |

**გია ტუხაშვილი**

# ქართული სპორტი

## იუბილე. შეხვედრა ოლიმპიურ კომიტეტში







მზია ჯუღელს დაბადებიდან საიუბილეო 85 წელი ვლადიმერ ვარძელაშვილმა და გია ნაცვლიშვილმა მიულოცეს

# ქალბატონებს იუბილე მიულოცეს

**საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გუშინ ოლიმპიურ ჩემპიონთა სიმრავლე იყო - ყველაზე ადრე პუნქტუალობით გამორჩეული რობერტ შავლაყაძე მოვიდა, მას ჯერ რომან რურუა მოჰყვა, მერე - გიორგი ასანიძე და ქეთევან ლოსაბერიძე. სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი დავით გობეჯიშვილი დილიდანვე იქ იყო, სულ ბოლოს კი ნინო სალუქვაძეც გამოჩნდა. თუმცა მანამდე მათი შეკრების მთავარი მიზეზი, ქართველ ქალთაგან პირველი ოლიმპიური ჩემპიონი მზია ჯუღელიც მოვიდა**

1 აგვისტო მისი და ლოსაბერიძის დაბადების დღეა, ოღონდ მრგვალი თარიღი ჯუღელს ჰქონდა - სახელოვანი ტანმოვარჯიშე 85 წლისა გახდა. იუბილარი მხნედ კი გამოიყურებოდა და არც ასაკის დამალვა უცდია, მაგრამ წლებს მაინც დაუტყვია თავისი - ხელჯოხით გამოცხადდა იუბილეზე. სხვა არაფერი მაწუხებს, მაგრამ სიარული მიჭირსო, თითქოს მოიბოდიშა ქალმა, რომელიც ბჯენით ხტომებში ასპარეზობდა. შეგახსენებთ, რომ ჯუღელის ტრიუმფი ოლიმპიადებში ქართველ სპორტსმენთა სადებიუტო თამაშებს - 1956 წლის ჰელსინკის ოლიმპიადას უკავშირდება, ხოლო ლოსაბერიძე მშვილდოსნობაში ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონი ქალია ევროპიდან.

იუბილარებს გუშინწინ დაბადების დღე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა **ვლადიმერ ვარძელაშვილმა** მიულოცა, რომელიც შინ ესტუმრა ქალბატონებს. ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობა ამ დღეებში დაბრუნდა ტრაბზონიდან, სადაც ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში მონაწილეობდა და შეხვედრა ამიტომ გადმოიტანა ერთი დღით. *„ისეთი ხალხის დაბადების დღეა, მათ დასახასიათებელად საჭირო სიტყვებისთვის დაფიქრებაც არ გჭირდება. საქართველოში თუ ოლიმპიური მოძრაობა და სპორტი არსებობს, ამაში მათ დიდი წვლილი მიუძღვით, როგორც იმ ადამიანებს, ვინც სპორტი შემოგვინახა. ნებისმიერ დიდ წარმატებას იმ სახეობის განვითარება მოსდევს და ასე იყო მათ შემთხვევაშიც. დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას გისურვებთ. როგორც აქამდე იყავით მაგალითი ახალი თაობისთვის, ასევე ყოფილიყავით მომავალშიც იმ მოზარდებისთვის, რომლებიც ხვალ დაიწყებენ ვარჯიშს სპორტის ამ სახეობებში“*, - მიმართა იუბილარებს სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა.**

*„ძალიან დიდი მადლობა ყველას ამ დღის აღნიშვნისთვის. სპორტს ლამის 67 წელიწადი შევწირე ჯერ როგორც სპორტსმენის, მერე - მწვრთნელისა და ხელმძღვანელის რანგში. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას“*, - თქვა მზია ჯუღელმა.




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ქეთევან ლოსაბერიძეს გია ნაცვლიშვილმა დაბადების დღე ოლიმპიურ კომიტეტში მიულოცა

ჯუღელს იუბილე მიულოცა, ხოლო სეოკ-ს მადლობა ლოსაბერიძემაც გადაუხადა. შეხვედრაზე ითქვა, რომ სექტემბერში, როცა მაჩაბლის ქუჩაზე სეოკ-ის ახალი ოფისი გაიხსნება, პირველი ოლიმპიური ჩემპიონებისთვის სიურპრიზია ჩაფიქრებული. იქვე გამოითქვა სურვილი, რომ ამ რანგის სპორტსმენთა წასახალისებლად, მათი ღვაწლის კიდევ უფრო დასაფასებლად იქნებ სპორტშიც დამკვიდრდეს ხელოვნებაში უკვე ფართოდ აპრობირებული ვარსკვლავის გახსნის მეთოდი ან რამე ამგვარი. ითქვა, რომ კარგი იქნება, თუ ასეთი „რაღაც“ სეოკ-ის ახალ ოფისში რეალობად იქცევა.

**ირაკლი თავაძე**

## შეკითხვა ლელოს

**შეკითხვა:** ამას წინათ „ლელოდან“ შევიტყვე, რომ ადრე მთამსვლელობისთვის დაწესებული იყო საპატიო წოდება „თოვლის ჯიქი“. საქართველოს ჩვენი სახელოვანი მთამსვლელებითაც იცნობენ მსოფლიოში. მაინტერესებს, ვის აქვს ქართველი ალპინისტებიდან მინიჭებული „თოვლის ჯიქის“ წოდება და საერთოდ, რა დამსახურებისთვის ანიჭებდნენ ამ წოდებას?

**ზურაბ და ზვიად ჯიქიები**
ზუგდიდი

**პასუხი:** „თოვლის ჯიქის“ წოდებას მთამსვლელებს ანიჭებდნენ სსრ კავშირის ტერიტორიაზე არსებული ოთხი შვიდიათასიანი მწვერვალის („კომუნიზმის „პიკი“, „ლენინის პიკი“, „კორჟენევსკაია“, „პობედა“) დალაშქვრისთვის. შემდეგში „პობედაზე“ ასვლები აიკრძალა და მისი ადგილი დაიკავა „ხან-თენგრიმ“ (7010).

საქართველოს მთამსვლელთაგან „თოვლის ჯიქის“ წოდება ექვსმა კაცმა დაიმსახურა. თავისებური რეკორდსმენია **ბიძინა გუჯაბიძე,** რომელმაც ხუთივე შვიდიათასიანი დალაშქრა. მათ შორის „ლენინის“, „კომუნიზმის“ და „კორჟენევსკაიას“ პიკებზე ორ-ორჯერ ავიდა, „პობედაზე“ — სამჯერ, ხოლო „ხან-თენგრიზე“ — ათჯერ (ერთხელ „ხან-თენგრიზე“ განახორციელა ჩქაროსნული ასვლა 4300 მეტრზე მდებარე საბაზო ბანაკიდან მწვერვალზე და უკან, რასაც 15 საათი მოანდომა. ეს შედეგი იმ დროს მსოფლიოში მეხუთე იყო). ამგვარად, გუჯაბიძე ორგზის „თოვლის ჯიქია“, ისევე როგორც **აფი გიგანი,** რომელიც სამ-სამჯერ იყო „ლენინის პიკზე“ და „ხან-თენგრიზე“, ხოლო დანარჩენებზე — ორ-ორჯერ. საქართველოს მთამსვლელთაგან „თოვლის ჯიქის“ ტიტულისთვის წაყენებული მოთხოვნები შეასრულეს აგრეთვე **რომა გიუტაშვილმა, გია თორთლაძემ, ლევონ სარქისოვმა** და **თამაზ შარაშენიძემ**.



ბიძინა გუჯაბიძე

## ძიუდო

# ჭაბუკთა გუნდიც გაირკვა

საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი ვაზაგაშვილმა** დაასახელა 11-14 აგვისტოს კიევში, მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა: **ზვიად ხუბულური, გიორგი კაციაშვილი** (ორივე - 50), **ივანე მამისაშვილი, გიგა აფაქიძე** (ორივე - 55), **თამაზ კირაკოზაშვილი, გიორგი გოგოლაშვილი** (ორივე - 60), **აპოლონ ზურაბიანი, გიორგი მუზაშვილი** (ორივე - 66), **ბექა დონლვანი, ლევან გუგავა** (ორივე - 73), **ბექა ლვინიაშვილი, ჯაბა კაპანაძე** (ორივე - 81), **შალვა ჩოჩელი, გურამ თუშიშვილი** (ორივე - 90), **გიორგი ლაზუაშვილი, ზაზა ხუბულური** (ორივე - +90).




ეს ლამის იგივე გუნდია, რომელმაც ივნისში მალტურ კოტონერაზე ევროპის პირველობაზე იასპარეზა, უმეტესობა კი წინა კვირას ტრაბზონშიც გამოვიდა ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე. ახლანდელი წევრებიდან მალტაში მხოლოდ ხუთს არ უჭიდავია - აფაქიძეს, გოგოლაშვილს, კაპანაძეს და ზაზა ხუბულურს. ამ ბიჭებიდან ჯერჯერობით ყველაზე უკეთეს სეზონს ლვინიაშვილი ატარებს - მალტაშიც ჩემპიონი გახდა და ტრაბზონშიც. მამისაშვილმა ევროპაზე იჩემპიონა, თურქეთში კი ბრინჯაო მოიპოვა. ლაზუაშვილმა და კირაკოზაშვილმა მალტაში ვერცხლი, ტრაბზონში კი ბრინჯაო ირგუნეს, გუგავა ორივეგან მესამეზე გავიდა, ჩოჩელი ევროპაზე მეორე იყო, თუშიშვილი - მესამე.

გუნდი კიევში 9 აგვისტოს გაემგზავრება.

**ირაკლი თავაძე**

# ძიუდო უშგულის ძირში



ჯიბილო ნიჟარაძე

**უჩვეულო** სანახავი იყო სვანეთის მაღალმთიანეთის სოფელი ცანა. უშგულის ძირას, ღია ცის ქვეშ, ტატამზე ძიუდოს ტურნირი ჩატარდა, რომელიც ამ სოფლის სახელოვანი ფალავნის, მსოფლიოს ვიცე და ევროპის ორგზის ჩემპიონის **ჯიბილო ნიჟარაძის** (1946-1993) ხსოვნას მიეძღვნა (მთავარი მსაჯი **იმედო ონიანი**). ასპარეზობას ცანას და მეზობელი სოფლების მრავალი ქომაგი დაესწრო.

ჯიბილოს მემორიალური ტურნირი სხვა დროსაც გამართულა, მაგრამ მის მშობლიურ სოფელში ეს პირველად მოეწყო. თანაც ზღვის დონიდან ასეთ სიმაღლეზე, ღია სივრცეში, ძიუდოისტთა ტურნირი მსოფლიოში, ვფიქრობთ, არსად მოწყობილა.

შეჯიბრების ორგანიზატორი იყო საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია, ლენტეხის გამგეობა და ჯიბილოს ძმისშვილი **მამუკა ნიჟარაძე.**

მონაწილეობდნენ ლენტეხის, ქუთაისის, მესტიის, ტყიბულის, ცაგერის, გარდაბნის, თბილისის, მარნეულის, წყალტუბოს, ბორჯომის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, საგარეჯოს და კასპის 1995-1996 წლებში დაბადებული ჭაბუკები.

სტუმრად ჩამოვიდნენ სახელოვანი ფალავნები: **დავით ხახალეიშვილი, ამირან ტოტიკაშვილი, გივი ონაშვილი, ანზორ მარტყოფლიშვილი, შენგელი ფიცხელაური, ოლეგ ზურაბიანი, კახა ქურასბედიანი, გიორგი გაჩეჩილაძე, ვალერი კიბორძალიძე, დავით ბერძენიშვილი, ბერდია გუგავა,** საქართველოს პარლამენტის წევრი **გოგი ლიპარტელიანი,** ცაგერისა და ლენტეხის მთავარი ეპისკოპოსი **მეუფე სტეფანე,** აბაშის რაიონის გამგებელი **გურამ გუნავა,** შეჯიბრებას ესწრებოდნენ ჯიბილო ნიჟარაძის ოჯახის წევრები.

მთავარი პრიზი — „ჯიბილოს თასი“ გათამაშდა მძიმე წონით კატეგორიაში და იგი **შმაგი ონიანმა** (ლენტეხი) დაიმსახურა.

### კვარცხლბეკი

**55 კგ.** 1. ავთანდილ კილაძე (მარნეული), 2. ალეკო ქვრივიშვილი (კასპი), 3. ირაკლი ხვიბლიანი (თეთრი წყარო), 3. მირზა გუჯეჯიანი (კრწანისი).

**60 კგ.** 1. გოგა ლომთაძე, 2. პაპუნა ონიანი (ორივე-ქუთაისი), 3. ვალერი ახვლედიანი (მარნეული), 3. სიმონ ლვაჩლიანი (გარდაბანი).

**66 კგ.** 1. ბექა ფალიანი (მესტია), 2. კოტე გუჯეჯიანი (ბოლნისი), 3. ნუკრი თევდორაძე (ლენტეხი), 3. ზურაბ ჩადუნელი (ბორჯომი)

**73 კგ.** 1. ლერი დადვანი (ბოლნისი), 2. ნოდარ ბერიანი (ლენტეხი), 3. ლაშა ლიპარტელიანი (ქუთაისი), 3. გიორგი დარისპანაშვილი (საგარეჯო).

**81 კგ.** 1. ზაურ მამარდაშვილი (საგარეჯო), 2. ჯაბა ჩეჩელაშვილი (ქუთაისი), 3. სოსო ფურელიანი (ლენტეხი), 3. ირაკლი კვიციანი (გარდაბანი).

**90 კგ.** 1. გიორგი ჯიბლაძე (ქუთაისი), 2. ამირან ავალიანი (გარდაბანი).

**+90 კგ.** 1. შმაგი ონიანი (ლენტეხი), 2. ილია ნაცვლიშვილი (თბილისი), 3. რევაზ არსენიძე (ქუთაისი).

**გაბრიელ ბარჯაძე**

## ჩოგბურთი

# გორგოძე და ქვაცაბაია

**ქართველ** ჩოგბურთელ ქალთაგან საერთაშორისო შეჯიბრებებში ამ კვირას **ეკატერინე გორგოძე** და **სოფიო ქვაცაბაია** ჩაებნენ. გორგოძე გერმანიის ქალაქ პეჩინგენის 25-ათასიან ტურნირში ცდის ძალებს. ასპარეზობა საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო. მე-6 ნომრად განთესილი ჩვენებური პირველ წრეში თავისუფალი იყო, მეორეში მან ჩეხ **ვერონიკა ზავოდსკას** აჯობა - 6:4,6:0. მომდევნო რაუნდში მე-9 ნომერ **დანიელა სეგულის** (ჩილე) წინააღმდეგობას თუ დაძლევს, ძირითად ბადეში მოხვდება.

თურქეთის ქალაქ სტამბოლში 10-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეშია ქვაცაბაია, რომელმაც სტარტზე ?ღბლიანი წაგებულის სტატუსით მოთამაშე სლოვენიელ **იანინ კოლეტას** მოუგო - 6:2, 6:1. მეორე წრეში ბერძენ **სტამატია ფაფალიუს** მძლეველ (6:4, 6:4) ესპანელს - **ნურია პარისას-დიასს** დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# სევანზე სომხების თხოვნით


ბაადურ ჯობავა

გალელმა დიდოსტატმა **ბაადურ ჯობავამ** სომხეთის საერთაშორისო ტურნირი („სევანის ტბა 2011“) წარმატებით დაასრულა და სამშობლოში დაბრუნდა. გუშინ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში შევხვდი - ხანტი-მანსიისკში მსოფლიოს თასზე გასამგზავრებლად ვიზის დროულად მოგვარებას ეშურება.

**- წლეულს სულ ოთხ შეჯიბრებაში იასპარეზეთ. შვიდ თვეში ეს ცოტა ხომ არ არის?**

- გეთანხმებით, ასეა, მაგრამ ტურნირები ობიექტური მიზეზებით გამოვტოვე - შვილი შემეძინა და ეს დებიუტი ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ერთგვარად ევროპის პირადმა ჩემპიონატმაც დამწყვიტა გული. შარშარ და შარშანწინ კონტინენტის პირველობებზე მოპოვებული ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების შემდეგ წლეულს უფრო მაღალი სინჯის ჯილდოსთვის ვიბრძოდი. მიზანთანაც ახლოს ვიყავი, მაგრამ ბოლოსწინა ტურში რუს პოტკინთან თითქმის მოგებული პარტია წავაგე და საბოლოოდ ათეულს მიღმა აღმოვჩნდი. ჩემი ჩრდილოელი მეტოქე კი ჩემპიონი გახდა. მაისში ბოსნიის ღია საერთაშორისო ტურნირში ვიასპარეზე და პირველი ადგილი დავიკავე, ოქროს მედალი მხვდა უკრაინის გუნდურ ჩემპიონატში. ჩერნიგოვის გუნდში გამოვდივარ მეორე წელიწადია. შარშანაც პირველები ვიყავით, ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე კი 2010 წელს ბრინჯაო გვერგო.

**- „სევანის ტბის“ ტურნირიც იღბლიანი აღმოჩნდა...**

- რვა თვეა, სამშობლოში არ ვყოფილვარ, ცოლოურს ვიყავი უკრაინაში. მშობლების სანახავად და ვიზების მოსაგვარებლად ჩამოვედი. სომხეთის ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტსა და საჭადრაკო აკადემიის თავკაც სმბათ ლპუტიანსაც ხათრი ვერ გავუტეხე - მისი თხოვნით ჩავედი „სევანის ტბის“ ტურნირზე სათამაშოდ. მსოფლიოს თასის წინ საკუთარი ძალების შესამოწმებლად კარგი საშუალება გამოდგა. მართალია, 2700-იანთა კლუბიდან მარტო მე ვიყავი, მაგრამ საკმაოდ ძლიერი მეტოქეები მყავდა. საასპარეზოდ და დასასვენებლად მასპინძლებმა შესანიშნავი პირობები შეგვიქმნეს. ასე რომ, მართლაც ღირდა იქ მონაწილეობა.

**- ჰო, მაგრამ ძალიან გვანერვიულე, განსაკუთრებით არმან პაშიკიანთან წაგებით...**

- კარგა ხნის სათამაშო პრაქტიკის უქონლობამ აშკარად იმოქმედა ჩემზე. ტურნირი მძიმედ დავიწყე. ზედიზედ ორი ყაიმის შემდეგ პაშიკიანთან წავაგე. ძველინდური დებიუტი ცუდად გავითამაშე - უარესი პოზიცია მივიღე, მდგომარეობის გამოსწორება მერეც ვერ შევძელი და, ასე ვთქვათ, „დამსახურებულად“ დავმარცხდი. თუმცა, პაშიკიანთან რევანშის აღების შანსი, ალბათ, ხანტი-მანსიისკში მსოფლიოს თასზე მომეცემა. პირველ წრეში აზერბაიჯანელ ნამიგ გულიევს ვხვდები. წარმატების შემთხვევაში პაშიკიანსა და პოლონელი რადოსლავ ვოიტაშეკს შორის გამარჯვებულს დავუპირისპირდები. ამ წყვილში უძლიერესის გამოცნობა ძალიან ძნელია, რადგან თანაბარი ძალის დიდოსტატები არიან. გულიევის წინააღმდეგობას თუ დავძლევ, წმინდა სპორტული ჟინით, არმანთან შეხვედრა მირჩევნია.

მსოფლიოს თასზე მესამედ ვმონაწილეობ და სამივეჯერ ხანტი-მანსიისკში. წინა ორში მესამე წრემდე მივაღწიე. იქ კი ჯერ რუბლოვსკისთან, შარშან კი გრიშჩუკთან დავმარცხდი. წლეულს ვეცდები, ეს დათარსული საფეხურიც დავძლიო.

**- კიდევ რომელ ტურნირებში იასპარეზებ?**

- შემოდგომით ევროპის გუნდური და საკლუბო ჩემპიონატებია. ვეცდები, იქაც გავახარო ქომაგები.

**ვაჟა დანელია**

# პაიკიძემ მოგებით დაიწყო

ინდოეთში გუშინ დაიწყო 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობა. გოგონებში მედლებისთვის სხვადასხვა ქვეყნის 69 წარმომადგენელი იბრძვის, მათგან ორი - საქართველოდან. პირველ ტურში ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა **ნაზი პაიკიძემ** (2416) სომეხი მარია გევორქიანი 33-ე სვლაზე დაამარცხა. წარმატებას მიაღწიეს სხვა ფავორიტებმაც: სოფია ედესი (სლოვაკეთი)-ანასტასია სავინა (რუსეთი) 0:1, დეიზი კორი (პერუ)-ბოდა ფრატიუშა (ინდოეთი) 1:0, კატერინა მიჩელი (ინდოეთი)-ოლგა გირია (რუსეთი) 0:1, როუთ რადმინი (ინდოეთი)-რობერტა ბრუნელო (იტალია) 1:0, აილენ მარტინესი (არგენტინა)-ირინა ბულმაგა (რუმინეთი) 0:1, ნარმინ კაზიმოვა (აზერბაიჯანი)-სავედა (ინდოეთი) 1:0, **ქეთი წაწალაშვილი** სხვადასხვა მიზეზით გვიან გაფრინდა ინდოეთში და კენჭისყრისას უწყვილოდ დარჩა. მეორე ტურიდან კი უქულოდ ჩაებმება და დღეს არგეტინელ აილენ მარტინესს დაუპირისპირდება, ნაზი პაიკიძე შავი ფიგურებით აზერბაიჯანელ ულვია ფატალიევას შეხვდება. ასევე, ინტერესს იწვევს ანასტასია სავინა-კაროდ ფორესტიეს (საფრანგეთი), ნანდიჰაა (ინდოეთი)-დეიზი კორის, ოლგა გირიას-აისა იმეევას (რუსეთი), პონ კსიტიკას (ინდოეთი)-როუთ რადმინის, ირინა ბულმაგა-კარლა სერანო ჰერედია (ეკვადორი) ბალა კანამა (ინდოეთი)-ნარმინ კაზიმოვას ორთაბრძოლები.

რაც შეეხება ვაჟთა შეჯიბრებას, აქ პირველობისთვის 126 მოჭადრაკე იბრძვის. სამწუხაროდ, საქართველოს წარმომადგენელი არ ჰყავს. პირველ ტურში 45-მა მოჭადრაკემ გაიმარჯვა.

დღეს მე-2 ტურის შეხვედრები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**




თავგადასავლები

## საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ფეხბურთში, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი

**ბ-ნ ჯემალს ძალიან წარმატებით უმოღვაწია ქართულ სპორტში. ჩამოთვლა დიდ ადგილს დაიჭერს, ამიტომ მის მოგონებებს მივადევნოთ თვალი.**

### შვილობილი

1998-99 წლებში, თურქმენეთში ამ ქვეყნის ფეხბურთის ნაკრებს ვწვრთნიდი და ტრაბახი არ გამომივა, თუ ვიტყვი, რომ გუნდმა შესანიშნავ წარმატებას მიაღწია. მთელი ქვეყანა ჩემს ქებაში იყო.

ქება ქებად და იქაურები ყველანაირად ცდილობდნენ რაიმე ესიამოვნებინათ ჩემთვის. მაგრამ პატივისცემა ხომ ინდივიდუალურია და ყველას თავისებურად გამოსდის. ასე მოხდა იმ შემთხვევაშიც.

ბაზარში ვარ. მომესალმა ერთი სიმპათიური მამაკაცი-ფანი. მიკითხვა-მოკითხვის შემდეგ უცერემონიოდ მომახალა ჩემთვის სრულიად მოულოდნელი რამ.

- ია ხაჩუ ვამ მალენკი ვერბლიუდ პადარიტ...

- რა? - გადავირიე - კოზაკი რად მინდა? სასტუმროში ვცხოვრობ... არა, კოზაკი რად მინდა?

არაო, - არ მეშვება. მართალია, 6 შვილი მყავს, მაგრამ შვილს ვერ გაჩუქებ, განა მენანება, კანონი კრძალავს და ისევ კოზაკს გაჩუქებო.

ზრდილობიანი უარით და ხელის სავსავით დავშორდი.

რად გინდა მერე! - გამღვიძა მეორე დილით და სასტუმროს წინ არ აბია ჩემი მომავალი „შვილობილი“?! შუბლზე ფურცელი აქვს მიმაგრებული წარწერით: „ვ ზნაკ ბლოგოდარნოსტი“.

რას ვიზამდი? - გზააბნეულ, ერთი თვის ასაკის უმწეო არსებას ქუჩაში ხომ არ გავუშვებდი?!

დავიხმარე დამლაგებელი ქალი. მივუჩინეთ პატარა ოთახი სასტუმროს სარდაფში. „ვერბიონოკი“ დავარქვი. მომეჩვია და როგორ... მომეჩვეოდა აბა რა, სულ სნიკერსებით და საუკეთესო ნამცხვრებით ვუმასპინძლდებოდი.

ასე გაგრძელდა კარგა ხანს, მაგრამ ბოლო ყველაფერს აქვს და დამთავრდა ჩემი მოღვაწეობა იმ ქვეყანაში.

საქართველოში გამომგზავრების წინ გამოსამშვიდობებლად მივაკითხე „შვილობილს“. არ ვიცი როგორ იგრძნო, რომ სამუდამოდ ვშორდებოდი. ლაპარაკი რომ სცოდნოდა, ვიფიქრებდი დამლაგებელმა უთხრა-თქო. მოკლედ, ძალიან უხასიათოდ შემხვდა. დავუძახე და არ მოვიდა, ისევ მე მივედი. ცრემლიანი თვალებით ამომხედა და ჩემ მიერ მირთმეულ ნუგბარს არა თუ პირი არ დააკარა - ზედაც არ შეხედა. აშკარად ცრემლით გლოვობდა ჩვენს განშორებას, რამაც კინაღამ მე და ჩემი თანამოზიარე დამლაგებელიც აგვატირა. სხვას არ დავუჯერებდი, ჩემი თვალით რომ არ მენახა...

### გზააბნეულები

საქართველოს ოლიმპიური ნაკრები, რომელსაც მე ვწვრთნიდი, მოლდოვას ფეხბურთის ნაკრებს ეთამაშება.

ჟურნალისტების „თავგასულობის“ ამბები კი იცით. ტყუპისცალივით გვანან ერთმანეთს ყველა ქვეყანაში და მოლდოვა რატომ იქნებოდა გამორჩეული. მოკლედ, თამაშამდე ერთი საათით ადრე შემომეხვივნენ ეს „ნაირნაირი“ ტელერადიო თუ ბეჭდვითი მედიის ჟურნალისტები და ისეთ არაორდინალურ კითხვებს მაყრიან, კაცი თუ მაგარი ნერვების პატრონი არ ხარ, ჭკუიდან შეიშლები.

- თქვენს ნაკრებში ყველა ქართველია? - მეკითხება ერთი.

- რა თქმა უნდა.

- და ყველა ცოლიანი? - ახლა გოგო ჟურნალისტი მეკითხება.

- ნახევარი მაინც - ვპასუხობ მოთმინებით.

- მოგება გინდათ?

- არა, რას ლაპარაკობთ! ერთი სული გვაქვს, როდის წავაგებთ!

- შუტნიკ! - „მიხვდა“ იუმორს ერთ-ერთი და სხვებს ანიშნა, არ მოტყუვდეთო.

ბოლოს სულ გაუტიეს და არ იკითხავთ რას მეკითხებიან? - ხომ ვერ გვეტყვით, რომელი გვარის ფეხბურთელი რომელი ნომრით თამაშობსო.

ამათ რომ ყველაფერი ისე ვუთხრა, როგორცაა, ხომ იგივეა, რომ სახელმწიფო საიდუმლოება გავცე, მაგრამ გგონიათ მეშვებიან?

ამიტომ, ჩათრევას ისევ ჩაყოლა ვამჯობინე:


ჯემალ გუგუშვილი

- კარგით, ბატონო - კარში თამაშობს „ვ.ბ.“ - დავასახელე თავდამსხმელის გვარი. დაცვაში თამაშობენ: „ა“. „გ“ და „კ“ - ავურიე ერთმანეთში მეკარის და ნახევარმცველების გვარები. მოკლედ, ისე ავბურდ-დავბურდე ყველაფერი, რომ კინაღამ თვითონ დავიჯერე.

თამაში ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა, ოღონდ იყო ერთი არასასიამოვნო ფაქტი, რაც მოგების სიხარულს გვინელებდა. რა და, მოტყუებული ჟურნალისტები ჩემი დანახვისთანავე ერთ ხმაში აყვირდნენ: „დეზინფორმატორ, დეზინფორმატორრრ!!! (მაშ რა ეგონათ?).

### სადაა ბოტასები?

საზღვარგარეთ ვართ ტურნეში.

მოგეხსენებათ, სასტუმროს ნომერში უმეტესად ორი-ორი სპორტსმენი ცხოვრობს. ასე იყო მაშინაც. ერთი ჩემი თანაგუნდელი მეგობარი ცხოვრობდა ჩემთან ერთად, გვარს არ ვასახელებ, რა იცი, დრო გავიდა და ზნეშეცვლილს არ ეწყინოს.

მოკლედ, ისეთი არაფერი მომხდარა, რაც ხშირად არ ხდება. ეს ჩემი თანამეოთახე მეგობარი საოცრად „ხვრინვის მოყვარული“ აღმოჩნდა. გამიმწარა სიცოცხლე და დამიკარგა ძილი და მოსვენება.

ერთ ღამესაც ახალი წაძინებული ვარ და - ხრრრრ!! - მესმის. ვაჟბატონი შეუდგა „ღამის შემოქმედებას“. სადღაც გაგონილი მქონდა, კაცი რომ ხვრინვას დაიწყებს, ყურთან უნდა დაუსტვინო და შეწყვეტსო. ავდექი, ფეხაკრეფით მივეპარე და ყურთან ნაზად ჩავუსტვინე. კაცმა რომ თქვას, ცოტათი იმანაც გაანაზა ხვრინვა, მაგრამ მთლად არ შეუწყვეტია. ჯანდაბას, თუ არ მოუმატა, ასე „ლაითად“ იხვრინოს-მეთქი. გამოვბრუნდი ისევ ფეხაკრეფით. სანამ ჩემს ლოგინს მივუახლოვდებოდი, არ შეუტია მთელი ძალით? მივედი ისევ და ახლა ღონივრად ჩავუსტვინე. თითქოს ამას ელოდა, ახვრინდა და რა ახვრინდა. უმატებს და უმატებს. უცბად ისიც გამახსენდა, რომ ამ დროს კაცი გვერდზე უნდა გადააბრუნო, მაგრამ რა დაძრავს ამხელა კაცს.

- გადაბრუნდი! გადაბრუნდიი! - მივეცი პირველი წინადადება. მოგცლია ერთი. ვის ესმის, თუ ძმა ხარ. უფრო გახელებით ახრიალდა, სადაცაა დაიხრჩობა... დავეჯაჯგურე, იქნებ გადავაბრუნო-თქო, მაგრამ ეს საქმე არც ისე იოლი აღმოჩნდა. ეგ კი არა, გაბრაზებულმა ისე გამიქნია მარჯვენა ხელი, რომ მომხვედროდა, ალბათ მე უარესად ავხრიალდებოდი სიკვდილის წინ.

ისევ სტვენის მეთოდს მივმართე. არა, არაფერი გამოდის. უცბად მოხდა სასწაული. კაცმა ერთი ღრმად ამოიხვრინა, მერე გაჩუმდა და ეს მტანჯველი ხვრინვა ნაზ ფშვინვაში გადაიზარდა.

გახარებული, სულ ასკინკილათი მივკინკილდი ჩემს ლოგინთან და ჩავწექი. ისაა უნდა წამეძინოს და - ხრრრრრ!!!! - არ დაიწყო?!

გაგიჟებას არაფერი მიკლია. ახლა, ისევ ხომ არ ავდგები და თავიდან ხომ არ დავიწყებ ყველაფერს?

ახალი აზრი მომივიდა. ავილე ჩემი მარჯვენა „ბოტასი“ და ვესროლე... პირდაპირ მუცელში მოვარტყი.. ეგეც შენ! სასწაულია... სასწაული... გაჩუმდა, რომ უნდა ჩავიძინო და... ხრრრრ, ღრრრრ!

ვსტაცე ხელი მეორე - მარცხენა ბოტასს, გავუქანე იგივე მისამართით (მუცელში) და შეწყდა ხვრინვა. შეწყდა და შეწყდა. აღარ განმეორებულა. სიხარულისგან გადარეულს გვიან ჩამეძინა.

დილაა. მთქნარებით ავდექი, „ბოტასები“, ბუნებრივია, ადგილზე არ დამხვდა.

- სადაა ჩემი „ბოტასები“? - ვეკითხები მეგობარს.

- რა ბოტასები, რის ბოტასები. რა უნდა შენს ბოტასებს ჩემთან? - გაიკვირვა სასწაულად.

- კაცო... წუხელ რომ გეს... დავიწყე მაგრამ დროზე ვიკბინე ენაზე - აბა, ხომ არ ვეტყოდი, წუხელ რომ ჩაგაზილე მუცელში-თქო.

მოკლედ, ასე დამთავრდა ეს ამბავი. დღემდე არ ვიცი, სად წაილო ის ბოტასები...

### ძმაკაცს ვეძებ, რას მერჩით?

90-იანი წლებია. სტუდენტურ შრომით სემესტრში ტაშკენტში გავემგზავრე ბამბის საკრეფად. აულიდან მოშორებით დავბანაკდით სახელდახელო საცხოვრებელში. ერთი იქაური აულელი ბიჭი დამიახლოვდა და დამიძმაკაცდა - იბატ ალაფადევი. მართლაც კარგი ბუნების ადამიანი აღმოჩნდა. გვერდიდან არ მშორდებოდა და ისე შემეჩვია, სულ მეუბნებოდა, ძალიან მინდა დაგინათესავდე და ჩემს დას გაგატან ცოლადო. იბატ, მყავს ცოლი-მეთქი, ვიცინოდი... გყავდეს მერე, ესეც იყოს, მე მაინც ბევრი და მყავს (შვიდი და ჰყოლია).

ერთ დღეს არ გამოცხადდა იბატა, არც მეორე დღეს მოვიდა და შეშფოთებული, მესამე დღეს აულისკენ წავედი. მაინტერესებს კაცო, იქნებ რა მოუვიდა! მივედი იმათ დასახლებაში. სიჩუმეა... სიჩუმე და სიცხე. გარეთ არავინ ჩანს. ყველა საცხოვრებელი ქოხი ერთნაირია. კიდევაც რომ იყო ნამყოფი, მაინც აგერევა. ერთი ქოხიდან სანდომიანი გარეგნობის რუსული ყაიდის ქალი გამოვიდა და ინტერესით შემხედა:

- ვი კტო? - მეკითხება.

- ია გრუზინ... უ ვას ვკამანდიროვკე... „ბამბუ“ საბირაემ.

- ჩტო? ჩევო საბირაიწე?

- ბამბუ - ვუმეორებ.

- ჩტო ხოჩეშ? - ვერაფერი გაიგო ქალმა.

- ია იბატ ხაჩუ - იბატ - ავუხსენი მორიდებით.

- დურაკ! - შეიცხადა შეშინებულმა ქალმა და ქმარიც გამოვარდა. ტუალეტში ყოფილა. გამიქანა ფიცრის ნატეხი ყბაში და ერთი თვე ფაფის მეტს ვერაფერს ვჭამდი.

### ანტიმთვრალინი

2001 წელს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის რექტორი რომ გახლდით, უცხოელ სტუმრებს ბანკეტი მოვუწყვეთ. სუფრას მე ვთამადობდი და კარგი თამადობაც გავწიე.

მეორე დღეს გადამეკიდა ჩვენი ინსტიტუტის დეკანი ჯემალ ბაბაკაშვილი, არიქა, თუ კაცი ხარ, მასწავლე ამდენ ღვინოს სვამ და დათრობის რომ არაფერი გეტყობა, რა წამალს იღებ დალევის წინო.

წამალი რომ არ ეხსენებინა, ალბათ აზრადაც არ მომივიდოდა:

- რას და ჰოლანდიიდან გამომიგზავნეს ტაბლეტები „ანტიმთვრალინი“ ჰქვია. დალევ ერთ ტაბლეტს და სვი რამდენიც გინდა.

რას მომეშვებოდა! მომეცი ერთი ცალი, ხვალ ბანკეტზე მე ვარ თამადაო და მივეცი ქეიფის წინ. თან სუფრაზე მეც ვარ და შორიდან ვაკვირდები. მეოთხე თუ მეხუთე სადღეგრძელომდე კი მივიდა, მერე ერთი ორჯერ დაამთქნარა და კინაღამ ჩაეძინა... ძლივს გამოვაფხიზლეთ. დაეძინებოდა, აბა რა მოუვიდოდა, შემშლია და გამზადებული „ანალგინის“ ნაცვლად საძილე აბი მიმიცია...

ასეა, თამადობაც მსხვერპლს ითხოვს.

ასეთი ამბები თქვენი რუბრიკისთვის ბევრი მაქვს, მაგრამ შემდეგისთვის იყოს. დიდი სიყვარულით და პატივისცემით - ჯემალ გუგუშვილი.

**მურმან მერკვილიშვილი**

## ინტერვიუ ვლადიმერ ბოისასთან

# მესამე ადგილი რეალურია!

### ვლადიმერ ბოისა

**ფორვარდი**

დაიბადა: 04.07.1981
სიმაღლე: 208 სმ.
წონა: 102 კგ.

**კარიერა**

| | |
|---|---|
| 1996-98 | აზოტი (რუსთავი) |
| 1998-99 | პოსტოინა (სლოვენია) |
| 1999-01 | სლოვენი (სლოვენია) |
| 2001-05 | ოლიმპია (სლოვენია) |
| 2005-07 | მონტეპასკი (იტალია) |
| 2007 | სპარტაკ-პრიმორიე (რუსეთი) |
| 2008 | არისი (საბერძნეთი) |
| 2008-10 | ზადარი (ხორვატია) |
| 2010-11 | ოლიმპია (სლოვენია) |

**საქართველოს ნაკრები**

| | |
|---|---|
| მატჩი | 37 |
| წუთი | 966 (საშ: 26.1) |
| ქულა | 424 (11.5) |
| მოხსნა | 170 (4.6) |
| პასი | 37 (1.0) |
| ჩაჭრა | 33 (0.9) |
| დაფარება | 4 (0.1) |

„**ვლადიმერ ბოისა** ლიუბლიანური კლუბის ღირსებას 2001-05 წლებში იცავდა და ერთ-ერთი ლიდერიც იყო. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში იგი რუსეთშიც თამაშობდა, ესპანეთშიც, საბერძნეთშიც, ხორვატიაშიც და ხუთწლიანი შესვენების შემდეგ სლოვენიის „ოლიმპიაში" 2010 წელს დაბრუნდა. მას მუხლის ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული და თამაშს იანვრიდან შეუდგა.

ჯერჯერობით უცნობია, 2011-12 წლების სეზონში დარჩება თუ არა ბოისა „ოლიმპიაში", თუმცა სადღეისოდ სხვა საფიქრალი აქვს - საქართველოს ნაკრები. ქართველებთან ერთად იგი ავსტრიაში ვარჯიშობს", - ასეთი შესავალი გაუკეთა ვოვა ბოისასთან ინტერვიუს სლოვენიურმა გაზეთმა „ეკიპმა".

**- გასულ სეზონში საკუთარ თამაშს როგორ აფასებ?**

- კმაყოფილი მხოლოდ იმიტომ ვარ, რომ ტრავმირებული ფეხი მოვიშუშე და თავს კარგად ვგრძნობ. გაცილებით უკეთაც შემეძლო მეთამაშა. თუმცა წარსულზე ლაპარაკს აზრი აღარ აქვს. აღარც ვნერვიულობ. წინ ახალი ამოცანებია - საქართველოს ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატისთვის ვემზადები. მთავარია, რომ ჯანმრთელი ვარ და ფეხი აღარ მაწუხებს.

**- „ოლიმპიამ" კონტრაქტის განახლება არ შემოგთავაზა?**

- ამ მიმართულებით სიახლე არ არის.

**- სეზონის დასრულების შემდეგ მთავარი მწვრთნელი საშა ფილიპოვსკი ან „ოლიმპიას" მენეჯერი იანის რაიგელი არ შეგხმიანებიან?**

- არა. არ დაურეკავთ.

**- „ოლიმპიაში" დარჩენის სურვილი თუ გაქვს?**

- ეს ერთადერთი გუნდია, სადაც სიამოვნებით ვითამაშებ. თუმცა დავრჩები თუ არა, კლუბის ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული. ლიუბლიანაში სახლი მაქვს. შინ თამაში ყოველთვის კარგია, მაგრამ თან გარკვეული სირთულეებიც ახლავს. არაერთი კლუბის მაისურა მომირგია, მაგრამ თავს მაინც ოლიმპიელად ვთვლი.

**- „ოლიმპიას" ახალ თავკაც ფილიპოვსკისთან ადრე გიმუშავიათ?**

- მის გაწვრთნილ „ოლიმპიაში" ორი წელი გამოვდიოდი. მაშინ მწირი ბიუჯეტის გამო ახალგაზრდული გუნდი გვყავდა, თუმცა არსებული რესურსით მაქსიმუმს მივაღწიეთ.

**- მაშინ გუნდის ლიდერი იყავი...**

- ყველამ მაქსიმუმი გაიღო და წარმატება ასე მოვიდა. გუნდში ჩემ გარდა როდრიგესი და ბაზდარიჩი თამაშობდნენ. ასე რომ, ერთპიროვნული ლიდერი არ ვიყავი.

**- სანაკრებო თემაზე გადავიდეთ. საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. გამოდის, რომ ძველ კონტინენტზე ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის ღირსებას იცავ.**

- საქმეს დიდი ენთუზიაზმით ვეკიდებით. ნაკრების ევრობასკეტზე მოხვედრა დიდი ბიძგი აღმოჩნდა საქართველოში კალათბურთის განვითარების საქმეში. მას მერე კლუბებში ინვესტიციებიც უხვად გაჩნდა. 2011-12 წლების სეზონში ევროჩელენჯზე ორი ქართული გუნდი ითამაშებს - „არმია" და „სოხუმი". პირველი პირდაპირ ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა, მეორე შეჯიბრებას საკვალიფიკაციოდან დაიწყებს.

**- საქართველოს ნაკრებს მოსამზადებლად როგორი პირობები აქვს?**

- მართალია, სლოვენიას ვერ გავუტოლდებით, მაგრამ მაქსიმუმს ვაკეთებთ. მეოთხე წელია შეკრებას ავსტრიაში გავდივართ. ამ ქვეყანაში ვარჯიშით კალათბურთელებიც კმაყოფილები ვართ და მწვრთნელი იგორ კოკოშკოვიც. ყველასგან იზოლირებულები ვართ და მხოლოდ საკალათბურთო მოედანზე, ვარჯიშსა და დასვენებაზე ვფიქრობთ.

**- ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს რა მიზნები აქვს?**

- ევრობასკეტის დებიუტანტები ვართ და ჩენი მთავარი მიზანი ლიტვაში ღირსეულად გამოსვლაა, რაც იოლი ნამდვილად არ იქნება. თუნდაც იმიტომ, რომ ასეთ გრანდიოზულ შეჯიბრებაზე თამაშის გამოცდილება არ გვაქვს. თუმცა, ვფიქრობ, ჯგუფში საუკეთესო სამ გუნდს შორის მოხვედრის რეალური შანსი გვაქვს. ისიც ვიცი, რომ ჩემსავით ფიქრობენ ბულგარელები, ბელგიელები (რომლებმაც გასულ წელს ევროშესარჩევზე ორჯერ მოგვიგეს) და უკრაინელები. რუსეთი და სლოვენია გამოკვეთილი ფავორიტები არიან და ჯგუფიდან გასვლა არ უნდა გაუჭირდეთ. დანარჩენი ოთხი ნაკრები კი მესამე ადგილისთვის იბრძოლებს. შესაბამისად, შანსები მათზე თანაბრად ნაწილდება და 25-25 პროცენტს უტოლდება. თუმცა, საქართველოს ნაკრებს სხვებზე ოდნავ უკეთესი შემადგენლობა ჰყავს და ამიტომაც ვამბობ სამეულში მოხვედრა შეგვიძლია-მეთქი. საერთოდ კი, ჩვენს ჯგუფში საინტერესო ბრძოლები გაჩაღდება და დარწმუნებული ვარ, ერთ-ერთი ჩვენგანი სლოვენიას ან რუსეთს აუცილებლად დაამარცხებს.

**- საქართველოს ნაკრებში ყველა ლიდერი ითამაშებს?**

- თუ აქამდე ვინმე გვაკლდა, ამის მიზეზი ტრავმა იყო. მაგალითად, გასულ წელს მუხლის ტრავმის გამო ნაკრებს მე ვერ დავეხმარე; 2009 წელს მანუჩარ მარკოიშვილმა გამოტოვა სანაკრებო თამაშები. მას ახლაც აწუხებს კოჭი, თუმცა ვიმედოვნებ, რომ ტრავმა მანუჩარის ნაყოფიერებაზე დიდ გავლენას არ მოახდენს. ასე რომ, წლეულს ნაკრებში ოპტიმალური შემადგენლობაა შეკრებილი და ყველა გულიანად ვარჯიშობს.

**- გუნდის ლიდერები ვინ არიან?**

- მთავარი ვარსკვლავი ზაზა ფაჩულიაა, რომელიც „ატლანტა ჰოქსში" თამაშობს. ვიქტორ სანიკიძე და მანუჩარ მარკოიშვილი იტალიის ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდნენ. ნიკა ცქიტიშვილი ესპანეთის პირველობაზე ასპარეზობდა. ახალწვეული მარკიზ ჰეინსიც მაღალი კლასის კალათბურთელია. მე და გიორგი შერმადინმა გასული სეზონი „ოლიმპიაში" გავატარეთ. როგორც გითხარით, ჩემი მთავარი ამოცანა ტრავმირებული ფეხის მოშუშება იყო, ხოლო გიორგი შერმადინმა დაგვანახვა, რომ მაღალ დონეზე შეუძლია თამაში. ახალგაზრდა თორნიკე შენგელიასაც წარმატებული სეზონი ჰქონდა. საქართველოს ნაკრებში არაერთი მაღალი დონის კალათბურთელია და ამიტომაც ვლაპარაკობ ოპტიმისტურად.

**- გულშემატკივრების ინტერესზე რას იტყვი?**

- ევრობასკეტზე დასწრებას ბევრი ქართველი აპირებს. ინტერესი დიდია, მაგრამ არის ერთი დაბრკოლება - ლიტვა საქართველოდან შორსაა და ყველა ვერ შეძლებს სურვილის ასრულებას. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, სლოვენიაზე მეტი ქომაგი არ გვეყოლება, თუმცა, ტრიბუნების მხარდაჭერა რომ გვექნება, ამაში დარწმუნებული ვარ.

**- სლოვენიის ნაკრებზე რას იტყვი?**

- ამ გუნდის საწვრთნელ პროცესს თვალს 24 ივლისამდე ვადევნებდი. ვნახე ამხანაგური მატჩი პოლონეთთან. 24-ში კი საქართველოს ნაკრებს შევუერთდი და ლიუბლიანას დატოვებამ მომიწია.

**- სლოვენიელებს კარგად იცნობ. საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს მეტოქეებზე საკმარის ინფორმაციას მიაწვდიდი.**

- სლოვენიის ნაკრების კალათბურთელებს შესანიშნავად ვიცნობ. თუმცა მწვრთნელებს ჩემი დახმარება არ დასჭირვებიათ - ყველა მეტოქეზე ამომწურავ ინფორმაციას ფლობენ. ჩვენთან „მილუოკი ბაქსის" მწვრთნელიც (ჯეისონ სტაუდტი) მუშაობს, რომელსაც კარგად შეუძლია „სადაზვერვო" ინფორმაციის მოპოვება.

**- სლოვენიის ნაკრები ოპტიმალური შემადგენლობით ვერ ითამაშებს. ზოგიერთი კალათბურთელი ჩამოსვლაზე უარს აცხადებს. რას ელი ამ გუნდისგან?**

- სლოვენიას არაერთი მაღალი დონის მოთამაშე აკლია. ზოგს ტრავმა აქვს, ზოგი საკუთარი სურვილით არ ჩავიდა. ასე რომ, ევრობასკეტზე შეიძლებოდა უკეთესი სლოვენიაც გვენახა. გუნდში საუკეთესო შემადგენლობა რომ იყოს შეკრებილი, პროგნოზის გაკეთებაც გამიადვილდებოდა. ახლა კი, არ ვიცი, რას უნდა ველოდეთ სლოვენიისგან. ამის მიუხედავად, სლოვენიასა და საქართველოს მაინც ვერ შევადარებთ. მათ განსხვავებული მიზნები აქვთ: სლოვენიელები მაღალი ადგილებისთვის აპირებენ ბრძოლას, მაშინ როცა ქართველთა მთავარი ამოცანა მეორე ეტაპზე გასვლაა. თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, სლოვენიელებს საპრიზო ადგილებისთვისაც შეეძლებათ ბრძოლა.




ვლადიმერ ბოისა რუსების ფარქვეშ



31 ივლისი. ავსტრია.
საქართველოს ნაკრები ახალი ფორმით

# რიგში ესტონეთია

**იგორ კოკოშკოვის** ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებმა ავსტრიის ნაკრებთან ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. პირველში 56:64 დათმო, ხოლო მეორეში - 54:72. ცხადია, წაგება სასიამოვნო არავისთვისაა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ავსტრიელები ქართველებზე ადრე შეიკრიბნენ, მანამდე ამხანაგური მატჩიც ჩატარებული ჰქონდათ და შეხვედრასაც უკეთეს კონდიციებში შეხვდნენ.

ჩვენი ნაკრებისთვის კი 30 აგვისტოს ავსტრიასთან დაპირისპირება 2011 წელს სადებიუტო იყო. მას მერე **ზაზა ფაჩულია** და მისი მეგობრები ავსტრიის ქალაქ შტაინბურნში ემზადებიან, რათა უახლოეს მატჩებს უკეთეს ფორმაში შეხვდნენ. ყველაზე ახლოს ტალინში დაგეგმილი ოთხი ერის თასია: 5 აგვისტოს „ჯვაროსნები" მასპინძელ ესტონელებს ეთამაშებიან, 6-ში ამერიკის კოლეჯების ლიგის წარმომადგენელ „კანზასს", ხოლო 7 აგვისტოს ძველ ნაცნობ შვედეთს.

აქვე დავაკონკრეტებთ: „კანზასის" უნივერსიტეტის მწვრთნელი **ფრენკ მარტინი** ესტონეთში ერთგვარ ნაკრებს იახლებს - გუნდში ეყოლება კალათბურთელები „აიოვადან", „სირაკუზიდან", „ნოტრ დამიდან".

ოთხი ერის თასზე ჩვენი პირველი მეტოქე, ესტონეთი B დივიზიონში 2009 წელს დაქვეითდა და ამჟამად მეორე წრის მატჩებისთვის ემზადება. ასევე მეორე ლიგაშია შვედეთი, რომელსაც 2009 წელს ელიტისკენ გზა საქართველოს ნაკრებმა გადაუღობა.

ესტონეთის ყველა მატჩს (მათ შორის, 5 აგვისტოს საქართველოსთან) იქაური ტელევიზია ETV2 გადასცემს.

**ესტონეთი**
**ოთხი ერის თასი**

| | |
|---|---|
| **5 აგვისტო** | |
| 17:45 | შვედეთი-კანზასი (NCAA) |
| 21:00 | ესტონეთი-საქართველო |
| **6 აგვისტო** | |
| 18:45 | კანზასი (NCAA)-საქართველო |
| 21:00 | ესტონეთი-შვედეთი |
| **7 აგვისტო** | |
| 18:45 | საქართველო-შვედეთი |
| 21:00 | ესტონეთი-კანზასი (NCAA) |

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



მეტოქეები

# ენდი რობინსონი ექსპერიმენტებს იწყებს


ენდი რობინსონი

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქე შოტლანდიის ნაკრები მზადების დასკვნით ეტაპზე გადადის. „ნარშავები" მომავალ შაბათს, ტესტ მატჩში „მერიფილდზე" ირლანდიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.

„სკოტების" ინგლისელმა თავკაცმა **ენდი რობინსონმა** ექსპერიმენტს მიმართა და უკანა ხაზში სრულიად ახალი შემადგენლობა დააყენა. პირველად ითამაშებს გუნდის ძირითად შემადგენლობაში შერკინების მესამეხაზელი **როს რენი.**

თითქმის ერთწლიანი შესვენების შემდეგ მწყობრში დაბრუნდა შუამარბი **გრემ მორისონი,** ტრავმა მოიშუშა და სრულიად ჯანმრთელია **შონ ლამონტი.** საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება შერკინების მესამე ხაზიც, სადაც რენის პარტნიორობას **ჯონი ბითი** და **ალასდაირ სტროკოში** გაუწევენ.

რობინსონმა თავისი გადაწყვეტილება, ასეთი სახე მიეცა ნაკრებისთვის, გუნდში კონკურენციის ზრდას მიაწერა.

*„დარწმუნებული ვარ, რომ კონკურენციას გუნდისთვის მხოლოდ სარგებლობა მოაქვს. მოთამაშეებს ვუთხარი, რომ თავისი ბედის პატრონი თვითონვე არიან. მხოლოდ მათზეა დამოკიდებული, მოხვდებიან თუ არა ახალ ზელანდიაში წამსვლელთა 30-კაციან სიაში"* - თქვა ენდი რობინსონმა.

ირლანდიის ნაკრებთან მატჩში გუნდს ცხრა ნომერი **რორი ლაუსონი** უკაპიტნებს, შერკინების კვაჭი **როს ფორდი** კი ვიცე-კაპიტანი იქნება.

რობინსონმა სათადრიგოთა შორის ორი ახალგაზრდა მოთამაშე, 21 წლისანი, დევიდ დენტონი და ჯეკ კატბერტი შეიყვანა.

შოტლანდიის ნაკრები: **15. კრის პატერსონი, 14. ნიკი ვოლკერი, 13. ჯო ანსბრო, 12. გრემ მორისონი, 11. შონ ლამონტი, 10. რუარიდ ჯექსონი, 9. რორი ლაუსონი. 8. ჯონი ბითი, 7. როს რენი, 6. ალასდაირ სტროკოში, 5. რიჩი გრეი, 4. ჯიმი ჰემილთონი, 3.ჯოფ გროსი, 2. როს ფორდი, 1. ალან იაკობსენი.**

**16. დაგ ჰალი, 17. ალასდაირ დიკინსონი, 18. ალისტერ კელოკი, 19. დევიდ დენტონი, 20. გრეგ ლაიდლოუ, 21. ნიკ დე ლუკა; 22. ჯეკ კატბერტი**

# პუმები პრაქტიკულ მეცადინეობას შეუდგნენ

მზადების მეორე, ორკვირიანი ეტაპი დაასრულა საქართველოს ნაკრების კიდევ ერთმა მეტოქემ, არგენტინის ეროვნულმა გუნდმა. „პუმებმა" ბოლო ვარჯიში ბუენოს აირესში გუშინ გამართეს.

სან ისიდოროს ბაზაზე არგენტინელები ჩვეულებრივ ორ ჯგუფად ირჯებოდნენ. როცა უკანა ხაზი მოედანზე იყო და ძირითადად მძლეოსნობის ელემენტებით გაჯერებულ ფიზიკურ დატვირთვებს ილებდა, შერკინება ძალოსნობის დარბაზში იწრთობოდა. განვლილი პერიოდით და მწვრთნელის **ჯეიმს ფელანის** მეთოდოლოგიით კმაყოფილია გუნდის კაპიტანი **ფელიპე კონტეპომი.**

*„საკმაოდ საინტერესო ვარჯიშებია. ისინი ისეა ორგანიზებული, რომ მხოლოდ წვრთნაზე გვქონდეს ყურადღება გადატანილი. იმედი მაქვს, რომ ბოლომდე ასე გაგრძელდება. ამჟამინდელი წვრთნის პროცესი რადიკალურად განსხვავდება წინა, 2007 წლის მსოფლიოს თასისათვის მზადებისაგან.*

*მალე 34 წლის გავხდები, ცხადია, ასაკს უკვე ვგრძნობ. განსაკუთრებით მუხლებში მიჭირს, სადაც პრობლემები მუდამ მქონდა. არადა, ახალგაზრდა მოთამაშეები ისეთი ამბიციურები და სიცოცხლით სავსე არიან, მოუთმენლად ელიან დროს, როცა შენი ადგილის დაკავებას შეძლებენ. ეს მეტ მოტივაციას მაძლევს და ფელანის მეთოდიკა კარგი საშუალებაა ტონუსის შესანარჩუნებლად.*

*ამჟამინდელ ნაკრებში ბევრი ისეთი მორაგბეა, რომლებსაც ერთად არასდროს უთამაშიათ. ამიტომ ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მზადების შემდგომ ეტაპს, სადაც ძირითად დროს პრაქტიკულ მეცადინეობებს დავუთმობთ. არც ერთი წუთი არ უნდა დავკარგოთ, სულ ერთად უნდა ვიყოთ და ერთმანეთი უფრო ახლოს უნდა გავიცნოთ".* - თქვა ფელიპე კონტეპომიმ.

ძალიან ბედნიერად გრძნობს თავს და ყველაზე მხიარულია **მარიანო გალარსა,** ის ნაკრებში არსებული მდგომარეობით ძალიან კმაყოფილია.

*„ფიზიკური კონდიცების დახვეწისას ბევრი ვიმუშავეთ. ცოტა დავილალეთ კიდეც, თუმცა ნელ-ნელა ყველაფერი წესრიგში მოდის და თავის ადგილზე დგება.*

*ნაკრებში ბოლო სამი წელიწადი ტრავმების გამო გამიცდა. ახლა კი შანსი მომეცა ეროვნულ გუნდში ვიყო და ნებისმიერი მორაგბისთვის უმნიშვნელოვანესი ტურნირისთვის ვემზადო. ძალიან ბედნიერი ვარ და ყველა ღონეს ვიხმარ, ეს შანსი ხელიდან არ გავუშვა.*

*გუნდში შესანიშნავი განწყობაა. ნომერში „სანტისთან" (სანტიაგო გუსმანი) და „ტომისთან" (ტომას ვალეხოსი) ერთად ვცხოვრობ. შესანიშნავი ბიჭები არიან. ამასთან, რაგბისაც კარგად თამაშობენ და კიდევ უფრო უკეთესი იქნება, თუ „ტატი" (ჯეომს ფელანი) მათ ახალ ზელანდიაშიც წაიყვანს."* - თქვა მარიანო გალარსამ.

**არგენტინის ნაკრები**

შერკინება: **ორაციო აგულა, პატრისიო ალბასეტე, გაბრიელ ასკარეტე, მარკოს აიერსა, გონსალო კამაჩო, მანუელ კარისა, ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე, სანტიაგო ფერნანდესი, ლუკას ამორროსინო, ავგუსტინ გოსიო, ეუსებიო გუნასუ, სანტიაგო გუსმანი, მარიო ლედესმა, ხუან ლეგუზამონი, როდრიგო რონსერო, მარტინ სკელსო, ფედერიკო სანჩესი, ლეონარდო სენატორე, ნიკოლას ვერგალო, ტომას ვალეხოსი, ალფრედო ლანალე, ხუან იმჰოფი, გონსალო ტიესი.**

უკანა ხაზი: **ანდრეს ბორდოი, ლუკას ბორხესი, მარსელო ბოსხი, მარტინ ბუსტოს მოიანო, მაქსიმილიანო ბუსტოსი, ალეხანდრო კამპოსი, რაფაელ კარბალო, ფელიპე კონტეპომი, ავგუსტინ კრევი, ხულიო ფერიასი, ჯენარო ფესია, ხუან ფიგალო, ავგუსტინ ფიგუორელა, მარიანო გალარსა, ალვარო გალინდო, მარტინ როდრიგესი.**



ბურთით ფელიპე კონტეპომი

მსოფლიოს თასი



უგო მუნი და ჯონი ვილკინსონი

# ინგლისის ნაკრებს ფორმულა 1 ეხმარება

ინგლისის ნაკრებმა ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასისთვის უკეთ მოსამზადებლად დახმარებისთვის ფორმულა 1-ის ერთ-ერთ წამყვან საჯინიბოს „მაკლარენს" მიმართა. პილოტები **ლუის ჰემილთონი და ჯეისონ ბატონი** „პომებს" თავიანთ ტექნიკურ ცოდნას გაუზიარებენ.

2003 წლის მსოფლიოს თასზე, რომლის გამარჯვებულიც ინგლისის ნაკრები გახდა, „პომების" მაშინდელი მწვრთნელის **კლაივ ვუდვორდის** ფილოსოფია მარტივი იყო - ყველაფერი გააკეთე ერთი პროცენტით უკეთ, ვიდრე სხვა. ამ მსოფლიოს თასზე ინგლისელებმა პირველად მოირგეს მოტკეცილი კვართები და, ფაქტობრივად, მოდის კანონმდებლები გახდნენ.

მსოფლიოს თასის დაწყებამდე ინგლისის ნაკრებისა და „მაკლარენის" ტექნიკოსები მწვრთნელებსა და მოთამაშეებს შორის კომუნიკაციის დახვეწაზე იმუშავებენ. ასევე საინტერესო იქნება ფიზიკური კონდიციების სრულყოფისთვის ფორმულა 1-ის გამოცდილებაც. გამძლეობა და შესანიშნავი კორდინაცია, აი ის მთავარი დადებითი თვისებები, რითაც ფორმულა 1-ის მრბოლელები გამოირჩევიან.

*„2003 წლის მსოფლიოს თასზე ჩვენი გუნდის თამაში ძირითადად სისწრაფეებზე იყო აგებული. სირბილი, სირბილი, და სირბილი... აი, რა იყო მაშინ გუნდის მთავარი იარაღი. ახლა მხოლოდ ამით შორს ვერ წავალთ. მსოფლიოს რაგბიში ბევრი რამ შეიცვალა. ფორმულა 1-ის სპეციალისტები დაგვეხმარებიან სწორად ავაწყოთ თამაშის რიტმი, გავარკვიოთ, სად გადის თითოეული მორაგბის შესაძლებლობების ზღვარი, რაც საშუალებას მოგვცემს ტრავმებისგან თავი დავიზღვიოთ"* - თქვა ინგლისის ნაკრების თავკაცმა **მარტინ ჯონსონმა.**

**ინგლისის ნაკრები**

შერკინება: **მორის ბოთა, დენ კოლი, ალექს კორბისერო, ტომ კროფტი, ლუის დეკონი, პაულ დორან ჯოუნზი, ნიკ ისტერი, ჰენრი ფური, დილან ჰარტლი, ჯეიმზ ჰესკელი, კორტნი ლოუ, ლი მირსი, ლუის მუდი, ტომ პელმერი, ტიმ რაიანი, კრის რობშოუ, საიმონ შოუ, ანდრიუ შერიდანი, მეთ სტივენსი, სტივ თომსონი, დევიდ ვილსონი, ტომ ვუდი.**

უკანა ხაზი: **დელონ ერმითიჯი, კრის ეშტონი, მეთ ბანაჰანი, დენ კერი, მარკ კუეტო, ტობი ფლუდი, რიკუ ფლატი, ბენ ფოდენი, შონთაი ჰეპი, ჩარლი ჰოჯსონი, უგო მუნი, ჩარლი შარპი, ჯო სიმპსონი, მაიკ თინდოლი, მანუ ტულიგაი, რიჩარდ ვიგლსვორსი, ჯონი ვილკინსონი, ბენ იანგზი.**

# ფიჯის ნაკრები სპონსორებს ეძებს

ფიჯის ნაკრებს, რომელიც მსოფლიოს თასისთვის ემზადება, ფინანსური პრობლემები მოეძალა. როგორც კუნძულელთა რაგბის კავშირის მაღალჩინოსნებმა თქვეს, ამჟამად ეროვნული გუნდი მხოლოდ სახელმწიფოს გრანტის წყალობით არსებობს და ვერაფრით მოხერხდა კერძო კომპანიების მობილიზება.

*„საკმაოდ კრიტიკულ მდგომრეობაში ვართ. ვინაიდან წყნარი ოკეანის ქვეყნების ერთა თასზე და ახალ ზელანდიასთან მატჩში წარუმატებლად ვიასპარეზეთ, სპონსორების მოზიდვა ჭირს. ამ დროისთვის სახელმწიფომ 2,6 მილიონი დოლარი უკვე მოგვცა იმ 3-მილიონიანი გრანტიდან, რომელიც წლის დასაწყისში დაგვიმტკიცდა. მივიღეთ ასევე დაფინანსება IRB-დან. გრანტის ოდენობა 300 ათას დოლარს შეადგენს. ერთი სიტყვით, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით, არადა, მსოფლიოს თასის გათამაშება კარსაა მომდგარი"* - თქვა ფიჯის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **ტევიტა ვაკაირავიმ.**

სამი ერი

# ვოლაბებს შარფი და გიტო დააკლდებათ

ავსტრალიის ნაკრები სამი ერის მორიგ შეხვედრაში ოქლენდში ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ვოლაბების" თავკაცმა, **რობი დინსმა** უკვე დაასახელა იმ მორაგბეების ვინაობა, რომლებიც ამ შეხვედრისთვის მოემზადებიან. მათ შორის არის ის ოცი მოთამაშე, ვინც გასულ უქმეებზე სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან მოგებულ მატჩში იასპარეზა.

გუნდში მძიმე ტრავმების მოშუშების შემდეგ დაბრუნდნენ **ლუკ ბარჯესი** და **ლაკი თერნერი.** დინსმა გუნდის შემადგენლობაში არ შეიყვანა მეორეხაზელი **ნათან შარფი,** მის ადგილს **დენ ვიკერმანი** დაიკავებს.

ამასთან, ისევ არ ითამაშებს ავსტრალიელთა რიგებში **მეთ გიტო,** რომელსაც აქამდე ეროვნულ გუნდში 92 კეპი აქვს მოხვეჭილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ გიტოც და შარფიც, შესაძლოა მსოფლიოს თასის მიღმა დარჩნენ.

**ავსტრალიის ნაკრები**

**ბენ ალექსანდერი, ადამ ეშლი-კუპერი, ქართლი ბეილი, ლუკ ბარჯესი, ქუადე კუპერი, პეკაჰუ ქოუანი, როკი ელსომი, ენტონი ფაინგაა, საია ფაინგაა, ვილი გენია, სკოტ ჰიგინბოთამი, მეთ ჰოჯსონი, ჯეომზ ჰორვილი, დიგბი იოანი, სეკოპე კეპუ, პეტ მაკკები, ბენ მაკკალმენი, სტივენ მური, ჯეიმზ ოკონორი, დევიდ პოკოქი, რობ საიმონსი, სიტალეკი ტიმანი, ლაკი ტერნერი, დენ ვიკერმანი.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

უცხოური სპორტი

სპორტი და ფინანსები

# მდიდრები და ღარიბები

## ამერიკელებმა ქვეყნების მიხედვით ყველაზე მდიდარი სპორტსმენების სია შეადგინეს




საინტერესო მონაცემები გამოაქვეყნა ჟურნალმა ESPN Magazine-მა. ამ გამოცემის ჟურნალისტებმა თითქმის ყველა ქვეყნის ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენების სია შეადგინეს, რომლის გაცნობაც ბევრისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება.

მონაცემები ეყრდნობა 2010-11 წლების სპორტულ სეზონს. ამიტომაც, სიის გაცნობისას ნუ გაიკვირვებთ, თუ რომელიმე ფეხბურთელს, კალათბურთელს ან სპორტის სხვა წარმომადგენელს სამუშაო ადგილი ჰქონდეს შეცვლილი.

სიაში მოცემულია სპორტსმენის წლიური ხელფასი ან თანხა, რომელიც მან სეზონის განმავლობაში გამოიმუშავა. თანხის ოდენობაში გათვალისწინებული არ არის შემოსავლები სარეკლამო კონტრაქტებიდან.

სიაში ქართველი "ატლანტა ჰოქსის" ცენტრი **ზაზა ფაჩულიაცაა** შესული - სწორედ ის გახლავთ ჩვენი ქვეყნის ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენი. კვლევამ აჩვენა, რომ 18 კალათბურთელს აქვს თავის სამშობლოში სპორტსმენებს შორის ყველაზე მაღალი ხელფასი.

ამ 18 კალათბურთელიდან 17 ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას წარმოადგენს და მხოლოდ ერთია ევროპაში მოთამაშე: "ოლიმპიაკოსის" გულუხვობის წყალობით **ტეო პაპალუკასი** საბერძნეთის ყველაზე მდიდარი სპორტსმენი (4 400 000 დოლარი) გახლავთ.

ჩამონათვალში სულ 180 ქვეყნის ყველაზე მაღალანაზღაურებად სპორტსმენს ვხედავთ. ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჰყავს ფეხბურთს - 114. შემდეგ მოდიან: კალათბურთი - 18, ბეისბოლი - 12, ავტოსპორტი - 6, გოლფი - 5, ამერიკული ფეხბურთი - 5, ჰოკეი - 5, კრიკეტი - 4, კრივი - 3, მძლეოსნობა - 3, რაგბი - 2, ჩოგბურთი - 2, ბადმინტონი - 1, ველოსპორტი - 1, მოტოსპორტი - 1, სუმო - 1 და აფროსნობა - 1.

ხვალინდელ ნომერში კიდევ ერთ საინტერესო ცხრილს შემოგთავაზებთ. გაიგებთ, სპორტის რომელი სახეობა უხდის სპორტსმენებს ყველაზე დიდ ხელფასს და რომელ სახეობაში არ ღირს ვარჯიში იქაური მწირი შემოსავლების გამო.

გია თვალაბეიშვილი

| ქვეყანა | სპორტსმენი (სახეობა) | კლუბი | შემოსავალი |
|---|---|---|---|
| აშშ | ალექს როდრიგესი (ბეისბოლი) | ნიუ იორკ იანკიზი (MLB) | 32 000 000 |
| ფილიპინები | მენი პაკიაო (კრივი) | | 32 000 000 |
| ფინეთი | კიმი რაიკონენი (ავტოსპორტი) | რალი | 26 333 333 |
| ესპანეთი | ფერნანდო ალონსო (ფორმულა 1) | ფერარი | 22 736 842 |
| ვენესუელა | იოჰან სანტანა (ბეისბოლი) | ნიუ იორკ მეტსი (MLB) | 21 644 707 |
| იტალია | ვალენტინო როსი (მოტოსპორტი) | დუკატი | 20 800 000 |
| პორტუგალია | კრისტიანო რონალდო (ფეხბურთი) | რეალი (ესპ) | 19 500 000 |
| პუერტო რიკო | კარლოს ბელტრანი (ბეისბოლი) | ნიუ იორკ მეტსი (MLB) | 19 325 436 |
| პანამა | კარლოლს ლი (ბეისბოლი) | ჰიუსტონი (MLB) | 19 000 000 |
| არგენტინა | კარლოს ტევესი (ფეხბურთი) | მანჩესტერ სიტი (ინგ) | 19 000 000 |
| დომინიკა | ალფონსო სორიანო (ბეისბოლი) | ჩიკაგო (MLB) | 19 000 000 |
| ვირჯინიის კ-ება | ტიმ დანკანი (კალათბურთი) | სან ანტონიო (NBA) | 18 700 000 |
| ინგლისი | ლუის ჰემილტონი (ფორმულა 1) | მაკლარენი | 18 473 684 |
| კოტ დ'ივუარი | იაია ტურე (ფეხბურთი) | მანჩესტერ სიტი (ინგ) | 18 200 000 |
| კანადა | ჯეისონ ბეი (ბეისბოლი) | ნიუ იორკ მეტსი (MLB) | 18 125 000 |
| იაპონია | იჩირო სუზუკი (ბეისბოლი) | სიეტლი (MLB) | 18 000 000 |
| რუსეთი | ანდრეი კირილენკო (კალათბურთი) | იუტა (NBA) | 17 822 187 |
| ჩინეთი | იაო მინი (კალათბურთი) | ჰიუსტონი (NBA) | 17 700 000 |
| გერმანია | დირკ ნოვიცკი (კალათბურთი) | დალასი (NBA) | 17 278 618 |
| ბრაზილია | ფელიპე მასა (ფორმულა 1) | ფერარი | 17 052 632 |
| სერბეთი | პეჟა სტოიაკოვიჩი (კალათბურთი) | დალასი (NBA) | 15 602 138 |
| საფრანგეთი | ფრანკ რიბერი (ფეხბურთი) | ბაიერნი (გერ) | 14 100 000 |
| შვედეთი | ზლატან იბრაჰიმოვიჩი (ფეხბურთი) | მილანი (იტა) | 12 700 000 |
| ჰაიტი | სამუელ დალემბერი (კალათბურთი) | საკრამენტო (NBA) | 12 200 000 |
| ტოგო | ემანუელ ადებაიორი (ფეხბურთი) | მანჩესტერ სიტი (ინგ) | 11 900 000 |
| სუდანი | ლუოლ დენგი (კალათბურთი) | ჩიკაგო (NBA) | 11 355 850 |
| ავსტრალია | ენდრიუ ბოგუტი (კალათბურთი) | მილუოკი (NBA) | 11 050 000 |
| პოლონეთი | რობერ კუბიცა (ფორმულა 1) | ლოტუს რენო | 10 657 895 |
| ჰოლანდია | ნაიჯელ დე იონგი (ფეხბურთი) | მანჩესტერ სიტი (ინგ) | 10 500 000 |
| ახ. ზელანდია | რასელ კოუტსი (აფროსნობა) | | 10 000 000 |
| მექსიკა | ხორხე დე ლა როსა (ბეისბოლი) | კოლორადო (MLB) | 10 000 000 |
| თურქეთი | ჰედო თურქოგლუ (კალათბურთი) | ორლანდო (NBA) | 9 800 000 |
| ჩილე | მარკ გონსალესი (ფეხბურთი) | ცსკა (რუს) | 9 324 958 |
| ლატვია | ანდრის ბიედრინში (კალათბურთი) | გოლდენ სტეიტი (NBA) | 9 000 000 |
| მალი | ფრედერიკ კანუტე (ფეხბურთი) | სევილია (ესპ) | 8 600 000 |
| ბოსნია | ედინ ჯეკო (ფეხბურთი) | მანჩესტერ სიტი (ინგ) | 8 470 900 |
| კამერუნი | სამუელ ეტო'ო (ფეხბურთი) | ინტერი (იტა) | 8 000 000 |
| უკრაინა | ვიტალი კლიჩკო (კრივი) | | 6-8 მლნ |
| სლოვაკეთი | მარიან ჰოსა (ჰოკეი) | ჩიკაგო (NHL) | 7 900 000 |
| შვეიცარია | როჯერ ფედერერი (ჩოგბურთი) | | 7 698 289 |
| პარაგვაი | როკე სანტა კრუსი (ფეხბურთი) | მანჩესტერ სიტი (ინგ) | 7 668 947 |
| ჩეხეთი | პეტრ ჩეხი (ფეხბურთი) | ჩელსი (ინგ) | 7 400 000 |
| ურუგვაი | დიეგო ფორლანი (ფეხბურთი) | ატლეტიკო (ესპ) | 7 169 746 |
| ისრაელი | იოსი ბენაიუნი (ფეხბურთი) | ჩელსი (ინგ) | 6 859 267 |
| ირლანდია | ჯონ ო'ში (ფეხბურთი) | მანჩესტერ იუნ (ინგ) | 6 800 000 |
| ბულგარეთი | დიმიტარ ბერბატოვი (ფეხბურთი) | მანჩესტერ იუნ (ინგ) | 6 700 000 |
| სენეგალი | დესაგანა დიოპი (კალათბურთი) | შარლოტი (NBA) | 6 478 600 |
| ავსტრია | ტომაშ ვანეკი (ჰოკეი) | ბაფალო (NHL) | 6 400 000 |
| ეკვადორი | ანტონიო ვალენსია (ფეხბურთი) | მანჩესტერ იუნ (ინგ) | 6 361 983 |
| უელსი | რაიან გიგზი (ფეხბურთი) | მანჩესტერ იუნ (ინგ) | 6 300 000 |
| ჩერნოგორია | მირკო ვუჩინიჩი (ფეხბურთი) | რომა (იტა) | 6 020 000 |
| სლოვენია | ანზე კოპიტარი (ჰოკეი) | ლოს ანჯელესი (NHL) | 6 000 000 |
| ნიგერია | ჯონ ობი მიკელი (ფეხბურთი) | ჩელსი (ინგ) | 5 800 000 |
| ჰონდურასი | დავიდ სუასო (ფეხბურთი) | ინტერი (იტა) | 5 716 476 |
| განა | მაიკლ ესიენი (ფეხბურთი) | ჩელსი (ინგ) | 5 500 000 |
| პერუ | კლაუდიო პისარო (ფეხბურთი) | ვერდერი (გერ) | 5 448 894 |
| ს. აფრიკა | ერნი ელსი (გოლფი) | | 5 347 012 |
| ბელგია | ვენსან კომპანი (ფეხბურთი) | მანჩესტერ სიტი (ინგ) | 5 340 000 |
| გვადელუპე | მიკაელ პიეტრუსი (კალათბურთი) | ფინიქსი (NBA) | 5 300 000 |
| ჩრ. ირლანდია | გრემ მაკდაუელი (გოლფი) | | 5 176 586 |
| კოლუმბია | ხუან პაბლო მონტოია (ავტოსპორტი) | NASCAR | 5 088 410 |
| რუმინეთი | კრისტიან კივუ (ფეხბურთი) | ინტერი (იტა) | 5 013 000 |
| შოტლანდია | დარენ ფლეტჩერი (ფეხბურთი) | მანჩესტერ იუნ (ინგ) | 5 000 000 |
| ლიტვა | ლინას კლეიზა (კალათბურთი) | ტორონტო (NBA) | 4 995 000 |
| ხორვატია | ლუკა მოდრიჩი (ფეხბურთი) | ტოტენჰემი (ინგ) | 4 900 000 |
| ტანზანია | ჰაშიმ ტაბიტი (კალათბურთი) | ჰიუსტონი (NBA) | 4 793 280 |
| ს. კორეა | ჯი-სუნ პარკი (ფეხბურთი) | მანჩესტერ იუნ (ინგ) | 4 700 000 |
| დანია | დანიელ აგერი (ფეხბურთი) | ლივერპული (ინგ) | 4 500 000 |
| ნორვეგია | ჯონ კარიუ (ფეხბურთი) | სტოკი (ინგ) | 4 500 000 |
| საბერძნეთი | ტეო პაპალუკასი (კალათბურთი) | ოლიმპიაკოსი (საბ) | 4 400 000 |
| კუბა | იუნიესკი ბეტანკური (ბეისბოლი) | მილუოკი (MLB) | 4 300 000 |
| საქართველო | ზაზა ფაჩულია (კალათბურთი) | ატლანტა (NBA) | 4 251 250 |
| მაკედონია | გორან პანდევი (ფეხბურთი) | ინტერი (იტა) | 4 250 000 |
| მაროკო | მარუან შამახი (ფეხბურთი) | არსენალი (ინგ) | 4 247 000 |
| მარტინიკა | რონი ტურიაფი (კალათბურთი) | ნიუ იორკი (NBA) | 4 000 000 |
| სურინამი | კლარენს ზეედორფი (ფეხბურთი) | მილანი (იტა) | 4 000 000 |
| ყაზახეთი | ნიკ ანტროპოვი (ჰოკეი) | ატლანტა (NHL) | 3 750 000 |
| საფ. გუიანა | ფლორან მალუდა (ფეხბურთი) | ჩელსი (ინგ) | 3 441 823 |
| ზიმბაბვე | ბენჯანი მვარუვარი (ფეხბურთი) | ბლექბერნი (ინგ) | 3 405 584 |
| ბელარუსი | ალექსანდრ გლები (ფეხბურთი) | ბირმინგემი (ინგ) | 3 300 000 |
| კურასაო | ხაირ იურიენსი (ბეისბოლი) | ატლანტა (MLB) | 3 250 000 |
| ომანი | ალი ალ ჰაბსი (ფეხბურთი) | უიგანი (ინგ) | 3 000 000 |
| კონგო | კრისტოფერ სამბა (ფეხბურთი) | ბლექბერნი (ინგ) | 3 000 000 |
| სიერა ლეონე | მადიო უილიამსი (ამ. ფეხბურთი) | მინესოტა (NFL) | 2 974 000 |
| ახ. კალედონია | ფრედერიკ პიკიონი (ფეხბურთი) | ვესტ ჰემი (ინგ) | 2 972 339 |
| უნგრეთი | ზოლტან გერა (ფეხბურთი) | ფულჰემი (ინგ) | 2 970 000 |
| ამერიკის სამოა | დომატა პეკო (ამ. ფეხბურთი) | ცინცინატი (NFL) | 2 950 000 |
| ბენინი | სტეფან სესენონი (ფეხბურთი) | სანდერლენდი (ინგ) | 2 800 000 |
| ალჟირი | ნადირ ბელაჯი (ფეხურთი) | ალ სადი (კატ) | 2 779 000 |
| კონგო დრ | ჰერიტა ილუნგა (ფეხბურთი) | ვესტ ჰემი (ინგ) | 2 730 000 |
| ტაივანი | ჰონგ-ჩი კუო (ბეისბოლი) | ლოს ანჯელესი (MLB) | 2 725 000 |
| ლუქსემბურგი | ანდი შლეკი (ველოსპორტი) | | 2 700 000 |
| იამაიკა | რიკარდო გარდნერი (ფეხბურთი) | ბოლტონი (ინგ) | 2 613 074 |
| ეგვიპტე | მოჰამედ ზიდანი (ფეხბურთი) | დორტმუნდი (გერ) | 2 580 000 |
| | მოჰამედ აბუ თრეიქა (ფეხბურთი) | ალ აჰლი (ეგვ) | 2 580 000 |
| ისლანდია | ეიდურ გუდიონსენი (ფეხბურთი) | ფულჰემი (ინგ) | 2 538 000 |
| ალბანეთი | ლორიკ კანა (ფეხბურთი) | გალათასარაი (თურ) | 2 500 000 |
| ტონგა | კრის კემოეატუ (ამ. ფეხბურთი) | პიტსბურგი (NFL) | 2 369 000 |
| სეიშელი | მიხაელ მანსიენი (ფეხბურთი) | ვულვზი (ინგ) | 2 100 000 |
| ესტონეთი | რაგნარ კლავანი (ფეხბურთი) | ალკმაარი (ჰოლ) | 2 006 000 |
| ნიკარაგუა | ვისენტე პადილია (ბეისბოლი) | ლოს ანჯელესი (MLB) | 2 000 000 |
| ინდოეთი | მს დჰონი (კრიკეტი) | ჩენაი (ინდ) | 1 800 000 |
| უგანდა | მატიას კივანუკა (ამ. ფეხბურთი) | ნიუ იორკი (NFL) | 1 776 000 |
| კოსტა რიკა | ბრაიან რუისი (ფეხბურთი) | ტვენტე (ჰოლ) | 1 720 828 |
| ფარერები | კრისტიან ჰოლსტი (ფეხბურთი) | სილკებორგი (დან) | 1 630 000 |
| ირანი | ჰამედ ჰადადი (კალათბურთი) | მემფისი (NBA) | 1 600 000 |
| კვიპროსი | კონსტანდინოს ხარალამბიდესი (ფეხბურთი) | აპოელ (კვიპ) | 1 589 000 |
| შრი ლანკა | მაჰელა ჯაიავარდენე (კრიკეტი) | კოჩი ტუსკერსი (ინდ) | 1 500 000 |
| მოლდოვა | ალექსანდრუ ეპურეანუ (ფეხბურთი) | დინამო (რუს) | 1 433 000 |
| ტრინიდადი | ენტონი ერერა (ამ. ფეხბურთი) | მინესოტა (NFL) | 1 425 000 |
| ტაილანდი | ტონგჩაი იაიდე (გოლფი) | | 1 400 000 |
| ფიჯი | ვიჯაი სინგხი (გოლფი) | | 1 334 262 |
| კენია | მაკდონალდ მარიგა (ფეხბურთი) | ინტერი (იტა) | 1 300 000 |
| აზერბაიჯანი | ალექსანდრ სამედოვი (ფეხბურთი) | დინამო (რუს) | 1 287 000 |
| მალტა | მიხაელ მიფსუდი (ფეხბურთი) | კორსი (მალ) | 1 142 000 |
| ლიბია | ტარიკ ელ ტაიბი (ფეხბურთი) | ტრიპოლი (ლიბ) | 1 130 000 |
| ს. არაბეთი | მოჰამედ ნოორი (ფეხბურთი) | ალ იტიჰადი (ს. არაბ) | 1 200 000 |
| ბურკინა ფასო | ჩარლზ კაბორე (ფეხბურთი) | მარსელი (საფ) | 1 118 000 |
| ლიბანი | იუსეფ მოჰამადი (ფეხბურთი) | კიოლნი (გერ) | 1 074 839 |
| ნამიბია | კოლინ ბენჯამინი (ფეხბურთი) | ჰამბურგი (გერ) | 1 000 000 |
| ლიხტენშტაინი | მარტინ შტოკლასა (ფეხბურთი) | რიდი (ავსტრია) | 978 800 |
| გრენლანდია | იესპერ გრონკიაერი (ფეხბურთი) | კოპენჰაგენი (დან) | 923 440 |
| ერაყი | ნაშათ აქრამი (ფეხბურთი) | ალ ვაკრა (კატ) | 900 000 |
| ანგოლა | მანუჩო (ფეხბურთი) | მანისა (თურ) | 865 579 |
| ბოლივია | მარსელო მორენო (ფეხბურთი) | შახტარი (უკრ) | 883 449 |
| ტუნისი | ქარიმ ჰაგი (ფეხბურთი) | ჰანოვერი (გერ) | 820 000 |
| გვინეა | იბრაჰიმა იატარა (ფეხბურთი) | ტრაბზონი (თურ) | 717 000 |
| გაბონი | დანიელ კუზენი (ფეხბურთი) | ლარისა (საბ) | 645 000 |
| ჩრ. კორეა | იონ-ჰაკ ანი (ფეხბურთი) | კაშივა (იაპ) | 619 107 |
| | ტაე-სე იონგი (ფეხბურთი) | ბოხუმი (გერ) | 619 107 |
| გვინეა-ბისაუ | ალმამი მორეირა (ფეხბურთი) | დალიანი (ჩინ) | 573 000 |
| ლიბერია | სეკუ ოლისე (ფეხბურთი) | ცსკა (რუს) | 573 000 |
| მალავი | ტამიკა მკანდავირი (ფეხბურთი) | მილუოლი (ინგ) | 571 000 |
| ბრუნეი | კრეიგ ადამსი (ჰოკეი) | პიტსბურგი (NHL) | 550 000 |
| ანდორა | ილდეფონს ლიმა (ფეხბურთი) | ბელინცონა (შვეიც) | 531 822 |
| მოზამბიკი | მატე სიმაო (ფეხბურთი) | პანათინაიკოსი (საბ) | 516 000 |
| სინგაპური | მარდან მამატი (გოლფი) | | 500 609 |
| სამოა | დევიდ ტუა (კრივი) | | 500 000 |
| ბერმუდა | რეჯი ლამბე (ფეხბურთი) | ბრ. როვერსი (ინგ) | 480 000 |
| ეკ. გვინეა | როდოლფო ბოდიპო (ფეხბურთი) | ელჩე (ესპ) | 430 000 |
| ბანგლადეში | შაკიბ ალ ჰასანი (კრიკეტი) | კოლკატა (ინდ) | 425 000 |
| ქუვეითი | ბადერ ალ მუტვა (ფეხბურთი) | ალ ნასრი (ს. არაბ) | 400 000 |
| მონღოლეთი | ჰაკუჰო (სუმო) | | 400 000 |
| სირია | სანჰარიდ მალკი (ფეხბურთი) | ლოკერენი (ბელ) | 400 000 |
| კატარი | სებასტიან კინტანა (ფეხბურთი) | კატარი (კატ) | 391 000 |
| საემიროები | ისმაილ მატარი (ფეხბურთი) | ალ ვაჰდა (საემ) | 360 000 |
| სომხეთი | ჰენრიკ მხითარიანი (ფეხბურთი) | შახტარი (უკრ) | 360 000 |
| ბოტსვანა | მოგოგი გაბონამონგი (ფეხბურთი) | სუპერსპორტი (ს. აფრ) | 354 000 |
| მავრიტანია | პასკალ გურვილი (ფეხბურთი) | მუასი (საფ) | 353 000 |
| სომალი | აბდისალამ იბრაჰიმი (ფეხბურთი) | სკანთორპი (ინგ) | 340 000 |
| ერითრეა | ზერსენაი ტადესე (მძლეოსნობა) | | 340 000 |
| ეთიოპია | ტილაჰუნ რეგასა (მძლეოსნობა) | | 318 250 |
| ზამბია | კრის კატონგო (ფეხბურთი) | ქსანტი (საბ) | 315 300 |
| ბურუნდი | საიდი ნტიბაზონკიზა (ფეხბურთი) | კრაკოვია (პოლ) | 315 000 |
| გამბია | უსმან ჯალოუ (ფეხბურთი) | ბრონდბიუ (დან) | 314 000 |
| გვატემალა | კარლოს რუისი (ფეხბურთი) | ფილადელფია (MLS) | 306 670 |
| კაბო ვერდე | კაფუ (ფეხბურთი) | ანორთოსისი (კვიპ) | 287 000 |
| პაპ. ახ. გვინეა | ნევ კოსტიგანი (რაგბი) | ნიუკასლი (ავსტრა) | 216 667 |
| სვაზილენდი | ტონი საბეზე (ფეხბურთი) | სანტოსი (ს. აფრ) | 212 000 |
| ცენტ. აფრიკა | ელოგე ენზა იიანისი (ფეხბურთი) | ტრუა (საფ) | 206 000 |
| კუკის კ-ები | სტენ რაიტი (რაგბი) | ლეინსტერი (ირლ) | 204 000 |
| სალვადორი | არტურო ალვარესი (ფეხბურთი) | სოლტ ლეიკი (MLS) | 201 922 |
| ბაჰრეინი | აბდულა ომარ ისმაილი (ფეხბურთი) | ქსამაქსი (შვეიც) | 202 086 |
| ნიგერი | ალჰასან ისუფუ (ფეხბურთი) | რაბატი (მარ) | 200 000 |
| ვიეტნამი | ლი ნგუიენი (ფეხბურთი) | ბეკამექსი (ვიეტ) | 180 000 |
| სან მარინო | ალდო სიმონჩინი (ფეხბურთი) | ჩეზენა (იტა) | 172 000 |
| ინდონეზია | ბამბანგ პამუნგკასი (ფეხბურთი) | პერსია (ინდონ) | 160 000 |
| ყირგიზეთი | მირლან მურზაევი (ფეხბურთი) | ჰაპოელი (ფ-თ. ისრ) | 150 000 |
| ტაჯიკეთი | ფარზოდ ვასიევი (ფეხბურთი) | ჟემჩუჟინა (რუს) | 145 000 |
| იორდანია | ოდაი ალ-საიფი (ფეხბურთი) | ალკი (კვიპ) | 145 000 |
| პაკისტანი | შაჰიდ აფრიდი (კრიკეტი) | | 136 000 |
| უზბეკეთი | მაქსიმ შაცკიხი (ფეხბურთი) | არსენალი (უკრ) | 120 000 |
| კომოროსი | ქასიმ აბდალა (ფეხბურთი) | სედანი (საფ) | 120 000 |
| მალაიზია | ჩონ ვეი ლი (ბადმინტონი) | | 106 000 |
| მადაგასკარი | ანისეტ ანდრიანანტენაინა (ფეხბურთი) | ოსერი (საფ) | 86 000 |
| პალესტინა | ფადი ლაფი (ფეხბურთი) | საჰამი (ომან) | 65 000 |
| რუანდა | ოლივიე კარეკეზი (ფეხბურთი) | ოსტერი (შვედ) | 52 000 |
| ჯიბუტი | ისმაილ აჰმედ ჰასანი (ფეხბურთი) | დ. სტრედა (სლოვაკ) | 51 500 |
| ლესოტო | ლელეჰონოლო სეემა (ფეხბურთი) | ორლანდო (ს. აფრ) | 34 300 |
| ჩადი | მისდონგარდ ბეტოლიგარი (ფეხბურთი) | მეტალაკი (სერ) | 21 500 |
| ტაიტი | ფაბრის სანტორო (ჩოგბურთი) | | 19 500 |
| ნეპალი | სანტოშ საჰუხალა (ფეხბურთი) | მანანგი (ნეპ) | 8 430 |

კალათბურთი

# კარგი ცუდი ამბავი




საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა გუშინ ოკეანის გაღმიდან - როგორც იქნა, მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ ეროვნული საკალათბურთო ლიგის კომისარი **დევიდ სტერნი**, პროფკავშირების პრეზიდენტი **დერეკ ფიშერი** და ამავე ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი **ბილი ჰანტერი**.

თითქოს სასიამოვნო ინფორმაციაა, მაგრამ ცუდი ის არის, რომ სამსაათიან შეხვედრას არანაირი შედეგი არ ჰქონია. აგვისტოში კიდევ არის დაგეგმილი რამდენიმე შეხვედრა, მაგრამ სტერნი პესიმისტურ განწყობას არ მალავს და აცხადებს, რომ შეიძლება მთელი სეზონი დაიკარგოს.

კიდევ ერთხელ დადასტურდა მხარეების მოთხოვნები: მოთამაშეები ჯიუტად იმეორებენ, რომ კოლექტიური ხელშეკრულების მოქმედების მეექვსე წლისთვის კალათბურთელთა საშუალო ხელფასი 7 მილიონ დოლარს უნდა შეადგენდეს, ლიგის ხელმძღვანელობა კი ითხოვს, რომ მოთამაშეთა ხელფასი არათუ უნდა გაიზარდოს, არამედ დღევანდელ მაჩვენებელზე დაბლა უნდა ჩამოვიდეს. ასევე დაუშვებელი უნდა იყოს მდიდარი კლუბების მხრიდან მაქსიმალური სახელფასო ლიმიტის გადაჭარბება, რაც აქამდე ძალიან ხშირად ხდებოდა.

შეხვედრიდან გამოსული სტერნი მოღუშული და სიტყვაძუნწი იყო. მოლაპარაკებების შესახებ კითხვაზე მან ასე უპასუხა: *„ამასთან დაკავშირებით ოპტიმისტური განწყობა ვერ მექნება“.*

სამაგიეროდ, ლაპარაკის ხასიათზე იყო „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ვეტერანი მცველი დერეკ ფიშერი. მან აღიარა, რომ ამ მომენტისთვის ლიგას არ გააჩნია კონკრეტული წინადადება, რომელიც ორივე მხარეს დააკმაყოფილებს.

თუმცა ფიშერმა არ გამორიცხა, რომ აგვისტოში კიდევ რამდენიმე მსგავსი შეხვედრა გაიმართება: *„გულახდილად ვამბობ - მოლაპარაკების დასრულებამდე ჯერ შორს არის. მხარეების მოთხოვნები ძალიან განსხვავებულია. მიუხედავად ამისა, კარგად გვესმის, რომ შეხვედრების გარეშე ერთი ადგილიდან ვერ დავიძვრებით. ასე რომ, ამ თვეში მსგავსი მოლაპარაკებები კიდევ გაიმართება. იმედია, უფრო პროდუქტიულები ვიქნებით“.*

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში რეგულარული სეზონი პირველ ნოემბერს უნდა დაიწყოს, მაგრამ შეიძლება განმეორდეს 2004 წლის სიტუაცია, როცა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მთელი სეზონი გაუქმდა. *„ჯერჯერობით შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი არ ჩანს“*, - ამბობს პროფკავშირის აღმასრულებელი დირექტორი ბილი ჰანტერი, თუმცა იქვე ამატებს, რომ მდგომარეობა შეიძლება ბოლო მომენტში შეიცვალოს და სეზონი გადარჩეს, როგორც ეს 1998 წელს მოხდა. მაშინ NBA-ში შემოკლებული ჩემპიონატი გაიმართა.

# მარსელინიო ბარსაშია

## რონ არტესტი ბრიტანულ კლუბს შეუთანხმდა


მარსელინიო უერტასი

ესპანური პრესის ცნობით, ბრაზილიელი გამთამაშებელი **მარსელინიო უერტასი** „ბარსელონაში“ გააგრძელებს კარიერას. ჯერჯერობით უცნობია, რა თანხა გადაუხადა კატალონურმა გრანდმა ბრაზილიელის აწ უკვე ყოფილ კლუბს - „კახა ლაბორალს“.

ამ ინფორმაციას თურქული „ეფეს პილსენის“ გენერალური მენეჯერი **ენგინ ოზგერიუჰონიც** ადასტურებს. „ეფესი“ მარსელინიოს ხელში ჩაგდების ერთ-ერთი პრეტენდენტი იყო, მაგრამ ახლა აღიარებს „ბარსელონასთან“ მარცხს.

*„უერტასი „ბარსელონაში“ მიდის. ჩვენ გამოვეთიშეთ ბრძოლას, რადგან არ შეგვიძლია მუდმივად ლოდინი. ვფიქრობ, ყველაფერი გავაკეთეთ ამ კალათბურთელის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ ამაოდ“*, - ამბობს გენერალური მენეჯერი.

ერთი შეხედვით, თავიდან „ბარსელონა“ მართლაც ყველაზე პასიური იყო ბრაზილიელისთვის ბრძოლაში, მაგრამ რამდენიმე დღის წინ „კახა ლაბორალს“ სარფიანი წინადადებით მიმართა და, როგორც ჩანს, ამან ყველაფერი გადაწყვიტა.

შარშან, მარსელინიო უერტასი ევროლიგის მატჩებში საშუალოდ 10.3 ქულას, 5.5 შედეგიან გადაცემასა და 3.0 მოხსნას აგროვებდა.

■ ■ ■

ბრიტანულმა კლუბმა „ჩეშირ ჯეტსმა“ შეთანხმებას მიაღწია „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ფორვარდ **რონ არტესტთან**. როგორც ბრიტანული პრესა წერს, კონტრაქტის გაფორმება სექტემბერში იგეგმება, თუ, რა თქმა უნდა, იმ დროისთვის NBA-ში ლოკაუტი არ იქნება დასრულებული.

*„ვადასტურებ, რომ არტესტთან ზეპირ შეთანხმებას მივაღწიეთ. ეს უდიდესი გამოცდილება იქნება ჩვენი კლუბისთვის და მთლიანად ბრიტანული კალათბურთისთვის. იმედი გვაქვს, რომ რონი პროფესიულად მიუდგება ჩვენი გუნდის სახელით გამოსვლას და სასარგებლო იქნება მოედანზე“*, - განაცხადა „ჩეშირის“ გენერალურმა მენეჯერმა **პიტერ ჰოუკინსმა**.

ჰოკეი

# შევსება დიდების დარბაზში



კრის ჩელიოსი

ჰოკეის დიდების დარბაზს სამი ახალი წევრი შეემატება. NHL-ის ლეგენდების გვერდით დაიდებენ ბინას ყოფილი ვარსკვლავები - **კრის ჩელიოსი, კიტ ტკაჩუკი და გარი სუტერი**. ოფიციალური ცერემონია 2011 წლის შემოდგომაზე გაიმართება.

ლეგენდარულმა მცველმა ჩელიოსმა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 26 სეზონი ჩაატარა. მან „მონრეალის“, „ჩიკაგოს“, „დეტროიტისა“ და „ატლანტას“ შემადგენლობაში ითამაშა და კარიერის დასრულების მომენტში მცველებს შორის რეკორდსმენი იყო ლიგაში ჩატარებული მატჩების რაოდენობით - 1651. ჩელიოსი სტენლის თასის სამგზის მფლობელია.

სუტერმა NHL-ში 17 წელი გაატარა და 1989 წელს „კალგარის“ სტენლის თასის მოპოვებაში დაეხმარა, ტკაჩუკის ანგარიშზე 19 სეზონი მოდის და ის იმ ოთხ ამერიკელ ჰოკეისტს შორისაა, ვისაც NHL-ში 500-ე მეტი შაიბა გაუტანია.

■ ■ ■

„ბოსტონ ბრუინზის“ ცენტრფორვარდს **მარკ სავარს** კვლავაც აწუხებს ტკივილები ტვინის შერყევის შემდეგ, რომელიც მან გასულ სეზონში გადაიტანა. ამიტომაც „დათვების“ ერთ-ერთ ლიდერს 2011-12 წლების სეზონის გამოტოვება მოუწევს. არც ის არის გამორიცხული, რომ სავარმა საერთოდ დაასრულოს კარიერა.

*„გამიკვირდება, სავარმა მომავალ სეზონში მოედანზე გასვლა რომ მოახერხოს“*, - აღიარებს „ბრუინზის“ გენერალური მენეჯერი **პიტერ ჩიარელი**. სავარაუდოდ, ფორვარდს ხანგრძლივად ტრავმირებული მოთამაშეების სიაში შეიყვანენ, რადგან მისი კონტრაქტი 2016-17 წლების სეზონის ბოლომდეა ძალაში.

ბოლო ორ სეზონში სავარმა მხოლოდ 66 მატჩი ჩაატარა და 43 ქულა (12+31) დააგროვა.

■ ■ ■

„ნიუ იორკ აილენდერსის“ მფლობელი **ჩარლზ ვენგი** არ გამორიცხავს კლუბის ადგილმდებარეობის შეცვლას. „კუნძელელებს“ 2015 წელს ეწურებათ საშინაო არენის - Nassau Coliseum-ის იჯარის ვადა, ახალი სტადიონის ასაშენებლად საჭირო 400-მილიონიან კრედიტზე კი უარი გამოუცხადეს.

ამ საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმი ჩატარდა და ნასაუს რეგიონის 71-მა პროცენტმა უარი განაცხადა ჰოკეის ახალი არენის მშენებლობაზე. ისინი შიშობენ, რომ კრედიტის დასაფარად გადასახადების ოდენობა მოიმატებს.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

| III საკ. ეტაპი. II მატჩები | |
|---|---|
| ბატე-ეკრანასი | 3:1 (0:0) |
| პანათინაიკოსი-ოდენსე | 3:4 (1:1) |
| შემროკი-კოპენჰაგენი | 0:2 (0:1) |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| სპორტინგი (ს)-ვალიადოლიდი | 3:2 |
| ჰამბურგი-ვალენსია | 1:2 |
| ვერდერი-ევერტონი | 1:0 |
| ალტრინჩემი-ბაროუ | 3:1 |
| ძროული-ქუინზ პარკი | 2:4 |
| ჰარტლპული-სანდერლენდი | 1:3 |
| ლუტონი-პარმა | 0:2 |
| ლევანტე-პენიაროლი | 0:2 |

**გერმანია**

| III ბუნდესლიგა | |
|---|---|
| ბაბელსბერგი-ერფურტი | 3:0 |
| კარლ ცაისი-ბურგჰაუზენი | 1:0 |
| ხემნიცი-მიუნსტერი | 1:2 |
| ობერჰაუზენი-ზაარბრიუკენი | 0:0 |
| ოსნაბრიუკი-არმინია | 1:1 |
| შტუტგარტი II-ვეენი | 0:0 |
| აალენი-დარმშტადტი | 1:1 |

**ავსტრია**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ლუშტენაუ-ბლაუ ვაისი | 1:0 |
| ლინცერი-ჰარტბერგი | 4:0 |
| სტ. პოლტენი-ალტახი | 1:2 |
| გრიოდიგი-ვენა | 4:0 |
| **რუმინეთი** | |
| ოცელული-კონკორდია | 0:0 |

**ჩოგბურთი**

| ATP. კიტცბუელი | |
|---|---|
| იანოვიჩი-**სოუზა** | 3:6, 6:4, 6:7 |
| ვოლანდრი-**გრანოლერსი** | 4:6, 2:6 |
| **ვეიჩი**-ჰაიდერ მაურერი | 6:7, 6:4, 6:2 |
| **ხირალდო**-ბრანდსი | 6:3, 6:3 |
| **ATP. ვაშინგტონი** | |
| **სვიტინგი**-ბოგომოლოვი | 6:2, 6:4 |
| **ბერერი**-ლორენცი | 7:5, 6:1 |
| **ჩიპოლა**-ილჰანი | 7:5, 6:0 |
| **WTA. კარლსბადი** | |
| პენეტა-**ბრიანტი** | 6:1, 2:6, 2:6 |
| **მორიტა**-დოკიჩი | 6:1, 4:6, 7:5 |
| **დატე**-დულკო | 7:5, 6:0 |
| **პაჩეკი**-ჰალეპი | 0:6, 6:4, 7:6 |
| მარინო-**კირილენკო** | 3:6, 2:6 |
| მირზა-**ერანი** | 2:6, 3:6 |
| გოვორცოვა-**როდიონოვა** | 6:7, 6;2, 3:6 |
| ვესნინა-**ერაკოვიჩი** | 1:6, 2:6 |

TV პროგრამა

**3 აგვისტო. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** კოპა ამერიკა 2011. მე-3 ადგილისთვის. პერუ-ვენესუელა. არგენტინა.
**12:00** კოპა ამერიკა 2011. ფინალი. ურუგვაი-პარაგვაი. არგენტინა.
**14:30** კოპა ამერიკა 2011. შემაჯამებელი მიმოხილვა.
**16:00** რეალის აზიური ტურნე. ამხანაგური მატჩი. გუანჯოუ-რეალი (LIVE).
**17:45** გერმანიის თასი. 1/32 ფინალი. დინამო (დრ)-ლევერკუზენი.
**20:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. ავაი-კორინთიანსი.
**22:00** გერმანიის თასი. 1/32 ფინალი. ტენინგენი-შალკე.
**00:00** რეალის აზიური ტურნე. ამხანაგური მატჩი. გუანჯოუ-რეალი.
**02:00** კოპა ამერიკა 2011. შემაჯამებელი მიმოხილვა.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. აუდის თასი. მე-3 ადგილისთვის. მილანი-ინტერნასიონალი. მიუნხენი.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ოკლაჰომა-გოლდენ სტეიტი.
**14:10** F1H20 - ფორმულა 1 წყალზე. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV ეტაპი. კიევი. უკრაინა.
**15:00** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. აშშ-ჩინეთი. შვეიცარია.
**17:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. გშტაადი. შვეიცარია.
**20:15** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ბელგია.
**22:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
**23:15** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ოკლაჰომა-გოლდენ სტეიტი.

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**05:00** ცურვა. აშშ-ის ჩემპიონატი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**11:55** კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი - სტანკოვიჩის თასი. რუსეთი-ანგოლა. ჩინეთი (LIVE).
**15:25** კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი - სტანკოვიჩის თასი. ჩინეთი-ავსტრალია. ჩინეთი (LIVE).

**EUROSPORT**

**19:30** ველოსპორტი (LIVE).
**02:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ეკვადორი-ესპანეთი. კოლუმბია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**02:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ს. არაბეთი-გვატემალა. კოლუმბია (LIVE).

ჩოგბურთი

# 42 მილიონი ერთი ტრიუმფისთვის

წლევანდელ როლან გაროსზე ტრიუმფმა სერიოზული ფინანსური მოგება მოუტანა ჩინელ ჩოგბურთელს **ნა ლის**. შეგახსენებთ, რომ ის პირველი აზიელია ისტორიაში, ვინც „დიდი სლემის“ ტურნირის მოგება მოახერხა.

ამ გამარჯვების წყალობით ნა ლი მეორე ადგილზე გადავიდა ქალთა პროფესიულ სპორტში სარეკლამო კონტრაქტების საერთო ოდენობით. მარტო ბოლო თვენახევრის განმავლობაში ნა ლიმ შვიდი სარეკლამო ხელშეკრულება გააფორმა და ამ მომენტისთვის 29 წლის სპორტსმენის სარეკლამო შემოსავალი 42 მილიონ დოლარს უტოლდება. ამ მაჩვენებლით ნა ლი მხოლოდ რუს **მარია შარაპოვას** ჩამორჩება.

დღეს ლი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტსმენია ჩინეთში. როლან გაროსზე **ფრანჩესკა სკიავონესთან** ფინალს ჩინეთში 116 მილიონმა ადამიანმა ადევნა თვალი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ნა ლი

ჩოგბურთი

# ეპოქათა შერწყმა

ოლიმპიურ პროგრამაში შერეულ წყვილთა თანრიგის შეტანამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია საჩოგბურთო სამყაროში, რადგან გაისად ლონდონში ბევრი საინტერესო წყვილის ხილვის საშუალება მოგვეცემა. მაგრამ, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული გახლავთ ორი შვეიცარიელი ლეგენდის - **როჯერ ფედერერისა** და **მარტინა ჰინგისის** გაერთიანების მოსალოდნელი ფაქტი.

## მარტინა ჰინგისი

*„ჩოგბურთმა მომცა ყველაფერი, რაც დღეს გამაჩნია,* - განაცხადა „დიდი სლემის" ტურნირების ხუთგზის ჩემპიონმა მარტინა ჰინგისმა ამერიკაში, სადაც ის მონაწილეობას იღებდა World Team Tennis-ის ტურნირში. - *ღმერთს მადლობას ვწირავ იმისთვის, რომ სპორტის ეს სახეობა არსებობს".* მარტინა ჰინგისის წლევანდელი კალენდარი საკმაოდ დატვირთულია საჩოგბურთო მატჩებით. მან მონაწილეობა მიიღო როლან გაროსისა და უიმბლდონის ლეგენდათა ტურნირში, World Team Tennis-ის გუნდურ ჩემპიონატში და სხვა საგამოფენო ტურნირებში. მაგრამ ეს ყველაფერი უმნიშვნელოა იმასთან, რის გაკეთებასაც შვეიცარიელი 2012 წელს აპირებს.

## ოლიმპიური მიქსტი

მიქსტი ლონდონის ოლიმპიური საჩოგბურთო ტურნირის კალენდარში ოფიციალურად 2009 წელს შეიტანეს. ასე რომ, უიმბლდონის ლეგენდარულ არენაზე მედლების ხუთი კომპლექტი გათამაშდება. ამ გადაწყვეტილების მიღებიდან ცოტა ხნის შემდეგ **ენდი როდიკმა** და **სერენა უილიამსმა** გამოაცხადეს, რომ ლონდონში ერთად გავლენ კორტზე. *„როგორც კი ორგანიზატორებმა ამ გადაწყვეტილების შესახებ გამოაცხადეს, ნახევარ წუთში სერენას ნომერი ავკრიფე,* - ამბობს როდიკი. - *მუდმივად ვაწუხებდი სატელეფონო ზარებით, ტექსტური შეტყობინებებით და ბოლოს, როგორც იქნა, დავითანხმე".*

ზოგიერთი მოთამაშე იწონებდა ამერიკელის აქტიურ მოქმედებას, ზოგმა კი საპირისპირო სქესის პარტნიორის ამოსარჩევად სხვა გზა აირჩია. რამდენიმე წყვილი უკვე დაკომპლექტებულია, მაგრამ მოთამაშეთა უმრავლესობა ჯერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კულისებს მიღმა მთელი ბრძოლა წინაა.

## როჯერ ფედერერი

როჯერმა კარიერაში პრაქტიკულად ყველაფერს მიაღწია. მარტო „დიდი სლემის" ტურნირებზე სარეკორდო რაოდენობის გამარჯვებები (16) რად ღირს. მაგრამ ბევრს ისე არ გახარებია ოლიმპიადის პროგრამაში მიქსტის გამოჩენა, როგორც ფედერერს.

2008 წელს პეკინის ოლიმპიადაზე შვეიცარიელი არცთუ ისე კარგ ფორმაში ჩავიდა, თან მის კარიერაში რთული მომენტი იდგა. ცოტა ხნით ადრე მან წააგო უიმბლდონის ეპიკური ფინალი **რაფაელ ნადალთან**, მანამდე კი ესპანელმა ის როლან გაროსის ფინალში გაანადგურა. საბოლოოდ, პირველად 2004 წლის შემდეგ ფედერერმა დაკარგა ლიდერობა მსოფლიო კლასიფიკაციაში.

2004 წელს ათენის ოლიმპიადაზე ერთეულთა თანრიგში როჯერს გზა გადაუღობა ჩეხმა **ტომაშ ბერდიხმა**, პეკინში კი მეოთხედფინალურ ეტაპზე ამერიკელმა **ჯეიმს ბლეიკმა** აჯობა და თითქოს, ჩოგბურთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ველარასოდეს გახდებოდა ოლიმპიური ჩემპიონი.

მაგრამ გამარჯვება წყვილთა თანრიგში მოიპოვა, არადა, ATP-ის ტურნირებზე როჯერი პრაქტიკულად არ თამაშობს წყვილებში. **სტანისლას ვავრინკას** დახმარებით ფედერერმა მისთვის და შვეიცარიისთვის ძალიან საჭირო ოქრო მოიგო.

პეკინში ტრიუმფმა ფედერერი გონს მოიყვანა, მას დამაჯერებლობა დაუბრუნდა და ოლიმპიადის შემდეგ შვეიცარიელმა ამერიკის ღია პირველობაზე გაიმარჯვა, სულ კი „დიდი სლემის" მომდევნო ხუთი ტურნირიდან სამში მთავარი პრიზი მიიღო, მათ შორის, როლან გაროსზე. შესაძლოა, ის ოლიმპიური ოქრო რომ არა, ფედერერის ეპოქა საბოლოოდ დასრულებულიყო.

## გაერთიანება

დღეს ფედერერისა და ჰინგისის შესაძლო გაერთიანების შესახებ ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. ამერიკაში მყოფ მარტინას ჟურნალისტები მოსვენებას არ აძლევდნენ. აი, ფრაგმენტი მისი ერთ-ერთი ინტერვიუდან:

- არ ვიცი, არ ვიცი. ჯერ არაფერში არ ვარ დარწმუნებული. კონკრეტულად ამ მომენტში თავს შესანიშნავად ვგრძნობ, მაგრამ არ ვიცი, რა იქნება ერთი წლის შემდეგ. ეს ძალიან დიდი დროა. შესაძლოა, პროფესიულ დონეზე მომიწიოს გამოსვლამ პრაქტიკის აღსადგენად... უნდა დავიცადოთ...

**- ბოლო დროს ისეთ ფორმას აჩვენებთ, რომ ვერც ერთი მოქმედი შვეიცარიელი ქალი ჩოგბურთელი გვერდით ვერ დაგიდგებათ. როჯერ ფედერერმა რომ გთხოვოთ ოლიმპიადაზე მიქსტში გამოსვლა, რას უპასუხებთ?**

- ჯერჯერობით როჯერი ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებს. ჯერ არაფერი ვიცი...

**- ის თქვენ არ დაგკავშირებიათ?**

- პირადად ის - არა. მაგრამ შესაბამისი შეკითხვა უკვე დამისვეს. თამაშებამდე ჯერ შორია, ასე რომ...

**- ე.ი. საბოლოოდ „არას" არ ამბობთ? ანუ მზად ხართ წინადადების განსახილველად?**

- არ ვიცი. ჯერ არაფერში არ ვარ დარწმუნებული.

**- მოდით, პირდაპირ შევიტანოთ სიცხადე ამ საკითხში - როჯერ ფედერერის გუნდიდან ვინმე დაგიკავშირდათ?**

- დიახ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. სათამაშო პრაქტიკა დამჭირდება ოლიმპიადაზე გამოსასვლელად, ეს კი იოლი არ არის.

## ოცნება და რეალობა

მარტინა ჰინგისისა და როჯერ ფედერერის დუეტი ნებისმიერ შემთხვევაში ოლიმპიური ჩოგბურთის ისტორიაში შევიდოდა. ეს იქნებოდა ეპოქათა შერწყმის ბრწყინვალე ნიმუში, და აუცილებლად წარმატებული. სპეციალისტთა აზრით, მარტინა და როჯერი თანამედროვე ჩოგბურთის უძლიერესი ტაქტიკოსები და შემოქმედები არიან. მათ ჯამში „დიდი სლემის" 31 ტიტული აქვთ მოგებული. თუ ფედერერის გამარჯვებები მხოლოდ ერთეულთა თანრიგზე მოდის, მარტინას ცხრაჯერ გაუმარჯვია წყვილში და ერთხელ - მიქსტში.

სხვათა შორის, ათი წლის წინ, ჯერ კიდევ იქამდე, სანამ ფედერერი ATP-ში პირველი ტიტულის მფლობელი გახდებოდა, მან და ჰინგისმა შვეიცარიისთვის ჰოფმანის თასი მოიგეს. მაშინ მათი მოქმედება თითქმის იდეალური იყო: ექვს სეტში მხოლოდ ათი გეიმი წააგეს, პარტია კი მაშინ დათმეს, როცა ფინალში ამერიკასთან მიქსტის შეხვედრა აღარაფერს წყვეტდა.

## ერთმანეთისთვის შექმნილნი

ფედერერამდე დი ჰინგისამდე შვეიცარია არასოდეს მიიჩნეოდა დიადი საჩოგბურთო ჩემპიონების ქვეყნად. გასაკვირი არ არის, რომ ამ ჩოგბურთელს ძალიან ხშირად ადარებდნენ ერთმანეთს - იმიტომ, რომ ისინი თანამემამულეები არიან, ლამაზად და დახვეწილად თამაშობენ... ბევრ მოთამაშეს ასეთი შედარება აღიზიანებს, მაგრამ როჯერი და მარტინა დიდი სიამოვნებით პასუხობდნენ ერთმანეთის შესახებ დასმულ შეკითხვებს.

ცხადია, რომ კორტზე აშკარა ღირსებების გარდა, რის გამოც მათ შეუძლიათ ლონდონში წარმატების მიღწევა, ფედერერსა და ჰინგისს უსაზღვრო პატივისცემა აკავშირებთ. შესაძლოა, ამიტომაც უჭირს როჯერს პირდაპირ შეკითხვის დასმა ჰინგისისთვის - არის თუ არა ის თანახმა ლონდონში გამგზავრებაზე.

*„როჯერი ყველაზე ნიჭიერი მოთამაშეა ტურში",* - ამბობდა მარტინა 2004 წელს. *„მასთან ერთად წყვილში თამაში უდიდესი სიამოვნება იყო",* - ოთხი წლის შემდეგ იხსენებდა ფედერერი.

აშკარაა, რომ შესაძლო პარტნიორობა ჯერ არ ნიშნავს საბოლოო გაერთიანებას. მაგრამ ჰინგისის დაბნეული პასუხები იმაზე მიანიშნებს, რომ ის სერიოზულად ფიქრობს ფედერერის შეთავაზებაზე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მარტინა დათანხმდება და ამით ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირი კიდევ უფრო საინტერესო გახდება.



ათი წლის წინათ ჰოფმანის თასზე

ფორმულა 1

# უებერი განხეთქილების მიზეზია

## ბერნი ექლსტოუნი კალენდრის შეცვლას აღარ აპირებს

კვლავაც გაურკვევლობაა „რედ ბულის" რიგებში ავსტრალიელი **მარკ უებერის** კონტრაქტთან დაკავშირებით. ავსტრიული საჯინიბოს ხელმძღვანელებმა ვერ შეიმუშავეს ერთობლივი გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, ღირს თუ არა უებერთან თანამშრომლობის გახანგრძლივება.

**კრისტიან ჰორნერსა** და **ჰელმუტ მარკოს** შორის დაპირისპირებას ევროპული პრესა აქტიურად განიხილავს. უნგრეთის გრანპრის წინ მარკო ავსტრალიელ ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებდა, რომ 2012 წელი ბოლო იქნება უებერისთვის „რედ ბულის" შემადგენლობაში, თუმცა იქვე ამატებდა, რომ ერთ ავსტრალიელს მეორე ჩაანაცვლებდა. მარკოს მხედველობაში ჰყავს **დანიელ რიკარდო**.

ამასობაში, რბოლის დამთავრების შემდეგ „რედ ბულის" შეფმა კრისტიან ჰორნერმა საპირისპირო განცხადება გააკეთა: *„მარკო ძალიან არის გატაცებული რიკარდოთი, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს სასწავლი".* ჰორნერის თქმით, მას უებერის კანდიდატურის საწინააღმდეგო არაფერი აქვს და შეიძლება მარკი სამი-ოთხი წლით კიდევ დარჩეს „წითელი ხარების" რიგებში.

მსგავსი პოლემიკა შარშანაც წარმოიშვა, როცა „რედ ბული" ორ ბანაკად გაიყო. ერთი, ჰელმუტ მარკოს ხელმძღვანელობით „რედ ბულის" ახალგაზრდული პროგრამის აღზრდილს **სებასტიან ფეტელს** უჭერდა მხარს, მეორე, ჰორნერის მეთაურობით - მარკ უებერს, გუნდის მფლობელი **დიტერ მატეშიცი** კი ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა.

წელს ფეტელი გაცილებით დამაჯერებლად გამოდის, მარკი კი მთლად სტაბილური ვერ არის, ამიტომაც ისევ გააქტიურდნენ მარკოს მომხრეები, მაგრამ ჰორნერი დათმობაზე წასვლას არ აპირებს.



მარკ უებერი

მოლაპარაკებები გრძელდება. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მარკის კარიერა „რედ ბულში" არა პილოტთან მოლაპარაკებებზე, არამედ მარკოსა და ჰორნერს შორის კომპრომისზე იქნება დამოკიდებული. ასევე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მატეშიცის პოზიციას.

■ ■ ■

ამასობაში, ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** განაცხადა, რომ 2012 წლის კალენდარში არანაირი დამატებითი ცვლილების შეტანას არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ მომავალი სეზონის განრიგის შესახებ გუნდებმა ღიად გამოთქვეს უკმაყოფილება.

კერძოდ, „რენოსა" და „მაკლარენის" შეფებს - **ერიკ ბულიესა** და **მარტინ უიტმარშს** არ მოეწონათ 2012 წლის სეზონის გადატვირთული ფინალური ნაწილი, როცა 10 კვირის განმავლობაში სამ კონტინენტზე შვიდი ეტაპის გამართვაა დაგეგმილი. ეს ლოჯისტიკის მხრივ სერიოზულ პრობლემებს გამოიწვევს.

ბუდაპეშტში ბულიემ განაცხადა, რომ გუნდები ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციას კალენდრის პროექტის გადახედვის თხოვნით მიმართავენ. თუმცა ექლსტოუნმა მკვახე ტონით უარყო საჯინიბოების მხრიდან კალენდრის შედგენაში მონაწილეობის სურვილი და განაცხადა, რომ ეს მხოლოდ მისი პრეროგატივაა და სხვა არავისი.

*„გუნდებს არ აქვთ უფლება ჩაერიონ მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდრის შედგენაში,* - განაცხადა ექლსტოუნმა. - *ამით მხოლოდ მე ვარ დაკავებული. და მხოლოდ მე გადავწყვეტ, არის თუ არა მასში ცვლილებების შეტანა საჭირო. ვერავინ ვერაფერს მაიძულებს. ლოჯისტიკის პრობლემები აწუხებთ? გაცილებით დიდი პრობლემები გვაქვს, რომელთა მოგვარება უფრო რთულია".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**